F-171
1984

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო

# ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებული

ISSN 0206-2674

თბილისი
1984

ივლისი № 7 ИЮЛЬ

МИНИСТЕРСТВО ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

# СБОРНИК ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

ТБИЛИСИ
1984

ეროვნული ბიბლიოთეკა

f-5269

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1984 წლის 10 მაისის გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

## სსრ კავშირის განათლების სამინისტროს კოლეგიის 1984 წლის 16 მარტის № 12/1 გადაწყვეტილების შესასრულებლად საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ღონისძიებათა შესახებ

სსრ კავშირის განათლების სამინისტროს კოლეგიამ მიმდინარე წლის 16 მარტს განიხილა საკითხი „სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის სრულყოფისა და მმართველობითი საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლების დარგში სკკპ 26-ე ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის (1983 წ.) პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულების ორგანიზებისათვის საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მუშაობის შესახებ", რომელშიც აღნიშნულია: „მოისმინა და განიხილა რა საქართველოს სსრ განათლების მინისტრის ამხ. ო. დ. ქინქლაძის ანგარიში, აგრეთვე საინსპექტორო შემოწმების მასალები, კოლეგია აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელობით საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ, სახალხო განათლების ორგანოებმა ბოლო წლებში მიაღწიეს სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ხარისხისა და მმართველობითი საქმიანობის ეფექტიანობის საგრძნობ გაუმჯობესებას.

ასრულებს რა სკკპ 26-ე ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის (1983 წ.) პლენუმის გადაწყვეტილებებს, საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ უზრუნველყო ახალგაზრდობის საყოველთაო საშუალო განათლების კანონის შესრულებისათვის მუშაობის ხარისხობრივად უფრო მაღალი დონე. გრძელდება განათლების დაწესებულებათა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება, შემუშავდა და ხორციელდება ავარიული და შეგუებული შენობებიდან სკოლების გამოყვანის პერსპექტიული გეგმა, იზრდება სასწავლო-საწარმოო კომბინატთა, საამქროებისა და სასწავლო უბნების რაოდენობა, გადაჭარბებით სრულდება გახანგრძლივებული დღის ჯგუფების ქსელის განვითარების ყოველწლიური გეგმები. რესპუბლიკაში შექმნილია ფართოდ განშტოებული ქსელი მეთოდური დაწესებულებებისა, რომელნიც დღენიადაგ სრუყლოფენ თავიანთ საქმიანობას.

დადებით შეფასებას იმსახურებს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს, სახალხო განათლების ორგანოებისა და პედაგოგიური კოლექტივების მუშაობა მოსწავლეთა შორის სკკპ 26-ე ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის (1983 წ.) პლენუმის დოკუმენტებისა და მასალების პროპაგანდისათვის, მოსწავლეთა პატრიოტული, ინტერნაციონალური და ესთეტიკური აღზრდისათვის, სსრ კავშირის სა-



საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

სურსათო პროგრამის შესრულებაში მოსწავლეთა ჩაბმისათვის, მათში შრომისმოყვარეობის აღზრდის, შრომის შედეგების, კვების პროდუქტებისადმი ყაირათიანი დამოკიდებულების გამომუშავებისათვის. ცალკეული სკოლების 80-დან 100 პროცენტამდე კურსდამთავრებული სამუშაოდ მშობლიურ კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობაში რჩება. ამას გარკვეულწილად ხელს უწყობს სოფლის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ბაზაზე პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების ფილიალების ორგანიზების საქმეში შეძენილი გამოცდილება.

გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს რესპუბლიკის განათლების მუშაკებმა ფიზკულტურულ მეცადინეობაში მოსწავლეთა რეგულარულად ჩაბმის საქმეში. სასწავლო მეცადინეობათა რეჟიმში პრაქტიკულად ყველგან შემოღებულია დილის ვარჯიში, მოძრავი შესვენებები, ფიზკულტურის წუთები და ფიზკულტურული პაუზები. სახალხო განათლების ორგანოებმა დააგროვეს გამოცდილება მშობელთა საზოგადოებრივი ორგანიზების, რესპუბლიკის რაიონებში მშობელთა კომიტეტების შექმნის საქმეში, მათ ეკისრებათ მშობელთა ორგანიზაციებისა და დაწესებულებების საქმიანობის კოორდინაციის ფუნქციები მოსწავლეთა მორალურ-ზნეობრივი სახის ჩამოყალიბებაში ოჯახის პასუხისმგებლობის ამაღლებისათვის.

რესპუბლიკაში ექვსწლიანი ასაკის ბავშვთა 76 პროცენტი სწავლობს მოსამზადებელ კლასებში, რაც რეალურ შესაძლებლობებს ქმნის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სწავლების ექვსი წლიდან დასაწყებად გეგმაზომიერი გადასვლისათვის.

აღნიშნული პოზიტიური ძვრები რესპუბლიკაში სახალხო განათლების წარმართვაში შესაძლებელი გახდა იმის წყალობით, რომ განათლების სამინისტრომ შეძლო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ირგვლივ გაეერთიანებინა დაინტერესებულ სამინისტროთა და უწყებათა, საზოგადოებრიობისა და მეურნეობათა ხელმძღვანელების ძალისხმევა. ამას დიდად უწყობდა ხელს აგრეთვე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ორგანიზატორული საქმიანობა სსრ კავშირის განათლების სამიინსტროს 1978 წლის 22 თებერვლის № 26 ბრძანებაში აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

ამასთან, ჯერ კიდევ საკმაოდ ეფექტიანად არ წყდება უმნიშვნელოვანესი ამოცანა — მივცეთ მოსწავლეებს მეცნიერებათა საფუძვლების ღრმა და მტკიცე ცოდნა, გამოვუმუშაოთ პრაქტიკაში მათი გამოყენების უნარ-ჩვევები. მსოფლმხედველობრივი ხასიათის ზოგიერთი საკითხი ისწავლება ფორმალურად, რაც აქვეითებს ცალკეულ მასწავლებელთა მიერ ჩატარებული გაკვეთილების მეცნიერულ-თეორიულ და აღმზრდელობითს პოტენციალს.

საჭირო მოთხოვნებს არ შეესაბამება მოსწავლეთა გაღრმავებული შრომითი სწავლების ორგანიზება. ხშირად შრომითი სწავლების პროფილები განისაზღვრება საკმაო დასაბუთების გარეშე. ჯერ კიდევ სუსტად წყდება სასწავლო-საწარმოო კომბინატების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სასკოლო ნაკვეთების ბაზაზე ტექნიკური შემოქმედებისა და საცდელი მუშაობის განვითარების, პროფესიული ორიენტაციის სასკოლო კაბინეტებისა და კუთხეების შექმნისა და საჭირო ხელსაწყოებითა და მეთოდური ლიტერატურით აღჭურვის, მწარმოებლურ შრომასთან სწავლების შეერთების, აგრეთვე ხალხური სარეწების საქმიანობაში მოსწავლეთა ჩაბმის საუკეთესო გამოცდილების შესწავლისა და განზოგადების საკითხები, კვლავ მცირეა სკოლის იმ კურსდამთავრებულთა რაოდენობა, ვინც პროფესიას პროფილის მიხედვით ირჩევს, მცირდება იმ კურსდამთავრებულთა პროცენტი, ვინც სამუშაოდ სამრეწველო საწარმოებში მიდის. შემოწმებული სკოლების უმრავლესობის ხელმძღვანელები და შრომითი სწავლების მასწავლებლები საჭირო ზრუნვას არ იჩენენ I-VIII კლასების მოსწალეთა შრომითი სწავლების მატერიალური ბაზის განმტკიცებისათვის, რასაც ამ საგნის სასწავლო პროგრამის შეუსრულებლობა მოსდევს.

ჯეროვანი ყურადღება არ ეთმობა სამხედრო პროფესიების პროპაგანდას, რესპუბლიკაში სისტემატურად ვერ სრულდება სამხედრო სასწავლებლების დაკომპლექტების გეგმა. დაბალია წვევამდელთა ფიზიკური მომზადება, ყველა მათგანი ვერ ასრულებს მშთ ნორმატივებს.

კურსდამთავრებულთა მნიშვნელოვანი ნაწილის, განსაკუთრებით სოფლის სკოლების, ნორმად არ გამხდარა რუსული ენის თავისუფლად ფლობა.

შემდგომ გაუმჯობესებას მოითხოვს პედაგოგიური კოლექტივების მუშაობა მოსწავლეთა იდეურ-ზნეობრივი აღზრდისათვის, მათში მტკიცე კომუნისტური რწმენის, აქტიური ცხოვრებისეული პოზიციის მქონე შეგნებული მოქალაქის თვისებების ჩამოსაყალიბებლად, მოსწავლეთა პოლიტიკური წიგნიერების, მათში პოლიტიკური თვითგანათლების ჩვევების ჩასანერგად; მოსწავლეთა თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის აქტივიზაციისათვის.

ხარვეზებია პედაგოგიურ კადრებთან მუშაობაში მათი მეთოდური უზრუნველყოფის, ატესტაციის, შემოქმედებითი ძიების, საუკეთესო პედაგოგიური გამოცდილბის განზოგადების მხრივ. რესპუბლიკის ყველა სკოლა როდია დაკომპლექტებული რუსული ენისა და ლიტერატურის, დაწყებითი სწავლების სათანადო კვალიფიკაციის მასწავლებლებით.

სახალხო განათლების ორგანოები საკმაოდ მომთხოვნი არ არიან განათლების დაწესებულებებში შინასასკოლო კონტროლის განხორციელებისადმი.

კოლეგიამ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1 .მიღებულ იქნას ცნობად საქართველოს სსრ განათლების მინისტრის ამხ. ო. დ. ქინქლაძის მოხსენება გაწეული მუშაობის შესახებ, დადებითად შეფასდეს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს, სახალხო განათლების ორგანოების, სკოლების პედაგოგიური კოლექტივების საქმიანობა ახალგაზრდობის საყოველთაო საშუალო განათლების უზრუნველყოფის, ექვსწლიანი ასაკის ბავშვების სწავლებისათვის მოსამზადებელი მუშაობის ორგანიზების, სასურსათო პროგრამის შესრულებაში მოსწავლეთა ჩაბმის, ახალგაზრდობაში შრომისმოყვარეობის გამომუშავებისა და სოფლად მათი დამაგრების, მოსწავლეებში ფიზიკური, ინტერნაციონალური და ესთეტიკური აღზრდის მუშაობის პროგრესული ფორმების დანერგვის, აგრეთვე სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის შემდგომი სრულყოფის პრობლემების გადაჭრაში ფართო საზოგადოებრიობის ჩაბმის პირობების გაუმჯობესების დარგში სკკპ 26-ე ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის (1983 წ.) პლენუმის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად.

2. დაევალოთ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, სახალხო განათლების ორგანოებს:

2. 1. ქმედითი ზომები მიიღონ მუშაობაში აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღსაკვეთად.

2. 2. რესპუბლიკის პედაგოგიური კოლექტივების ძალისხმევა წარმართონ სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის სრულყოფის გადაუდებელი ამოცანების გადასაჭრელად, რომლებიც ჩამოყალიბებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტში „ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითადი მიმართულებანი", სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის (1983 წ.) პლენუმის მითითებების შესაბამისად, ამ მიზნით:

— მიღწეულ იქნას თითოეული გაკვეთილისა და კლასგარეშე მეცადინეობის ხარისხისა და ეფექტიანობის ამაღლება, დაჟინებით განხორციელდეს სკოლის მთავარი ამოცანა — მივცეთ მოზარდ თაობას მეცნიერებათა საფუძვლების ღრმა და მტკიცე ცოდნა, გამოვუმუშაოთ პრაქტიკაში მათი გამოყენების უნარ-ჩვევები. სრულვყოთ სწავლების ფორმები, მეთოდები და საშუალებანი. გაკვეთილის — სასწავლო პროცესის ძირითადი ფორმის — გვერდით სკოლების უფროს კლასებში ფართოდ შემოვიღოთ ლექციები, კონსულტაციები, სემინარული მეცადინეობანი, გასაუბრებები, პრაქტიკუმები, აქტიურად ვაზიაროთ მოსწავლეები წიგნზე მუშაობასა და ცოდნის სხვა წყაროებს, დავეხმაროთ მათ გამოიმუშაონ დამოუკიდებელი აზროვნების უნარი;

— უზრუნველყოფილ იქნას I-VIII კლასების მოსწავლეთა შრომითი სწავლებისა და აღზრდის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მი სრულყოფა, IX-X კლასების მოსწავლეთა გაღრმავებული შრომითი სწავლების პროფილების დასაბუთებული განსაზღვრა კადრებზე სახალხო მეურნეობის მოთხოვნების, ქალაქისა და სოფლის სკოლების, ქალიშვილებისა და ჭაბუკების შრომის თავისებურებათა გათვალისწინებით. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს ტექნიკური შემოქმედებისა და საცდელი მუშაობის განვითარებას სასწავლო-საწარმოო კომბინატების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სასკოლო ნაკვეთების, ნორჩ ტექნიკოსთა და ნორჩ ნატურალისტთა სადგურების ბაზაზე, გავააქტიუროთ მუშაობა მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციისათვის. დაინტერესებულ ორგანიზაციებთან ერთად შევიმუშაოთ ორგანიზაციულ-პედაგოგიურ ღონისძიებათა კონკრეტული გეგმა ახალგაზრდობის საყოველთაო პროფესიული განათლების განსახორციელებლად;

— გაგრძელდეს მუშაობა მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდის სრულყოფისათვის, საამისოდ გამოყენებულ იქნას რესპუბლიკის, ქვეყნის საუკეთესო პედაგოგიური კოლექტივების მიერ დაგროვილი მთელი ძვირფასი გამოცდილება. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს მოსწავლეთა ოპერატიულ პოლიტიკურ ინფორმირებულობას იმ მოვლენებზე, რომლებიც მიმდინარეობს რაიონში, ქალაქში, რესპუბლიკაში, ჩვენს ქვეყანაში და საზღვარგარეთ. უფრო ფართოდ დაინერგოს პრაქტიკაში მოსწავლეთა წინაშე პარტიული, პროფკავშირული და სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელთა გამოსვლები საშინაო და საგარეო პოლიტიკის აქტუალურ საკითხებზე;

— მიღებულ იქნას დამატებითი ღონისძიებანი რუსული ენის შესწავლისათვის პირობების გასაუმჯობესებლად. რუსულ ენაში სკოლების მიერ მოსწავლეთა მომზადება მიჩნეულ იქნას, როგორც უმნიშვნელოვანესი ფაქტორი ცხოვრებისათვის, შრომისათვის, სოციალისტური სამშობლოს დასაცავად მათს მომზადებაში;

— უზრუნველყოფილ იქნას დაწყებითი სამხედრო მომზადების სასწავლო პროგრამების ხარისხიანი შესრულება რესპუბლიკის სკოლებში, გაძლიერდეს ყურადღება სამხედრო პროფესიების პროპაგანდისადმი, საბჭოთა არმიაში სამსახურისათვის მზადყოფნის გამოსამუშავებლად;

— ამაღლდეს სკოლების ხელმძღვანელებისა და მასწავლებლებისადმი მომთხოვნელობა ფიზიკური კულტურის გაკვეთილების მატერიალურ-ტექნიკური და მეთოდური უზრუნველყოფისათვის. უფრო ფართოდ იქნას გამოყენებული მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდისათვის სპორტული ორგანიზაციებისა და კლუბების, საწარმოთა და დაწესებულებათა ბაზები. მიღწეულ იქნას თითოეული მოსწავლის მიერ ჰიგიენისა და მედიცინის დარგების საჭირო ცოდნის დაუფლება;

— უზრუნველყოფილ იქნას პედაგოგიურ კადრებთან მუშაობის შემდგომი სრულყოფა, ყურადღება დაეთმოს მასწავლებელთა ატესტაციის ხარისხს, უფრო სრულად იქნას გამოყენებული მათი შემოქმედე-

ბითი შრომის მორალური სტიმულირების სისტემა, მეთოდური მომსახურების გამუჯობესება, მიღწეულ იქნას სახალხო განათლების ორგანოებისა და მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტების საქმიანობის საუკეთესო კოორდინირება;

— მიღებულ იქნას დამატებითი ღონისძიებანი სკოლისგარეშე დაწესებულებათა ქსელის გასაფართოებლად, მხედველობაში იქნას მიღებული თითოეულ რაიონში პიონერთა სახლის შექმნა მათი საქმიანობის მიმართულებათა ფართო სპექტრით.

3. ინფორმაცია აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიმდინარეობისა და ამ გადაწყვეტილების შესრულების შესახებ წარმოდგენილ იქნას მიმდინარე წლის 1 დეკემბრამდე.

4. კონტროლი ამ გადაწყვეტილების შესრულების მიმდინარეობაზე დაეკისროს სახალხო განათლების მთავარ ინსპექციას (ამხ. მ. მ. ბუდანოვი).

**კოლეგიის თავმჯდომარე,**
**მინისტრი მ. ა. პროკოფიევი**
**16 მარტი, 1984 წელი".**

სსრ კავშირის განათლების სამინისტროს კოლეგიის გადაწყვეტილების შესრულების მიზნით საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. მიღებულ იქნას სახელმძღვანელოდ სსრ კავშირის განათლების სამინისტროს კოლეგიის 1984 წლის 16 მარტის გადაწყვეტილება № 12/1 „სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის სრულყოფისა და მმართველობითი საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლების დარგში სკკპ 26-ე ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის (1983 წ.) პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულების ორგანიზებისათვის საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მუშაობის შესახებ".

2. მოწონებულ იქნას სსრ კავშირის განათლების სამინისტროს კოლეგიის 1984 წლის 16 მარტის გადაწყვეტილებაში აღნიშნულ ნაკლოვანებათა დროული აღმოფხვრის უზრუნველსაყოფად შემუშავებული საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ღონისძიებათა გეგმა (თან ერთვის).

3. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებმა, განათლების სამინისტროს ი. გოგებაშვილის სახ. პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა, მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურმა ინსტიტუტმა, სამინისტროს სამმართველო-განყოფილებებმა თავიანთ ყოველდღიურ პრაქტიკულ საქმიანობაში მტკიცედ იხელმძღვანელონ

სსრ კავშირის განათლების სამინისტროს აღნიშნული კოლეგიის გადაწყვეტილებით და მის უზრუნველსაყოფად შემუშავებული საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ღონისძიებათა გეგმით, რომლებიც საფუძვლად დაუდონ თავიანთ ყოველდღიურ კონკრეტულ საქმიანობას სკკპ 26-ე ყრილობისა და ივნისის (1983 წ.) პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად სწავლებისა და აღზრდის ხარისხის შემდგომი ამაღლების მიზნით.

4. ავტონომიური რესპუბლიკების განათლების სამინისტროებმა, ი. გოგებაშვილის სახ. პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა, მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურმა ინსტიტუტმა, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სამმართველო-განყოფილებებმა ანგარიში სსრ კავშირის განათლების სამინისტროს კოლეგიის 1984 წლის 16 მარტის გადაწყვეტილებისა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს შესაბამის ღონისძიებათა გეგმის განხორციელების შესახებ წარმოადგინონ 1984 წლის 1 ოქტომბრამდე.

5. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოთ მინისტრის მოადგილეებს — ამხ. ამხ.. მ. კობახიძეს, მ. დარჩიას, ო. დოლიძეს, თ. ვაჩნაძეს.

6. აღნიშნული კოლეგიის გადაწყვეტილება და ღონისძიებათა გეგმა გამოქვეყნდეს სამინისტროს ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებულში.

**კოლეგიის თავმჯდომარე,**
**მინისტრი ო. ქინქლაძე**

„ვამტკიცებ"
საქართველოს სსრ განათლების მინისტრი
ო. დ. ქინქლაძე
10 მაისი 1984 წელი

# ღონისძიებები

სსრკ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1984 წლის 16 მარტის გადაწყვეტილებაში „სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის სრულყოფისა და მმართველობითი საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლების დარგში სკკპ 26-ე ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის (1983 წ.) პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულების ორგანიზებისათვის საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მუშაობის შესახებ" აღნიშნული ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით:

— დამუშავდეს სკოლების მშენებლობის პერსპექტიული გეგმა და გაანგარიშდეს მათი მშენებლობისათვის კაპიტალური დაბანდების ლიმიტები და წარედგინოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს განსახილველად

1984 წ. III კვარტალი,
კაპიტალური მშენებლობის განყოფილება, ასსრ განათლების სამინისტროები და სახალხო განათლების განყოფილებები

— შემუშავდეს იმ სკოლების მშენებლობის პერსპექტიული გეგმა, რომლებიც მოთავსებული არიან შეგუებულ და დაქირავებულ შენობებში, საჭირო ლიმიტების გაანგარიშებით

1984 წ., III კვარტალი
კაპიტალური მშენებლობის განყოფილება, ასსრ განათლების სამინისტროები და სახალხო განათლების განყოფილებები

— შემუშავდეს სასკოლო ინტერნატების მშენებლობის პერსპექტიული გეგმა

1984 წ. IV კვარტალი
კაპიტალური მშენებლობის განყოფილება, სკოლების სამმართველო, სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოები

— შემუშავდეს რესპუბლიკაში სოფლად სკოლამდელი დაწესებულებების მშენებლობის პერსპექტიული გეგმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

1984 წ. IV კვარტალი
კაპიტალური მშენებლობის განყოფილება, სკოლამდელი აღზრდის სამმართველო რაისაბჭოს აღმასკომებთან და საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროსთან ერთად

— შესწავლილ იქნას ფიზიკის, ქიმიისა და მათემატიკის გაუმჯობესებული პროგრამების პრაქტიკული ნაწილის შესრულების მდგომარეობა რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში; დასახულ და განხორციელებულ იქნას სათანადო ღონისძიებები

1984 წ.
სკოლების სამმართველო, რესპუბლიკური მეთოდური კაბინეტი

— შემოღებულ იქნას ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის გაღრმავებული სწავლება რესპუბლიკის რიგ რაიონებსა და ქალაქებში

1984—1988 წ. წ.
სკოლების სამმართველო

— შესწავლილ იქნას და შემუშავდეს რესპუბლიკაში ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიისა და მათემატიკის სწავლების მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებანი

1986 წ.
კაპიტალური მშენებლობის განყოფილება

— შემუშავდეს და დაიგზავნოს ადგილებზე მეთოდური რეკომენდაციები ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის სწავლების პროცესში სადემონსტრაციო პრაქტიკულ-ლაბორატორიული სამუშაოების ჩატარების შესახებ.

1985—1986 წ. წ.
სკოლების სამმართველო, ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტსა და მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურ ინსტიტუტთან ერთად

— რესპუბლიკაში ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიისა და მათემატიკის სწავლების მდგომარეობის შესწავლა, სათანადო ღონსძიებების დასახვა და მათი განხორციელება

1986—1988 წ. წ.
სკოლების სამმართველო, რესპუბლიკური მეთოდური კაბინეტი

— რუსული ენის სწავლების მდგომარეობის შემოწმება რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაწყებით კლასებში

1985 წ.
სკოლების სამმართველო

— გაგრძელდეს მუშაობა სასკოლო ინტერნატების ქსელისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მდგომარეობის შესასწავლად მათი რაციონალურად განლაგების, მუშაობის პირობების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შემუშავების მიზნით

1984—1986 წ. წ.
სკოლების სამმართველო

— ჩატარდეს რესპუბლიკური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე „აღმზრდელობითი მუშაობა გახანგრძლივებულ დღის ჯგუფებში“

1985—1986 წ. წ.
სკოლების სამმართველო

— გაგრძელდეს გახანგრძლივებული დღის სკოლებისა და ჯგუფების, სასკოლო ინტერნატების, სასკოლო სასადილოების დათვალიერების ჩატარების პრაქტიკა

1984—1986 წ. წ.
სკოლების სამმართველო

— რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების სახალხო განათლების განყოფილებებისა და შესაბამისი მეთოდკაბინეტების მიერ საზოგადოებრივ-ჰუმანიტარული დისციპლინების სწავლების გაუმჯობესებისათვის გატარებულ ღონისძიებათა შესწავლა და სათანადო რეკომენდაციების შემუშავება

1984—1986 წ. წ.
სკოლების სამმართველო, რესპუბლიკური მეთოდური კაბინეტი

— ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის შესაბამისად, სწავლების ახალ შინაარსზე გადასვლასთან დაკავშირებით, სასწავლო პროგრამების, სახელმძღვანელო და მეთოდური ლიტერატურის მომზადება

1984—1989 წ. წ.
სკოლების სამმართველო, სახელმძღვანელოების სამმართველო, ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

— დასრულდეს მუშაობა რესპუბლიკის ყველა საშუალო სკოლაში ბიოლოგიის, ფიზიკის, ქიმიის, მათემატიკის, რუსული და მშობლიური ენებისა და ლიტერატურის, ისტორიისა და საზოგადოებათმცოდნეობის, გეოგრაფიის, უცხო ენის კაბინეტების შექმნის მიზნით

1984—1986 წ. წ.
სკოლების სამმართველო, მომარაგების მთავარი

სამმართველო, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროები, სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოები

— ამაღლდეს მეთოდური მუშაობის დონე, სოფლის მასწავლებელთათვის კონკრეტული პრაქტიკული დახმარების გაწევის მიზნით შეიქმნას ადგილებზე საყრდენი სკოლები გაუმჯობესებული პროგრამების მოთხოვნათა რეალიზაციის, შრომითი და ზნეობრივი აღზრდის განხორციელებისათვის

1984—1986 წ. წ.

სკოლების სამმართველო, ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

— შესწავლილ იქნას არსებულ სასკოლო შენობებში ერთიანი დაწესებულებების: საბავშვო ბაღი — სკოლა, სკოლა-სკოლისგარეშე დაწესებულება—შერწყმის შესაძლებელი ვარიანტები

1984—1985 წ. წ.

სკოლების სამმართველო, აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო, სკოლამდელი აღზრდის სამმართველო, სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოები

— განხორციელდეს საჭირო ღონისძიებანი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში პროფესიულ-ტექნიკური ჯგუფების ქსელის გაფართოების მიზნით

1984—1986 წ. წ.

სკოლების სამმართველო პროფესიულ-ტექნიკური განათლების რესპუბლიკურ კომიტეტთან ერთად

— სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ფიზიკური აღზრდის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრკ მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 11 სექტემბრის დადგენილების შუქზე სკოლამდელ მუშაკთა რესპუბლიკური თათბირ-სემინარის ჩატარება ქ. ქუთაისში

1984 წ. მაისი

სკოლამდელი აღზრდის სამმართველო

— სკოლის რეფორმის განხორციელებასთან დაკავშირებით სკოლამდელი ასაკის 5-წლიან ბავშვთა სკოლისათვის მომზადების მიზნით შემუშავდეს მეთოდური რეკომენდაციები აღზრდისა და სწავლების საკითხებზე

1984—1990 წ. წ.

სკოლამდელი აღზრდის სამმართველო

—- განხორციელდეს საჭირო ღონისძიებანი რესპუბლიკის საუკეთესო სასკოლო მუზეუმების მუშაობის შესწავლის, განზოგადებისა და

პროპაგანდისათვის, ჩატარდეს მათი პასპორტიზაცია

1984—1985 წ. წ.

აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო

— შემუშავდეს და გამოიცეს მეთოდური რეკომენდაციები მოსწავლეთა პოლიტიკური აღზრდის ფორმების განვითარებისა და სრულყოფის საკითხებზე

1984—1985 წ. წ.

აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო

— დაწესდეს 2 წელიწადში ერთხელ, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეთა მხატვრული თვითმოქმედების რესპუბლიკური ოლიმპიადების, პოლიტიკური სიმღერის რესპუბლიკური კონკურსისა და აგიტბრიგადების დათვალიერების ჩატარება

1986 წ. მარტიდან

აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო

— შემუშავდეს და განხორციელდეს ღონისძიებანი სამართლებრივი აღზრდისა და არასრულწლოვანთა შორის სამართალდარღვევის პროფილაქტიკის სისტემის შემდგომი სრულყოფისათვის

1984—1985 წ. წ.

აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო

— გატარდეს ქმედითი ღონისძიებანი „საბავშვო ბიბლიოთეკის" დამატების 5 ტომეულის „საუბრები ხელოვნებაზე" — დროული გამოცემის მიზნით

1984—1987 წ. წ.

აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო, სახელმძღვანელოების სამმართველო

— ქობულეთის სატყეო სკოლა-სანატორიუმი გადაკეთდეს გულსისხლძარღვთა დაავადების მქონე ბავშვთა რესპუბლიკურ სანატორიულ სკოლა-ინტერნატად

1984 წ. III კვარტალი

სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველო

— ცაგერის რაიონის ლაჟანურის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატში მათემატიკის გაძლიერებული სწავლების კლასების გახსნა

1984 წ. III კვარტალი

სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველო

— სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 5 იანვრის № 25 დადგენილების (მე-4 მუხლი) თანახმად ხელვაჩაურის რაიონის კირნათის, დუშეთის რაიონის კიცხის, რუსთავის სკოლიოზით დაავადებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატებში სკოლამდელი ასაკის ბავშვთა სააღმზრდელო ჯგუფების გახსნა

1984 წ. III კვარტალი

სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველო

— საბავშვო სახლების ქსელის რაციონალიზაციის მიზნით ღონისძიებების გატარება

1984—1985 წ. წ.

სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველო

— რესპუბლიკური მეთოდიკურ-პრაქტიკული კონფერენციის ჩატარება თემაზე „სკოლებისა და სკოლისგარეშე დაწესებულებების პედაგოგიური კოლექტივების როლი მოსწავლეთა თვითმმართველობის განვითარებასა და სრულყოფაში"

1985 წ. IV კვარტალი

აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო

— შესწავლილ იქნას და განზოგადდეს რესპუბლიკის ცალკეულ ქალაქებსა და რაიონებში მოქმედი მშობელთა საზოგადოებებისა და კლუბების მუშაობა

1984—1985 წ. წ.

აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო

— შემუშავდეს და გამოსაცემად მომზადდეს პროგრამები და ქრესტომათიები მუსიკასა და სახვით ხელოვნებაში

1984—1985 წ.წ.

აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო, სახელმძღვანელოების სამმართველო

— დაწესდეს მკაცრი კონტროლი რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეთა შორის საკავშირო ფიზკულტურული კომპლექსის მშთ-ს ნორმატივების მომზადებასა და ჩატარებაზე

1984—1986 წ. წ.

ფიზიკური კულტურისა და სპორტის სამმართველო, სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოები

— გაძლიერდეს მუშაობა რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა შორის ცურვის მასობრივად შესწავლის საქმეში

1984—1986 წ. წ.

ფიზიკური კულტურისა და სპორტის სამმართველო

— გატარდეს ქმედითი ღონისძიებები მომუშავე ახალგაზრდების სწავლების სრულყოფისა და განვითარებისათვის, მიღწეულ იქნას მოზრდილთა თითოეულ სკოლაში, სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტებსა და ჯგუფებში სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის მაღალ დონეზე დაყენება, გაძლიერდეს დახმარება და მომთხოვნელობა სკოლების ხელმძღვანელებისა და მასწავლებლებისადმი, აღიკვეთოს ფორმალიზმისა და ლიბერალიზმის შემთხვევები მუშაობაში. მიღებულ იქნას შესაბამისი

ზომები მოზრდილთა სწავლების ორგანიზაციაში სამეურნეო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ფართოდ ჩაბმის მიზნით

1984—1986 წ. წ.

სალამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველო, სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოები

— სპეციალური ღონისძიებების შემუშავება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების რუსული ენისა და ლიტერატურის, ფიზკულტურის, დაწყებითი სამხედრო მომზადებისა და შრომითი სწავლების მასწავლებელთა კადრებით უზრუნველსაყოფად

1984 წ. I-IV კვარტალი

კადრების სამმართველო, სკოლების სამმართველო, დაწყებითი სამხედრო მომზადების სამმართველო, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამმართველო, საგეგმო-საფინანსო სამმართველო

— ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებელთა ატესტაციის ხარისხის ამაღლების, კერძოდ, მათი მორალური სტიმულირებისა და მეთოდური დახმარების, მუშაობის მოწინავე გამოცდილების შესწავლა-განზოგადების მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით:

— რაიონების (ქალაქების) მეთოდკაბინეტების დათვალიერების ჩატარება

1984 წ.

მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტი

— მეთოდკაბინეტების გამგეების რესპუბლიკური თათბირ-სემინარის ორგანიზება

ყოველწლიურად

კადრების სამმართველო, სკოლების სამმართველო, მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტი

— შესწავლილ იქნას საკითხი და მომზადდეს შესაბამისი წინადადებები სახალხო განათლების მუშაკთა მორალური სტიმულირების შესახებ

1984—1985 წ. წ.

კადრების სამმართველო

— შემუშავდეს რეკომენდაციები სასკოლო სალექციო სისტემისა და სემინარული მეცადინეობების, პრაქტიკუმების სისტემისა და წიგნზე და ცოდნის სხვა წყაროებზე მოსწავლეთა დამოუკიდებელი მუშაობის რეალიზაციის მიზნით

1985 წ.

ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიე-
რებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

F-5269

— შეიმუშავდეს თემები რუსული ენის სწავლების ინტენსიფიკაციისა და რუსულ ენაში მოსწავლეთა ცოდნის დონის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით

1986 წ.

ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

— შესწავლილ იქნას და გატარდეს შესაბამისი ღონისძიებანი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სპორტული ინვენტარითა და მოწყობილობებით უზრუნველყოფის მიზნით

1984—1986 წ. წ.

მომარაგების მთავარი სამმართველო, ფიზიკური კულტურისა და სპორტის სამმართველო

— შესწავლილ იქნას მთავარ გამოთვლით ცენტრთან ერთად ტიპური ნუსხების მიხედვით ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაზგებით, ჩარხებით, საკერავი მანქანებით უზრუნველყოფის საკითხი. განხორციელდეს ზომები ყველა სკოლის სწავლების ტექნიკური საშუალებებითა და მოწყობილობებით საჭირო რაოდენობით უზრუნველყოფისათვის; დაისვას საკითხი აღნიშნული მოწყობილობების დამატებითი ფონდების გამოსაყოფად.

1984—1986 წ. წ.

მომარაგების მთავარი სამმართველო



ს. ქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1984 წლის 10 მაისის გადაწყვეტილება

### საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემის მიერ სახალხო განათლების განვითარების 1983 წლის გეგმების შესრულების, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შედეგებისა და 1984 წლის ამოცანების შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია აღნიშნავს, რომ სახალხო განათლების ადგილობრივმა ორგანოებმა, რესპუბლიკურმა დაწესებულება-ორგანიზაციებმა, ხელმძღვანელობდნენ რა სკკპ 26-ე, საქართველოს კპ 26-ე ყრილობების, სკკპ ცკ-ის შემდგომი პლენუმების, პარტიისა და საბჭოთა მთავრობის, სსრკ განათლების სამინისტროს გადაწყვეტილებებით, პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელობით 1983 წელს მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწიეს რესპუბლიკის ეკონომიური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმების შესრულებისა და საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის გაუმჯობესების საქმეში.

კოლეგია აღნიშნავს, რომ მიუხედავად მიღწეული დადებითი შედეგებისა, სახალხო განათლების ორგანოების, სისტემის დაწესებულება-ორგანიზაციების მუშაობაში კვლავ სერიოზული ნაკლოვანებანი და დარღვევებია.

რესპუბლიკის დღის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოსწავლეთა კონტინგენტის გეგმა ვერ შესრულდა 2495 მოსწავლით, ამ მაჩვენებლის შეუსრულებლობის პირობებში 1983 წლის ბოლოსათვის კლასთა რაოდენობის გეგმა შესრულებულია 188 კლასის გადაჭარბებით (გეგმა 37549; ფაქტიურად 37737), ერთი კლასის დატვირთვა (შევსება) კი რესპუბლიკაში მთლიანად ვერ შესრულდა 0,16 მოსწავლით (გეგმა 22,49; ფაქტიურად 22,33). წლის ბოლოსათვის ნაცვლად დაგეგმილი 3550 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლისა ფუნქციონირებდა 3543 სკოლა, ე. ი. 7-ით ნაკლები.

ასევე ვერ შესრულდა გახანგრძლივებული დღის სკოლებსა და ჯგუფებში მოსწავლეთა ჩაბმის გეგმა. ნაცვლად დაგეგმილი 130,0 ათასი მოსწავლისა, ფაქტიურად ჩაბმულ იქნა მხოლოდ 126,6 ათასი (0-VIII კლასების მოსწავლეთა 17,1%), ე. ი. 3402 მოსწავლით ნაკლები.

გახანგრძლივებული დღის სკოლებსა და ჯგუფებში მოსწავლეთა ჩაბმის გეგმის შესრულება ვერ უზრუნველყვეს: აფხაზეთის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ა/ო, ახალქალაქის, გორის, სამტრედიის, ხაშურისა და სხვა რაიონებმა. ეს მაშინ, როდესაც ამ რეგიონებში შესაბამისი კლასე-

ბის მოსწავლეთა გახანგრძლივებულ დღის სკოლებსა და ჯგუფებში ჩაბმის ხვედრითი წილი ისედაც მეტად დაბალია.

რესპუბლიკის ცალკეულ რეგიონებში კვლავ დაბალია საყოველთაო-სავალდებულო საშუალო განათლების განხორციელების მაჩვენებლები.

ბევრი გადაუჭრელი საკითხია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა შრომითი მომზადებისა და პროფესიული ორიენტაციის საქმიანობის ორგანიზაციის საქმეში.

მიუხედავად გატარებული ღონისძიებებისა, კვლავ სისტემატური ხასიათი აქვს რესპუბლიკის სკოლა-ინტერნატების მოსწავლეთა და საბავშვო სახლების ბავშვთა კონტინგენტის გეგმების შეუსრულებლობას.

1983 წელს სკოლამდელ დაწესებულებებში კვლავ შეუსრულებელი დარჩა ბავშვთა კონტინგენტის გეგმა. 1983 წლის ბოლოსათვის სკოლამდელ დაწესებულებებში გეგმასთან შედარებით 6312 ბავშვით ნაკლები ირიცხებოდა (გეგმა — 129340; ფაქტიურად 123028), აქედან: აფხაზეთის ასსრ-ში — 1599; ქ. რუსთავში — 824, ჩხოროწყუს რაიონში — 306, გურჯაანში — 352, ყვარელში — 232, წალენჯიხაში — 203, ახმეტაში — 183, ქარელში — 192, საგარეჯოში — 133, ლაგოდეხში — 281, ლენტეხში — 151, თეთრ წყაროში — 171 და ა. შ.

გეგმასთან შედარებით ა/წ. 1 იანვრისათვის გაუხსნელი დარჩა 53, ხოლო რემონტში იყო 18 სკოლამდელი დაწესებულება.

აღნიშნული ფაქტები დამაფიქრებელია იმითაც, რომ უმრავლეს რეგიონში 1-დან 6 წლამდე ასაკის ბავშვთა სკოლამდელ დაწესებულებებში ჩაბმის ხვედრითი წილი საერთო საკავშირო მაჩვენებელთან (56,1%) შედარებით ისედაც დაბალ საშუალო რესპუბლიკურ მაჩვენებელს (38,3%) მნიშვნელოვნად ჩამორჩება და მდგომარეობის გამოსასწორებლად კი რაიმე ქმედითი ღონისძიებების გატარებას ადგილებზე არ ახორციელებენ.

არსებითი ნაკლოვანებებია პედაგოგიურ სასწავლებლებში ახალგაზრდობის მიღების საქმეში. გეგმაზომიერი და სისტემატური ხასიათი არა აქვს მუშაობას, რომელსაც ახორციელებენ პედაგოგიური სასწავლებლები აბიტურიენტთა პროფესიული ორიენტაციისა და შერჩევის საქმეში. სახალხო განათლების ორგანოების, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ხელმძღვანელები ყოველთვის ვერ იჩენენ სათანადო ზრუნვას მასწავლებელთა ღირსეული ცვლის შერჩევა-მომზადებაზე. შესუსტებულია მუშაობა პედაგოგიურ სასწავლებლებში ვაჟების მიზიდვის საქმეში. შიდასაკონკურსო მიღება პედაგოგიურ სასწავლებლებში კადრების მიზნობრივი მომზადებისათვის არ შეესაბამება რეგიონების მოთხოვნას კვალიფიციურ კადრებზე, სრულყოფილად არაა გამოყენებული სწავლების დაუსწრებელი ფორმა მომუშავე მასწავლებელთა და აღმზრ-

დელთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად. არ შესრულდა ახალგაზრდა სპეციალისტთა განაწილების 1983 წლის გეგმები, დაბალია დანიშნულების ადგილზე მათი გამოცხადების ხვედრითი წილი.

ახალგაზრდა სპეციალისტთა განაწილების გეგმის შეუსრულებლობისა და იმის გამო, რომ 1983 წელს განაწილებული 1438 ახლად დამთავრებულიდან სამუშაოზე არ გამოცხადდა 363 სპეციალისტი, ბევრ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლას აკლია სათანადო ცენზის მასწავლებელი.

ბევრ ქალაქსა და რაიონში შესუსტებულია ადგილობრივი სახალხო განათლების ორგანოების კონტროლი განათლების ობიექტების დაპროექტების, მშენებლობების, არსებული დაწესებულებების შენობანაგებობათა კაპიტალური შეკეთების მიმდინარეობაზე, რის გამოც ბევრგან სკოლების, სკოლამდელი დაწესებულებების მატერიალური ბაზა არადამაკმაყოფილებელია და არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს.

ჯერ კიდევ ბევრგან მოსწავლეთა საკმაო ნაწილი მეცადინეობს ორ და სამ ცვლაში. რიგ ადგილებში შესუსტებულია მუშაობა სოფლის სკოლების ქსელის რაციონალიზაციის საქმეში, არასათანადო ყურადღება ექცევა დაშორებული სოფლებიდან მოსწავლეთა ტრანსპორტირების საკითხს.

მიუხედავად სახალხო განათლების ობიექტების მშენებლობის წლიური გეგმების შესრულებისა 1983 წელს საექსპლუატაციოდ არ გადაცემულა გეგმით გათვალისწინებული მთელი რიგი სასკოლო და სკოლამდელი დაწესებულებების შენობა. ასე მაგალითად: სასკოლო შენობები მანგლისში — 360 მოსწავლეზე, დმანისის რაიონში — 360 მოსწავლეზე, ჩოხატაურის რაიონში — 216 მოსწავლეზე, ქ. თბილისში — 240 მოსწავლეზე, სკოლამდელ დაწესებულებათა შენობები — კასპის რაიონის სოფელ გოსტიბეში — 50 ბავშვადგილზე, ხობში — 140, დაბა ორჯონიკიძეში — 50, ხაშურში — 100, ჩხოროწყუში — 140, ე. ი. სულ 480 ბავშვადგილზე. ბევრი სასკოლო და სკოლამდელი დაწესებულების შენობა მნიშვნელოვანი დეფექტებით იქნა ჩაბარებული, რის გამოც ზოგიერთი მათგანი დღესაც დანიშნულებისამებრ გამოუყენებელია.

სახალხო განათლების განვითარების მთელი რიგი საგეგმო მაჩვენებლის შეუსრულებლობის გამო სამინისტროს სისტემის საბიუჯეტო დაწესებულებათა შენახვისათვის 1983 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებებიდან სულ აუთვისებელი დარჩა 3097 ათასი მანეთი (გეგმით — 352937 ათასი მანეთი, საკასო შესრულება — 349840 ათასი მანეთი, ე. ი. 99,1%), რაც მთლიანად ადგილობრივ ბიუჯეტზე მოდის. აქედან 1,5 მილიონ მანეთამდე აუთვისებლობა გამოწვეული იქნა სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლების, სასკოლო

ინტერნატებისა და სკოლამდელი დაწესებულებების მოსწავლეთა და აღსაზრდელთა კონტინგენტის გეგმების შეუსრულებლობით. ამასთან ერთად, 610 ათასი მანეთი აუთვისებელი დარჩა კაპიტალური რემონტებისათვის, 284 ათასი მან. სასწავლო ინვენტარ-მოწყობილობათა, 190 ათ. მან. სკოლების საბიბლიოთეკო ფონდების შესავსებად გამოყოფილი ასიგნობებიდან.

განსაკუთრებით დიდი ოდენობით აუთვისებელი თანხები დარჩათ: სამხრეთ ოსეთის ა/ო-ს — 392,8 ათ.მან., ქ. რუსთავს — 175,5 ათ. მან. ბოგდანოვკის რაიონს — 117,2 ათ. მან., გარდაბნის რაიონს — 142,3 ათ. მან., გორის რაიონს — 187,9 ათ. მან., წალკის რაიონს — 161,6 ათ. მან., ყვარლის რაიონს — 141,5 ათ. მან. და სხვა.

საგეგმო დავალებების გადაჭარბებით შესრულების მიუხედავად განათლების სამინისტროს სამეურნეო ორგანიზაციების საქმიანობაში ჯერ კიდევ აღინიშნება ისეთი სახის დარღვევა-ნაკლოვანებანი, რომლებსაც ადგილი ჰქონდა გასულ წლებშიც. ზემოთ აღნიშნულ ნაკლოვანებებთან ერთად, ეს იმის შედეგიცაა, რომ სრულყოფილად არ არის შესრულებული საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1983 წლის 12 მაისის № 9-2 გადაწყვეტილება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემის საბიუჯეტო დაწესებულებათა და სამეურნეო ორგანიზაციების 1982 წლის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შედეგების შესახებ. ჯერ კიდევ ყველა სამეურნეო ორგანიზაციის ხელმძღვანელი ჯეროვან ყურადღებას არ აქცევს სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ზენორმატიული ნაშთების, დებიტორულ-კრედიტორული დავალიანებების, არამწარმოებლური ხარჯების შემცირებისა და ლიკვიდაციის საქმეს.

სერიოზული ნაკლოვანებებია მომარაგების მთავარი სამმართველოს საფინანსო-სამეურნეო საქმიანობაში, განსაკუთრებით საბუღალტრო აღრიცხვიანობის წარმოების საქმეში.

1983 წელს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემაში ჩატარებული დოკუმენტური რევიზიების შედეგად გამოვლენილია უკანონო ხარჯები 326 ათ. მანეთის ოდენობით, მათგან შედარებით დიდი ოდენობით აფხაზეთის ასსრ დაწესებულებებში.

სისტემის სახალხო ორგანოების, საბიუჯეტო დაწესებულებებისა და სამეურნეო ორგანიზაციების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა ლიკვიდაციისათვის, მათ მიერ საგეგმო დავალებათა უთუოდ შესრულების, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად კოლეგიამ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. აღინიშნოს, რომ სახალხო განათლების ორგანოებმა, სისტემის საბიუჯეტო დაწესებულებებმა და სამეურნეო ორგანიზაციებმა ვერ განახორციელეს ქმედითი ღონისძიებანი საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემის მიერ სახალხო განათლების განვითარების 1983

წლის გეგმების შესრულებისა და საბიუჯეტო დაწესებულებებისა და სამეურნეო ორგანიზაციების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შედეგების შესახებ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1983 წლის 12 მაისის № 9-2 გადაწყვეტილების შესასრულებლად, რის გამოც მათ მუშაობაში ჯერ კიდევ არის ცალკეული ნაკლოვანებანი და დარღვევები.

2. საგეგმო-საფინანსო სამმართველოს მოხსენებითი ბარათი „საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემის მიერ სახალხო განათლების განვითარების 1983 წლის გეგმების შესრულების, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შედეგებისა და 1984 წლის ამოცანების შესახებ“ დაეგზავნოთ აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის ა/ო-ს, ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებს, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს, რესპუბლიკური დაქვემდებარების საბიუჯეტო დაწესებულებებსა და სამეურნეო ორგანიზაციებს და დაევალოთ:

2. 1. სასწრაფოდ, დაწვრილებით გააანალიზონ და განიხილონ თავიანთი დაქვემდებარების დაწესებულება-ორგანიზაციათა 1983 წლის საქმიანობაში გამოვლენილ დარღვევა-ნაკლოვანებათა მიზეზები, დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი მომავალში მათი აღმოფხვრისა და 1984 წლისათვის გათვალისწინებული ყველა საგეგმო დავალების უთუო შესრულებისა და საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად;

2. 2. განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ საგეგმო და საფინანსო მაჩვენებლების დაგეგმვას, მათი შესრულების მიმდინარეობის აღრიცხვის საქმიანობას, გაზარდონ ხელმძღვანელთა და სათანადო სამსახურებში დასაქმებულ მუშაკთა პერსონალური პასუხისმგებლობა;

2. 3. ადგილებზე სახალხო განათლების განვითარების გეგმისა და ბიუჯეტის პროექტების შედგენის დროს მეტი ყურადღება მიაქციონ ქსელის განვითარებისა და კონტინგენტის ზრდის პირობებში მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის რეალურ შესაძლებლობებს;

2. 4. სისტემატურად განიხილონ საგეგმო დავალებათა შესრულებისა და საბიუჯეტო ასიგნებათა ათვისების მიმდინარეობა და დასახონ ღონისძიებანი გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად;

2. 5. არ დაუშვან სახსრების უყაირათო და უკანონო ხარჯვის არც ერთი ფაქტი, მკაცრად დასაჯონ ის ხელმძღვანელი მუშაკები, ვისაც ბრალი ედება ასეთი ფაქტების დაშვებაში;

2. 6. კონტროლი დააწესონ და გულმოდგინე ეკონომიკური დასაბუთების გარეშე სათანადო ორგანოებში არ დააყენონ საკითხი დამატებითი ასიგნობების გამოყოფის შესახებ, თუ გარანტირებული არ იქნება მათი დროული და მიზნობრივი ათვისება;

2. 7. მეტი ყურადღება გამოიჩინონ მუშაკთა ტარიფიკაციის სწორ ჩატარებაზე, ზუსტად დაიცვან შესაბამისი წესები და ვადები;

2. 8. გააგრძელონ მუშაობა სასკოლო ქსელის რაციონალიზაციის მიზნით. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მთიანი სოფლების დაწყებითი სკოლებით უზრუნველყოფას. გააუმჯობესონ სასკოლო ინტერნატების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, აამაღლონ მათი როლი;

2. 9. მიიღონ გადამჭრელი ზომები დაწესებულება-ორგანიზაციებში საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშგების სათანადო დონეზე დასაყენებლად, 1984 წლის 1 ივლისამდე მინიმუმამდე დაიყვანონ 1983 წლის ბალანსებით რიცხული დებიტორულ-კრედიტორული დავალიანება, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ზენორმატიული ნაშთები. ამასთან, შემდგომში არ დაუშვან მათი ზრდა;

2. 10. პერიოდულად მოამზადონ სათანადო მასალები საგეგმო დავალებათა შესრულების მიმდინარეობისა და საბიუჯეტო ასიგნობათა ათვისების მდგომარეობაზე ქმედითი ზომების მისაღებად და მოახსენონ ხოლმე აღნიშნულ ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს;

2. 11. ინფორმაცია ჩატარებული მუშაობის შესახებ წარმოუდგინონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1984 წლის 15 აგვისტოსათვის.

3. სამინისტროს სამმართველო-განყოფილებებმა ადგილებზე სახალხო განათლების ორგანოებისა და ცალკეული დაწესებულებების საქმიანობის კომპლექსური შესწავლის დროს ყურადღება გაამახვილონ ძირითადი საგეგმო დავალებების შესრულების მიმდინარეობაზე, საბიუჯეტო თანხების ათვისებაზე; გამოავლინონ მათ საქმიანობაში არსებული ნაკლოვანებანი და მოამზადონ წინადადებანი მათი აღმოფხვრისა და მდგომარეობის გამოსწორების მიზნით.

4. კადრების სამმართველომ (ამხ. ა. ვაჩნაძე) იზრუნოს განათლების სისტემის პედაგოგთა კადრების მომზადებისა და განაწილების დაგეგმვის, აგრეთვე მათი გამოყენების შემდგომი გაუმჯობესებისათვის. განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს რესპუბლიკის მაღალმთიანი და შორეული რაიონებისათვის პედაგოგიური კადრების სკოლების პედაგოგიური საბჭოების რეკომენდაციით მომზადების გაფართოებას;

4. 1. დასახოს და განახორციელოს ღონისძიებანი უმაღლეს სასწავლებლებში სასწავლებლად ახალგაზრდობის, განსაკუთრებით ვაჟების, შერჩევის მდგომარეობის გაუმჯობესებისა და მომუშავე მასწავლებელთა და აღმზრდელთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად სწავლების დაუსწრებელი ფორმის უფრო სრულყოფილად გამოყენებისათვის.

5. სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველომ (ამხ. ჰ. თუთბერიძე) სახალხო განათლების შესაბამის ორგანოებთან ერ-

თად გულდასმით გააანალიზოს სკოლა-ინტერნატებში მოსწავლეთა და საბავშვო სახლებში ბავშვთა კონტინგენტის გეგმების შეუსრულებლობის მიზეზები და მოამზადოს საქმიანი წინადადებანი მომავალში ქსელის რაციონალიზაციისა და კონტინგენტის გეგმების შესრულების უზრუნველსაყოფად.

6. კაპიტალური მშენებლობის განყოფილებამ (ამხ. ბ. აფხაზავა) აამაღლოს პასუხისმგებლობა და კონტროლი კაპიტალური მშენებლობის გეგმების შედგენაზე, ცალკეული ობიექტების დაგეგმვის, დაპროექტებისა და მშენებლობის მიმდინარეობაზე, არ დაუშვას წლიური გეგმით გათვალისწინებული ობიექტის ჩაუბარებლობის არც ერთი ფაქტი.

7. განათლების სამინისტროს მომმარაგებელმა და სხვა სამეურნეო ორგანიზაციებმა (ამხ. ამხ. კ. ძლიერიშვილი, ი. იტრიაშვილი, თ. ქიქოძე, თ. სუპატაშვილი, ვ. რამიშვილი, ა. ბაკურაძე) შეიმუშაონ და გაატარონ ღონისძიებანი, რათა რითმულად სრულდებოდეს საგეგმო დავალებანი და მინიმუმამდე იქნას დაყვანილი დებიტორულ-კრედიტორული დავალიანებანი, ზენორმატიული სასაქონლო ნაშთები და არამწარმოებლური ხარჯები.

8. საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ო. კერესელიძე) აამაღლოს მომთხოვნელობა და კონტროლი დაქვემდებარებულ დაწესებულება-ორგანიზაციებში საგეგმო და საფინანსო დისციპლინის განმტკიცების უზრუნველყოფაზე, სახალხო განათლების განვითარების გეგმისა და ბიუჯეტის პროექტების შედგენის დროს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ქსელის ზრდისათვის ადგილებზე მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის რეალურ შესაძლებლობებს. განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს რესპუბლიკურ საბიუჯეტო დაწესებულებებში სახარჯთაღრიცხვო და საშტატო დისციპლინის დაცვას, მათი შეუფერხებელი ფინანსირებისა და გამოყოფილი ასიგნობების დროული და სრული ათვისების უზრუნველყოფას.

9. საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების სამმართველომ (ამხ. თ. ბალაშვილი) გაატაროს ღონისძიებანი საბიუჯეტო დაწესებულებებსა და სამეურნეო ორგანიზაციებში საბუღალტრო საქმიანობის შემდგომი სრულყოფისათვის, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს თანხების მიზნობრივი და ყაირათიანი ხარჯვის უზრუნველყოფას, არამწარმოებლური ხარჯების თვითეული ფაქტი გახადოს მსჯელობის საგანი, შესაბამის ორგანიზაცია-დაწესებულებებთან ერთად დასახოს ზომები დებიტორულ-კრედიტორული დავალიანებებისა და სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ნაშთების შესამცირებლად, ერთი თვის ვადაში კოლეგიაზე განსახილველად მოამზადოს საკითხი მომარაგების

მთავარ სამმართველოში საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშგების საქმიანობის მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ.

10. კონტროლი კოლეგიის ამ გადაწყვეტილების შესრულების მიმდინარეობაზე დაევალოს საგეგმო-საფინანსო სამმართველოს (ამხ. ო. კერესელიძე).

კოლეგიის თავმჯდომარე,
**მინისტრი ო. ქინქლაძე**

# ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚ-ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲒᲘᲔᲑᲘᲡ 1984 ᲬᲚᲘᲡ 11 ᲛᲐᲘᲡᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐ

## ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან და სკოლა-ინტერნატებთან ორგანიზებულ ექსპერიმენტულ პროფტექნიკურ ჯგუფებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მიმდინარეობის შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 3 ნოემბრის დადგენილების „საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის სასწავლებლებში კვალიფიციური მუშათა კადრების მომზადების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ სკკპ 26-ე და საქართველოს კომპარტიის 26-ე ყრილობების გადაწყვეტილებათა შუქზე" შესასრულებლად საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის ერთობლივი გადაწყვეტილებებით რესპუბლიკის რამდენიმე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატისა და საშუალო სკოლის ბაზაზე, ექსპერიმენტის სახით, შემოღებულ იქნა პროფესიულ-ტექნიკური სწავლება, სამწლიანი სწავლების ვადით.

ცამეტი სოფლის საშუალო პროფტექნიკური სასწავლებლის ბაზაზე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან და სკოლა-ინტერნატებთან ორგანიზებულია 43 სასწავლო ჯგუფი, სადაც 5 დასახელების პროფესიას 1251 მოსწავლე ეუფლება. მათ შორის პირველ კურსზე — 413 მოსწავლე, მეორე კურსზე — 604, მესამე კურსზე — 234 მოსწავლე (ფართო პროფილის ტრაქტორისტი-მემანქანის სპეციალობას ეუფლება 837 მოსწავლე) (დანართი 1).

აღნიშნული სპეციალობები განისაზღვრა ადგილობრივი ორგანოების მიერ წამოყენებული წინადადებების საფუძველზე.

პროფტექნიკური სასწავლებლებისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პედაგოგიურმა კოლექტივებმა, ადგილობრივი საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების დახმარებით, გარკვეული მუშაობა ჩაატარეს სასწავლო ჯგუფების დროული და ხარისხიანი დაკომპლექტებისა და სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ნორმალური წარმართვისათვის.

თეორიული სწავლებისათვის სასწავლო ჯგუფებს გამოეყოთ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კლასკაბინეტები მათში არსებული ინვენტარით, სასწავლო თვალსაჩინოებებითა და სწავლების ტექნიკური

საშუალებებით. დროულად შეირჩა საინჟინრო-პედაგოგიური კადრები. ზოგადსაგანმანათლებლო საგნების მასწავლებლებად დაინიშნენ საშუალო სკოლების პედაგოგები, ხოლო პროფტექნიკური ციკლის საგნების მასწავლებლებად და საწარმოო სწავლების ოსტატებად — ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციების მუშაკები.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში გაკვეთილების ცხრილი სასწავლო ჯგუფებისათვის შედგენილია ცალკე, სასწავლო გეგმებისა და პროგრამების შესაბამისად. ყველა სასწავლო ჯგუფი უზრუნველყოფილია სასწავლო დოკუმენტაციით, სასწავლო გეგმებითა და პროგრამებით. დამაკმაყოფილებელია აღნიშნულ ჯგუფებში მოსწავლეთა გაკვეთილებზე დასწრება.

ამასთან ერთად, სასწავლო ჯგუფების საქმიანობაში შეინიშნება სერიოზული ნაკლოვანებები.

ენისლის მე-2, გარდაბნის მე-10, ლაგოდეხის 88-ე, წალკის 117-ე და ახმეტის 130-ე პროფტექნიკურმა სასწავლბელებმა ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებში გახსნეს ჯგუფები საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის ნებართვის გარეშე. 1982—1983 სასწავლო წელს წულუკიძის მე-9, გარდაბნის მე-10, წითელწყაროს 72-ე, ცაგერის 91-ე, ახალციხის 101-ე და მარტყოფის 115-ე სასწავლებლების მიერ ორგანიზებული ჯგუფებიდან განითესა 31 მოსწავლე, **ანუ 3,4%.**

დარღვევებია საწარმოო სწავლების ოსტატების სპეციალობით დასაქმების საკითხში. არასპეციალობის მიხედვით საწარმოო სწავლების ოსტატებად მუშაობენ გარდაბნის მე-10 სასწავლებელში ლ. ბახტაძე და კ. კასუმოვი, ხოლო წითელწყაროს 72-ე სასწავლებელში გ. გრიგოლიადისი.

სასწავლო ჯგუფებში ლაბორატორიულ-პრაქტიკული მეცადინეობა და საწარმოო სწავლება სერიოზული ხარვეზებით მიმდინარეობს. არც ერთ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში, სადაც სასწავლო ჯგუფებია გახსნილი, სათანადო ფართობის უქონლობის გამო არ ფუნქციონირებს სოფლის სასწავლებლებისათვის საჭირო ლაბორატორიები და სახელოსნოები. ძირითადად ლაბორატორიულ-პრაქტიკული მეცადინეობა ტარდება სოფლის ავტოსატრაქტორო პარკებში, რაც არ არის საკმარისი საპროგრამო მასალის სრულყოფილი ათვისებისათვის. ფაქტიურად სასწავლო ჯგუფებში რგოლური მეცადინეობა არ ტარდება.

საწარმოო სწავლების ისეთი ძირითადი ფორმა როგორიცაა მოსწავლეთა მიერ ტრაქტორებისა და კომბაინების ინდივიდუალური ტარება, ბევრ სასწავლო ჯგუფში, ტექნიკის უქონლობის გამო, სრულყოფილად არ ტარდება.

სოფლის საშუალო პროფტექნიკური სასწავლებლების ბაზაზე არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან და სკოლა-ინტერნატებ-

თან ორგანიზებული სასწავლო ჯგუფების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებების ძირითად მიზეზად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ სასწავლებლის ხელმძღვანელობა არასათანადო კონტროლს ახორციელებს მათ საქმიანობაზე, მაშინ როდესაც იგი სრული პასუხისმგებელია სასწავლო ჯგუფების მუშაობაზე.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს და საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის კოლეგიებმა გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს:

1. დაევალოს პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების დირექტორებს:

1. 1. სასწავლო ჯგუფების მუშაობის გაუმჯობესების მიზნით მიიღონ გადამჭრელი ზომები ამ გადაწყვეტილებაში აღნიშნული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად. განვლილი სასწავლო წლის ანალიზის საფუძველზე შეიმუშაონ კონკრეტული ღონისძიებანი სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით;

1. 2. უზრუნველყონ საინჟინრო-პედაგოგიური კადრების სწორი შერჩევა და განაწილება. პროფტექნიკური ციკლის საგნების მასწავლებლებად და საწარმოო სწავლების ისტატებად მოიწვიონ შესაბამისი განათლებისა და სპეციალობის მუშაკები;

1. 3. გარდაბნის მე-10 (ამხ. ვ. კოკაია) და წითელწყაროს 72-ე (ამხ. მ. პოპიაშვილი) პროფტექნიკური სასწავლებლების დირექტორებმა უზრუნველყონ არასპეციალობით მომუშავე საწარმოო სწავლების ოსტატების შეცვლა;

1. 4. აამაღლონ ზოგადსაგანმანათლებლო ციკლის საგნებში თეორიული მეცადინეობისა და საწარმოო სწავლების დონე. საწარმოო პრაქტიკის პერიოდში მიაღწიონ სასწავლო გეგმებისა და პროგრამების მოთხოვნების შესაბამისად საწარმოო საქმიანობის გაუმჯობესებას. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ შინასასკოლო კონტროლის მოქმედი დებულებით განხორციელების საქმეს. სასწავლებლის პერსპექტიულ სამუშაო გეგმაში ცალკე გამოყონ სასწავლო ჯგუფებთან დაკავშირებული ყველა საკითხი;

1. 5. საბაზო, ადგილობრივ საბჭოთა და დაინტერესებულ სასოფლო-სამეურნეო ორგანოებთან ერთად მიიღონ კონკრეტული ზომები ამ ჯგუფებისათვის სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაქმნელად;

1. 6. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან და სკოლა-ინტერნატებთან ორგანიზებული სასწავლო ჯგუფების სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის სწორ წარმართვაზე მთელი პასუხისმგებლობა დაეკისროს პროფტექნიკური სასწავლებლების ხელმძღვანელობას;

1. 7. არ დაუშვან პროფტექნიკური ჯგუფების გახსნა ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებში საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და საქართველოს სსრ პროფტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის ნებართვის გარეშე;

1. 8. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში პროფტექნიკური ჯგუფების გახსნის ნებართვის მისაღებად 1984—1985 სასწავლო წლიდან ყოველი წლის მაისის ბოლომდე პროფტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტში წარმოადგინონ დასაბუთებული მოთხოვნა (რაიონის პარტიული, ან საბჭოთა ორგანოების დადგენილება) საბაზო ორგანიზაციების თანხმობის თანდართვით და იმ სასწავლო და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ნუსხა, რომელიც ჯგუფების განკარგულებაში გადაიცემა.

2. ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებში გახსნილ პროფტექნიკურ ჯგუფებში სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის სწორი წარმართვისათვის შემუშავებულ იქნას დებულება და ამ მიზნით შეიქმნას კომისია (თან ერთვის).

3. აღნიშნულმა კომისიამ დებულება დასამტკიცებლად წარმოადგინოს 1984 წლის 15 ივნისამდე.

4. საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ზონალურმა სამმართველოებმა (ამხ. ა. ჩეჩელაშვილი, ამხ. ჯ. ჩხენკელი) დააწესონ პერსონალური კონტროლი სასწავლო ჯგუფების მუშაობაზე. დაეხმარონ პროფტექნიკურ სასწავლებლებს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაქმნელად და საბაზო ორგანიზაციებთან ურთიერთობის გასაუმჯობესებლად.

5. განათლების ადგილობრივმა ორგანოებმა, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დირექტორებმა ყოველმხრივი დახმარება აღმოუჩინონ პროფტექნიკური სასწავლებლების სასწავლო ჯგუფებს სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის სათანადო დონეზე წარმართვისათვის.

6. საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის სასწავლო დაწესებულებების მთავარმა სამმართველომ (ამხ. ამხ. ა. თხილაიშვილი, ნ. ჭყონია), ზოგადსაგანმანათლებლო მომზადების სამმართველომ (ამხ. ი. გოლოვანოვი), რესპუბლიკურმა სამეცნიერო-მეთოდურმა ცენტრმა (ამხ. ბ. ლომაია) და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველომ (ამხ. თ. ტატიშვილი) სისტემატური კონტროლი და დახმარება გაუწიონ სასწავლო ჯგუფებს სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით.

7. მოწონებულ იქნას ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან და სკოლა-ინტერნატებთან ექსპერიმენტის სახით ორგანიზებული პროფ-

ტექნიკური ჯგუფები და რეკომენდებულ იქნას აღნიშნული ჯგუფების ფილიალებად გადაკეთება.

8. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის სასწავლო დაწესებულებათა მთავარ სამმართველოს (ამხ. ამხ. ა. თხილაიშვილი, ნ. ჭყონია).

კოლეგიის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ განათლების მინისტრი **ო. ქინქლაძე**

საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე **ს. რიგვავა**

## დებულების შესამუშავებელი კომისიის შემადგენლობა

1. რ. ებრალიძე — საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარე
2. ნ. ჭყონია — საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის განყოფილების უფროსი, კომისიის მდივანი
3. ზ. ლომსიანიძე — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს მთავარი ინსპექტორი
4. გ. დევდარიანი — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს შრომითი სწავლებისა და პროფესიული ორიენტაციის სექტორის გამგე
5. გ. ლაფაჩი — ყვარლის რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარის მოადგილე
6. ა. ჩეჩელაშვილი — საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის აღმოსავლეთ საქართველოს ზონალური სამმართველოს უფროსი
7. ი. ნაცვალაძე — საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის განყოფილების უფროსი
8. ნ. ბზიშვილი — საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის სამეცნიერო-მეთოდური ცენტრის დირექტორის მოადგილე
9. თ. მეგრელიშვილი — საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის ინსპექციის განყოფილების უფროსი
10. ე. თურქიაშვილი — საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის ინსპექტორი
11. კ. სხირტლაძე — სოფელ აფენის საშუალო სკოლის დირექტორი
12. ა. ცირეკიძე — მარტყოფის 115-ე საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის დირექტორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სოფლის საშუალო პროფტექნიკური სასწავლებლების ბაზაზე არსებულ საშუალო სკოლებთან და სკოლა-ინტერნატებთან ორგანიზებული სასწავლო ჯგუფების ჩამონათვალი

| №№ | სასწავლებლის დასახელება | ჯგუფების გახსნის ადგილმდებარეობა | სპეციალობა (სამწლიანი სწავლების ჯგუფები) | მოსწავ. რაოდ. | სწავ. დაწყ. დრო |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 |
| 1 | სოფელ ენისლის მე-2 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი | ყვარლის რაიონის სოფელ თივის საშუალო სკოლის შენობაში | 1. ფართო პროფილის ტრაქტორისტი-მემანქანე (რუსული სექტორი, 1-ლი კურსი) | 35 | 1983 წ. 1/IX |
| | | | 2. ფართო პროფილის ტრაქტორისტი-მემანქანე (მე-2 კურსი რუსული სექტორი) | 30 | 1982 წ. 1/IX |
| 2 | წულუკიძის მე-9 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი | გეგეჭკორის რაიონის სკოლა-ინტერნატის შენობაში | 1. ფართო პროფილის ტრაქტორისტი-მეანქანე | 27 | 1982 წ. 1/IX |
| | | | 2. ფართო პროფილის ტრაქტორისტი-მემანქანე | 28 | 1982 წ. 1/IX |
| | | | 3. სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციისა და კავშირგაბმულობის ელექტრომონტიორი (მე-2 კურსი) | 25 | 1982 წ. 1/IX |
| 3 | გარდაბნის მე-10 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი | გარდაბნის რაიონის სოფელ ნაზარდოს საშუალო სკოლის შენობაში | 1. მეფრინველეობის ფერმის მექანიზატორი (აზერბაიჯანული სექტორი, მე-3 კურსი) | 34 | 1981 წ. 1/IX |
| | | 2. გარდაბნის რაიონის სოფელ ახალი სამგორის საშუალო სკოლის შენობაში | 2. ფართო პროფილის ტრაქტორისტი-მემანქანე (მე-2 კურსი) | 29 | 1982 წ. 1/IX |

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 |
|---|---|---|---|---|---|
| 4 | წითელწყაროს 72-ე საშუალო პროფესიულ - ტექნიკური სასწავლებელი | 1. წითელწყაროს რაიონის სოფელ ქვემო ქედის საშუალო სკოლის შენობაში<br>2. წითელწყაროს რაიონის სოფელ საბათლოს სადამოს საშუალო სკოლის დასწრებულ - დაუსწრებელ საკონსულტაციო პუნქტის შენობაში | 1. ფართო პროფილის ტრაქტორისტი-მემანქანე (მე-2 კურსი) | 20 | 1982 წ. 1/IX |
| | | | 2. ფართო პროფილის ტრაქტორისტი-მემანქანე (სომხური სექტორი, მე-3 კურსი) | 21 | 1981 წ. 1/IX |
| 5 | ლანჩხუთის 83-ე საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი | აჭარის ასსრ ქედის რაიონის სოფელ მახუნცეთის სკოლა-ინტერნატის შენობაში | 1. ფართო პროფილის ტრაქტორისტი-მემანქანე | 30 | 1983 წ. 1/IX |
| | | | 2. მეცხოველეობის ფერმის მექანიზატორი (1-ლი კურსი) | 30 | 1983 წ. 1/IX |
| | | | 3. ფართო პროფილის ტრაქტორისტი-მემანქანე | 35 | 1982 წ. 1/IX |
| | | | 4. მეცხოველეობის ფერმის მექანიზატორი (მე-2 კურსი) | 35 | 1982 წ. 1/IX |
| 6 | ლაგოდეხის 88-ე საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი | 1. ლაგოდეხის რაიონის სოფელ კაბლის საშუალო სკოლის ძველ შენობაში | 1. ფართო პროფილის ტრაქტორისტი-მემანქანე | 30 | 1983 წ. 1/IX |
| | | | 2. ფართო პროფილის ტრაქტორისტი-მემანქანე | 33 | 1983 წ. 1/IX |
| | | | 3. მეცხოველეობის ფერმის მექანიზატორი (1-ლი კურსი) | 32 | 1983 წ. 1/IX |
| | | | 4. ფართო პროფილის ტრაქტორისტი-მემანქანე | 30 | 1982 წ. 1/IX |

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 |
| --- | --- | --- | --- | --- | --- |
| | | | 5. ფართო პროფილის ტრაჰტორისტი-მემანქანე | 32 | 1982 წ. 1/IX |
| | | | 6 მეცხოველეობის ფერმის მექანიზატორი (მე-2 კურსი) | 23 | 1982 წ. 1/IX |
| | | | 7. ფართო პროფილის ტრაქტორისტი-მემანქანე | 25 | 1981 წ. 1/IX |
| | | | 8. ფართო პროფილის ტრაქტორისტი-მემანქანე | 35 | 1981 წ. 1/IX |
| | | | 9. ფართო პროფილის ტრაქტორისტი-მემანქანე (მე-3 კურსი) სოფელ კაბალის ჯგუფებში მეცადინეობა მიმდინარეობს აზერბაიჯანულ ენაზე | 28 | 1981 წ. 1/IX |
| | | 2. ლაგოდეხის რაიონის სოფელ აფენის საშუალო სკოლის შენობაში | 10. ფართო პროფილის ტრაქტორისტი-მემანქანე (1-ლი კურსი) | 26 | 1983 წ. 1/1X |
| | | | 11. ფართო პროფილის ტრაქტორისტი-მემანქანე (მე-2 კურსი) | 34 | 1982 წ. 1/IX |
| | | 3. ლაგოდეხის რაიონის სოფელ ყარსუბნის საშუალო სკოლის შენობაში | 12. ფართო პროფილის ტრაქტორისტი-მემანქანე (1-ლი კურსი) | 20 | 1983 წ. 1/IX |
| | | | 13. ფართო პროფილის ტრაქტორისტი-მემანქანე (მე-3 კურსი) | 24 | 1981 წ. 1/IX |

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 |
|---|---|---|---|---|---|
| 7 | ცაგერის 91-ე საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი | ცაგერის რაიონის სოფელ ალპანის საშუალო სკოლის შენობაში | მეცხოველეობის ფერმის მექანიზატორი (მე-3 კურსი) | 22 | 1981 წ. 1/IX |
| 8 | ახალციხის 101-ე საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი | ახალციხის რაიონის სოფელ წყალთბილის საშუალო სკოლის შენობაში | 1. ფართო პროფილის ტრაქტორისტი-მემანქანე (სომხური სექტორი, მე-2 კურსი) | 20 | 1982 წ. 1/IX |
| | | | 2. ფართო პროფილის ტრაქტორისტი-მემანქანე (სომხური სექტორი, მე-2 კურსი) | 16 | 1982 წ. 1/IX |
| 9 | გალის 102-ე საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი | გალის რაიონის სოფელ ოტობაიას საშუალო სკოლის შენობაში | 1. ფართო პროფილის ტრაქტორისტი-მემანქანე (1-ლი კურსი) | 30 | 1983 წ. 1/IX |
| 10 | მარტყოფის 115-ე საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი | საგარეჯოს რაიონის სოფელ ლამბალოს საშუალო სკოლის შენობაში | 1. ფართო პროფილის ტრაქტორისტი-მემანქანე (1-ლი კურსი) | 35 | 1983 წ. 1/IX |
| | | | 2. ფართო პროფილის ტრაქტორისტი-მემანქანე (მე-2 კურსი) | 39 | 1982 წ. 1/IX |
| | | | 3. ფართო პროფილის ტრაქტორისტი-მემანქანე (მე-3 კურსი) სოფელ ლამბალოს ჯგუფებში მეცადინეობა მიმდინარეობს აზერბაიჯანულ ენაზე | 45 | 1981 წ. 1/IX |

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 |
|---|---|---|---|---|---|
| 11 | ახალქალაქის 116-ე საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი | 1. ახალქალაქის რაიონის სოფელ ქართიკის საშუალო სკოლის შენობაში<br>2. ბოგდანოვკის რაიონის სოფელ მანზარის საშუალო სკოლის შენობაში<br>3. ახალქალაქის რაიონის სოფელ ალათუმანის საშუალო სკოლის შენობაში | 1. მეცხოველეობის ფერმის მექანიზატორი (მე-2 კურსი, სომხური სექტორი)<br>2. ფართო პროფილის ტრაქტორისტი-მემანქანე (სომხური სექტორი, მე-2 კურსი)<br>3. ფართო პროფილის ტრაქტორისტი-მემანქანე (სომხური სექტორი) | 25<br>25<br>24 | 1982 წ. 1/IX<br>1982 წ. 1/IX<br>1983 წ. 1/IX |
| 12 | წალკის 117-ე საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი | 1. წალკის რაიონის სოფელ ნარდევანის საშუალო სკოლის შენობაში<br>2. წალკის რაიონის სოფელ ავრანლოს საშუალო სკოლის შენობაში<br>3. წალკის რაიონის სოფელ აშკალის საშუალო სკოლის შენობაში | 1. მეცხოველეობის ფერმის მექანიზატორი (სომხური სექტორი, მე-2 კურსი)<br>2. სასოფლო მშენებლობის ოსტატი (სომხური სექტორი, 1-ლი კურსი)<br>1. ცხოველთა ვეტერინარული დამუშავებისა და შენობის დეზინფექციის ოპერატორები (სომხური სექტორი, 1-ლი კურსი)<br>2. ფართო პროფილის ტრაქტორისტი-მემანქანე (სომხური სექტორი, მე-2 კურსი) | 33<br>28 | 1982 წ. 1/IX<br>1983 წ. 1/IX |

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 |
|---|---|---|---|---|---|
| 13 | ახმეტის 130-ე საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი | ახმეტის რაიონის სოფელ ალვანის საშუალო სკოლის შენობაში | 1. მეცხოველეობის ფერმის მექანიზატორი (1-ლი კურსი) | 32 | 1983 წ. 1/IX |
| | | | 2. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ოსტატი (მე-2 კურსი) | 32 | 1982 წ. 1/IX |
| | | | 3. მეცხოველეობის ფერმის მექანიზატორი (სომხური სექტორი, მე-2 კურსი) | 35 | 1982 წ. 1/IX |

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

## РЕШЕНИЕ КОЛЛЕГИИ МИНИСТЕРСТВА ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР И ПРЕЗИДИУМА РЕСПУБЛИКАНСКОГО КОМИТЕТА ПРОФСОЮЗА РАБОТНИКОВ ПРОСВЕЩЕНИЯ, ВЫСШЕЙ ШКОЛЫ И НАУЧНЫХ УЧРЕЖДЕНИЙ

### Об итогах социалистического соревнования за образцовую постановку бухгалтерского учета централизованных бухгалтерий при городских (районных в городах) отделах народного образования республики и бухгалтерий при учреждениях системы Министерства просвещения за 1983 год

**28 мая 1984 года**

В соответствии с совместным решением коллегии Министерства просвещения Грузинской ССР и Президиума Республиканского Комитета профсоюза работников просвещения, высшей школы и научных учреждений № 12 от 9 декабря 1982 года, изданного на основании постановления Совета Министров Грузинской ССР от 15 апреля 1980 года № 282 «О мерах по совершенствованию организации бухгалтерского учета и повышения его роли в рациональном и экономном использовании материальных, трудовых и финансовых ресурсов» и постановления Центрального Комитета КП Грузии, Совета Министров ГССР, Республиканского Совета профсоюза и ЦК ЛКСМ от 15 апреля 1981 года № 323 «О Республиканском социалистическом соревновании за успешное выполнение и перевыполнение заданий одинадцатой пятилетки» коллегия Министерства просвещения ГССР и Президиум Республиканского Комитета профсоюза работников просвещения, высшей школы и научных учреждений рассмотрев материалы, представленные рабочей группой Республиканской комиссии об итогах соцсоревнования за образцовую постановку бухгалтерского учета за 1983 год, р е ш а ю т:

1. Признать победителями в социалистическом соревновании за образцовую постановку бухгалтерского учета, наградить дипломом и первой денежной премией Министерства просвещения Грузинской ССР и Республиканского Комитета профсоюза:

— централизованную бухгалтерию при Министерстве просвещения Абхазской АССР (гл. бухгалтер Кометиани Н. Ч.);

— централизованную бухгалтерию городского отдела на-

ეროვნული ბიბლიოთეკა

родного образования гор. Рустави (гл. бухгалтер Иобашвили М. В);

— централизованную бухгалтерию Ленинского районного отдела народного образования гор. Тбилиси (гл. бухгалтер Ломидзе В. И.);

— централизованную бухгалтерию городского отдела народного образования гор. Кутаиси (гл. бухгалтер Григалашвили М. Т.);

— централизованную бухгалтерию Зестафонского районного отдела народного образования (гл. бухгалтер Бахтадзе Д. С.

2. Сумму денежной премии для каждой ценрализованной бухгалтерии определить соразмерно с численностью работников Ц/Б и в соответствии с размерами, указанными в приложении №2 к решению коллегии Министерства просвещения Грузинской ССР и Президиума Грузинского Республиканского Комитета профсоюза работников просвещения, высшей школы и научных учреждений № 12 от 9 декабря 1982 года.

3. Контроль за выполнением настоящего решения возложить на Управление бухгалтерского учета и отчетности Министерства просвещения ГССР (тов. Багашвили Т. С.).

**Председатель коллегии,**
**Министр просвещения**
**Грузинской ССР**
**О. Кинкладзе**

**Председатель Республиканского**
**Комитета профсоюза работников**
**просвещения, высшей школы и**
**научных учреждений**
**Д. Иоселиани**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის, განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტისა და საქართველოს სსრ პედაგოგიური საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის 1984 წლის 14 ივნისის

## გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

### რესპუბლიკის რაიონების (ქალაქების) მეთოდური კაბინეტების საზოგადოებრივი დათვალიერების ჩატარების შედეგების შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია, საქართველოს სსრ განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი და საქართველოს სსრ პედაგოგიური საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავენ, რომ სკკპ 26-ე და საქართველოს კპ 26-ე ყრილობების, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების (1982, 1983, 1984 წ. წ.) გადაწყვეტილებათა შესასრულებლად ჩატარებულმა რესპუბლიკის რაიონების (ქალაქების) მეთოდური კაბინეტების 1-ლმა საზოგადოებრივმა დათვალიერებამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა მეთოდური მუშაობის ყველა რგოლის საქმიანობა, ხელი შეუწყო მათ შემდგომ შინაარსობრივ და მეთოდურ სრულყოფას, საგრძნობლად აამაღლა პედაგოგიური კადრებისადმი მეთოდური დახმარების დონე, განამტკიცა მეთოდური კაბინეტების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

დათვალიერებამ ნათელყო, რომ უნარიანი შემოქმედებითი ძიებით წარმართავენ მუშაობას და სანიმუშოდ უძღვებიან განათლების მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების საქმეს თბილისის ლენინისა და 26 კომისრის სახელობის რაიონების, ქ. ქ. ტყვარჩელის, რუსთავის, მახარაძის, გორის, ყვარლისა და თბილისის კალინინის სახელობის რაიონების მეთოდური კაბინეტები (გამგეები: მ. აფხაზავა, ლ. სტურუა, თ. არშბა, ბ. ჯანგიძე, მ. ოკუჯავა, ნ. ბუჟღულაშვილი, გ. ზუბიტაშვილი, ც. სულაძე).

მეთოდგაერთიანებების მიზანმიმართული დაგეგმვით, მუშაობის მწყობრი სისტემით, ეფექტიანობით გამოირჩევიან ქ. ფოთის 1-ლი საშუალო სკოლის ქიმიის მასწავლებელთა მეთოდური გაერთიანება (ამხ. ნ. ტაბიძე), გორის საქალაქო მეთოდკაბინეტი (ამხ. თ. კალანდაძე), გაგრის რაიონის სოფელ ხეივნის მე-2 საშუალო სკოლის მეთოდური კაბინეტი (ამხ. ნ. კოჟედუბოვა), გურჯაანისა და ქობულეთის რაიონული

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეთოდური გაერთიანებები (ამხ. ამხ. ლ. ჯიღაური, ლ. ურიდია).

მასწავლებელთა მეთოდურ-პედაგოგიური დახელოვნებისათვის დიდ მუშაობას ატარებენ და მოწონებას იმსახურებენ ქ. ქ. ფოთის, ცხინვალის, სოხუმის, თბილისის კიროვის, გაგრის, წულუკიძის, ცაგერის, სოხუმის, თერჯოლის, თელავის წყალტუბოს მეთოდური კაბინეტები (ამხ. ამხ.: ა. ხომერიკი, ლ. ძუცოვა, ლ. ჩიქოვანი, მ. ყუფარაძე, კ. ნესტეროვა, მ. ხვედელიძე, ა. მარუაშვილი, ი. კიკაჩეიშვილი, ლ. კალაძე, ლ. თოფურია).

ამასთან, საზოგადოებრივმა დათვალიერებამ გამოავლინა არსებითი ხასიათის ნაკლოვანებები.

ძირითადი სახელმძღვანელო დებულებების უგულებელყოფის გამო თბილისის ორჯონიკიძის სახელობის, ოჩამჩირის, მარნეულის, ჩოხატაურის, წალკის, ბოგდანოვკის, ცხაკაიას, ლაგოდეხის, ზესტაფონის რაიონების მეთოდური კაბინეტებისა და მეთოდგაერთიანებების სამუშაო გეგმები სრულყოფილად ვერ ასახავენ სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესისა თუ კლასგარეშე მუშაობის პრობლემებს, დასახულ ამოცანათა განხორციელების გზებსა და საშუალებებს. გუდაუთის, ჯავის, ლაგოდეხის, ოჩამჩირის, ჩოხატაურის რაიონებში ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა მასწავლებელთა დაახლოვებას მუშაობის მოწინავე მეთოდების შეიარაღებულ პედაგოგიურ პრაქტიკასთან. წარმოადგენენ რა დახელოვნების ინსტიტუტებისა და მეთოდგაერთიანებების დამაკავშირებელ რგოლს, რაიონული მეთოდური კაბინეტების ერთი ნაწილი (ოჩამჩირის, გუდაუთის, ჯავის, მარნეულის, ლანჩხუთის, ახალქალაქის, წალკის, ბოგდანოვკის, ცხაკაიას, ხობის, ზესტაფონის, თბილისის ორჯონიკიძის სახელობისა და გლდანის რაიონების მეთოდური კაბინეტები) მუდმივ საზრუნავად არ მიიჩნევს საკურსო მუშაობისათვის მასწავლებელთა სათანადოდ მომზადებას, არ უზრუნველყოფს საკურსო მუშაობისათვის მასწავლებელთა სათანადოდ მომზადებას, არ უზრუნველყოფს საკურსო ღონისძიებებში მათ დროულად ჩაბმას, სუსტად ახორციელებს მასწავლებელთა ორიენტირებას ინდივიდუალური მუშაობის საჭირო მიმართულებებით გასაშლელად, არ ხვეწს დამწყებ პედაგოგებთან მუშაობის მეთოდებს.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ, საქართველოს სსრ განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკურმა კომიტეტმა და საქართვეთლოს სსრ პედაგოგიური საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პრეზიიდუმმა **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს:**

1. სკკპ 26-ე და საქართველოს კპ 26-ე ყრილობების, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების (1982, 1983, 1984 წ. წ.) გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ჩატარებული რესპუბლიკის რაიონების

(ქალაქების) მეთოდური კაბინეტების 1-ელ საზოგადოებრივ დათვალიერებაში მოპოვებული წარმატებებისათვის გამარჯვებულად მიჩნეულ იქნან და მიენიჭოთ:

რესპუბლიკის საქალაქო მეთოდურ კაბინეტებს შორის:

ა) I ადგილი — თბილისის ვ. ი. ლენინის სახ. რაიონის მეთოდურ კაბინეტს (ამხ. მ. აფხაზავა) და დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და საქართველოს სსრ განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით, დიპლომით და ფასიანი საჩუქრით 100 მანეთის ოდენობით;

ბ) II ადგილი — თბილისის 26 კომისრის სახ. რაიონის მეთოდურ კაბინეტს (ამხ. ლ. სტურუა) და დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საპატიო სიგელითა და ფასიანი საჩუქრით 75 მანეთის ოდენობით;

გ) III ადგილი — ქ. ტყვარჩელის მეთოდურ კაბინეტს (ამხ. თ. არშბა) დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საპატიო სიგელითა და ფასიანი საჩუქრით 50 მანეთის ოდენობით;

დ) მეთოდური კაბინეტის მუშაობისადმი უნარიანი ხელმძღვანელობისა და პედაგოგიური კადრებისადმი ჯეროვანი მეთოდური დახმარებისათვის დაჯილდოვდნენ საპატიო სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით 50 მანეთის ოდენობით თბილისის კალინინის სახ. რაიონისა და ქ. რუსთავის მეთოდური კაბინეტების გამგეები — ც. სულაძე და ბ. ჯანგიძე.

რესპუბლიკის რაიონების მეთოდურ კაბინეტებს შორის გამარჯვებულად მიჩნეულ იქნან და მიენიჭოთ:

ა) I ადგილი — მახარაძის რაიონის მეთოდურ კაბინეტს (ამხ. მ. ოკუჯავა) და დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და საქართველოს სსრ განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით, დიპლომითა და ფასიანი საჩუქრით 100 მანეთის ოდენობით;

ბ) II ადგილი — გორის რაიონის მეთოდურ კაბინეტს (ამხ. ნ. ბუჯღულაშვილი) და დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საპატიო სიგელითა და ფასიანი საჩუქრით 75 მანეთის ოდენობით;

გ) III ადგილი — ყვარლის რაიონის მეთოდურ კაბინეტს (ამხ. გ. ზუბიტაშვილი) და დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საპატიო სიგელითა და ფასიანი საჩუქრით 50 მანეთის ოდენობით.

რესპუბლიკის საქალაქო მეთოდგაერთიანებებს შორის გამარჯვებულად მიჩნეულ იქნან და მიენიჭოთ:

ა) I ადგილი — ფოთის 1-ლი საშუალო სკოლის ქიმიის მასწავლებელთა სასკოლათაშორისო მეთოდურ გაერთიანებას (ამხ. ნ. ტაბიძე) და დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საპატიო სიგელითა და ფასიანი საჩუქრით 60 მანეთის ოდენობით;

ბ) II ადგილი — გორის საქალაქო მეთოდურ გაერთიანებას (ამხ. თ. კალანდაძე) და დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საპატიო სიგელითა და ფასიანი საჩუქრით 50 მანეთის ოდენობით.

სასკოლო, სასკოლათაშორისო და რაიონულ მეთოდგაერთიანებებს შორის გამარჯვებულად მიჩნეულ იქნან და მიენიჭოთ:

ა) I ადგილი — გაგრის რაიონის სოფელ ხეივნის მე-2 საშუალო სკოლის მეთოდურ კაბინეტს (ამხ. ნ. კოჟედუბოვა) და დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საპატიო სიგელითა და ფასიანი საჩუქრით 60 მანეთის ოდენობით;

ბ) II ადგილი — გურჯაანის რაიონულ მეთოდურ გაერთიანებას (ამხ. ლ. ჯიღაური) და დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საპატიო სიგელითა და ფასიანი საჩუქრით 50 მანეთის ოდენობით;

გ) III ადგილი — ქობულეთის რაიონის მეთოდურ გაერთიანებას (ამხ. ა. ურიდია) და დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საპატიო სიგელითა და ფასიანი საჩუქრით 40 მანეთის ოდენობით.

2. რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების საზოგადოებრივ დათვალიერებაში გამარჯვებული მეთოდური სამსახურის მუშაკთა დაჯილდოება მოხდეს განათლების განყოფილებასთან შექმნილი საპრემიო ფონდისა და სოცშეჯიბრისათვის გამოყოფილი თანხების ანგარიშში.

3. მოწონებულ იქნას ქ. ქ. ფოთის, ცხინვალის, სოხუმის, თბილისის კალინინისა და კიროვის, გაგრის, წულუკიძის, ცაგერის, სოხუმის, თერჯოლის, თელავის, წყალტუბოს მეთოდური კაბინეტების მუშაობა მასწავლებელთა პედაგოგიური დაოსტატების საქმეში მიღწეული წარმატებებისათვის.

4. აღინიშნოს ოჩამჩირის, გუდაუთის, ცხაკაიას, ჯავის, მარნეულის, ახალქალაქის, წალკის, ბოგდანოვკის მეთოდური კაბინეტების სუსტი მუშაობა (დათვალიერების შედეგების დაჯამების დაბალი მაჩვენებლების მიხედვით).

5. გადაწყვეტილების შინაარსი გამოქვეყნდეს გაზეთ „სახალხო განათლებაში" და დაიბეჭდოს ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებულში.

6. რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მეთოდური კაბინეტების მე-2 რესპუბლიკური დათვალიერება ჩატარდეს 1985—1986 სასწავლო წელს.

კოლეგიის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ განათლების მინისტრი ო. ქინქლაძე

განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე დ. იოსელიანი

საქართველოს სსრ პედაგოგიური საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე
დ. დარჩია

# ც ნ ო ბ ა

## რესპუბლიკის რაიონების (ქალაქების) მეთოდური კაბინეტების საზოგადოებრივი დათვალიერების შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის, განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტისა და საქართველოს სსრ პედაგოგიური საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილების თანახმად 1982—1983 სასწავლო წელს ჩატარდა მეთოდური კაბინეტების 1-ლი რესპუბლიკური საზოგადოებრივი დათვალიერება.

დათვალიერების ძირითადი მიზანი იყო რესპუბლიკის მეთოდური კაბინეტების აქტიური ჩაბმა სკკპ 26-ე და საქართველოს კპ 26-ე ყრილობების, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების (1982, 1983, 1984 წ. წ.) გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, მეთოდური მუშაობის ყველა რგოლის საქმიანობის გაუმჯობესებისათვის, მუშაობის შემდგომი შინაარსობრივი და მეთოდური სრულყოფისათვის, პედაგოგიური კადრებისადმი მეთოდური დახმარების ხარისხის ამაღლებისათვის.

დებულების თანახმად დათვალიერება ჩატარდა სამ ეტაპად.

პირველ ეტაპზე დათვალიერებაში მონაწილეობა მიიღეს სასკოლო და სასკოლათაშორისო საგნობრივმა მეთოდურმა გაერთიანებებმა, მეთოდურმა საბჭოებმა, სასკოლო მეთოდურმა კაბინეტებმა და მეთოდურმა კუთხეებმა.

მეორე ეტაპზე მოეწყო რაიონების (ქალაქების) მეთოდური კაბინეტების, რაიონული (საქალაქო) საგნობრივი გაერთიანებების დათვალიერება.

მესამე ეტაპზე დაჯამდა რესპუბლიკური დათვალიერების შედეგები.

რესპუბლიკის მეთოდური კაბინეტების საზოგადოებრივმა დათვალიერებამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მეთოდური კაბინეტების მატერიალური ბაზის შემდგომ გაუმჯობესებას, რესპუბლიკის პედაგოგიური კადრების კვალიფიკაციის ამაღლებას. მეთოდური კაბინეტების მიერ მასწავლებლები და სკოლის ხელმძღვანელი მუშაკები მეთოდური დაოსტატების მიზნით მეტი პასუხისმგებლობით იგზავნებიან დახელოვნების კურსებზე, ეწყობა მათი ადგილზე გადამზადება, ტარდება მეთოდური ხასიათის კონფერენციები, სემინარები, კონსულტაციები, ღია გაკვეთილები, „მეთოდური დღეები". კაბინეტების მუშაობაში ფართოდ ინერგება სწავლების ახალი მეთოდები, უმჯობესდება სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ხარისხი, ღრმავდება მოსწავლეთა მიერ მეცნიერების საფუძვლების დაუფლება.

დათვალიერებამ ნათელყო, რომ უნარიანი შემოქმედებითი ძიებით წარმართავს მუშაობას თბილისის ლენინის სახელობის რაიონის მეთოდური კაბინეტი (ამხ. მ. აფხაზავა). ამ მეთოდური მუშაობის სხვა ღონისძიებებთან ერთად შექმნილია და მუშაობს სხვადასხვა საგნის მასწავლებელთათვის მუდმივმოქმედი სემინარი, რომელიც სერიოზულ მეთოდურ დახმარებას უწევს მასწავლებლებს. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ქართული ენისა და ლიტერატურის ახალგაზრდა მასწავლებელთა სემინარის მუშაობა, რომელსაც კაბინეტის მეთოდისტი ბერძენიშვილი ხელმძღვანელობს. რაიონის მასწავლებელთა პედაგოგიურ-მეთოდური დახელოვნების საქმეში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ, აგრეთვე, მეთოდური კაბინეტის მიერ ორგანიზებული „გამოცდილების სკოლები“, რომლებიც ქიმიის, ფიზიკის, გეოგრაფიისა და სხვა საგნების მოწინავე მასწავლებელთა გამოცდილების ბაზაზეა შექმნილი.

აღსანიშნავია, რომ მეთოდკაბინეტის გამგეს ამხ. მ. აფხაზავას მიგნებული აქვს მეთოდური მუშაობის მართვის საინტერესო ფორმები, რომელთა მეშვეობითაც ადვილად აკონტროლებს და ხელმძღვანელობს რაიონში მეთოდურ მუშაობას, ყველა მეთოდისტის საქმიანობას.

ბევრი საინტერესო ღონისძიების ინიციატორია თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის მეთოდური კაბინეტი (ამხ. ლ. სტურუა). აქ კარგ ტრადიციადაა დამკვიდრებული „ერთი დღე სკოლაში“. ასეთი „მეთოდური დღეები“ რაიონის ბევრ სკოლაში ტარდება. ისინი ხელს უწყობენ მეთოდურ კაბინეტს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის კომპლექსურად შესწავლაში. მეთოდური მუშაობის აქტუალური საკითხების გამოკვეთაში, რომელსაც შემდეგ ეძღვნება სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები.

მეთოდური კაბინეტი სერიოზულ დახმარებას უწევს სკოლის ხელმძღვანელ მუშაკებს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დაგეგმვის, მეთოდური მუშაობის სწორად წარმართვისა თუ შინასასკოლო ხელმძღვანელობისა და კონტროლის სათანადო სიმაღლეზე დაყენების საქმეში.

მეთოდურმა კაბინეტმა 1983 წელს სამართლიანად დაიმსახურა ბრინჯაოს მედალი სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე ახალგაზრდა მასწავლებლებთან მუშაობის ამსახველი ექსპონატების გამო.

მასწავლებელთა და სკოლის ხელმძღვანელ მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და მათდამი მეთოდური დახმარების საქმეს სანიმუშოდ უძღვება მახარაძის რაიონის მეთოდური კაბინეტი (ამხ. მ. ოკუჯავა), სადაც სერიოზული მუშაობა ტარდება ისეთი პრობლემური საკითხების გადასაჭრელად, როგორიცაა თანამედროვე გაკვეთილი და სასწავლო პროცესის სრულყოფა, აღზრდისადმი კომპლექსური მიდგომა და მშობელთა პედაგოგიზაცია, მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური და ზნეობრივი აღზრდა. კაბინეტის მუშაობაში საპატიო ადგილი უკავია მო-

წინავე პედაგოგიური გამოცდილების შესწავლასა და განზოგადებას. აქტუალური საკითხების გათვალისწინებითაა შედგენილი კაბინეტისა და მეთოდური საბჭოს სამუშაო გეგმები, მოსაწონია გეგმიური საკითხების შესრულებაზე კაბინეტის გამგის მ. ოკუჯავას პასუხისმგებლობა და გონივრულად შემუშავებული კონტროლის ფორმები.

მოწონებას იმსახურებს ქ. გორისა და გორის რაიონის მეთოდური კაბინეტების მუშაობა (ამხ. ამხ. თ. კალანდაძე, ნ. ბუჟღულაშვილი). აღნიშნული კაბინეტები სხვა საქმიანობასთან ერთად განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების, მათი პედაგოგიურ-მეთოდური დახელოვნების საქმის გაუმჯობესებას. ყოველწლიურად ატარებენ სასწავლო-შემოქმედებით თუ მეთოდურ-პრაქტიკულ კონფერენციებს, თათბირ-სემინარებს, ოლიმპიადებს, მეთოდურ კვირეულებსა და მეთოდურ დღეებს. კაბინეტების გამგეების ნ. ბუჟღულაშვილისა და თ. კალანდაძის მეთოდური სამსახურის საქმისადმი პასუხისმგებლური დამოკიდებულებითა და უნარიანი გაძღოლით უნდა აიხსნას ის, რომ აქ სანიმუშოდაა მოწესრიგებული საქალაქო და რაიონული მეთოდგაერთიანებების საქმიანობა, დამაკმაყოფილებელია მათ მიერ პედაგოგიური კადრებისადმი გაწეული მეთოდური დახმარების დონე.

კაბინეტების საზოგადოებრივი დათვალიერების შედეგების შესწავლის მასალებით ნათელი გახდა, რომ მეთოდური მუშაობის მიზანსწრაფულობით, მასშტაბურობით, მასწავლებელთა და სკოლის ხელმძღვანელი მუშაკებისადმი მეთოდური დახმარების მაღალი დონით გამოირჩევიან, აგრეთვე, ქ. ტყვარჩელის, ქ. რუსთავის, ქ. ფოთის, გურჯაანის, ყვარლის, ქობულეთის, გაგრის, თბილისის კალინინის სახელობის რაიონების მეთოდური კაბინეტები (გამგეები: თ. არშბა, ბ. ჯანგიძე, ა. ხომერიკი, ლ. ჯილაური, გ. ზუბიტაშვილი, ა. ურიდია, ლ. თოფურია, ც. სულაძე). **ა. ხომერიკისა და ლ. თოფურიას სათანადო** ხელმძღვანელობისა და ეფექტური დახმარების შედეგია, რომ საზოგადოებრივი დათვალიერების ჟიურიმ მაღალ დონეზე შეაფასა ფოთის 1-ლი საშუალო სკოლის ქიმიის მასწავლებელთა სასკოლათაშორისო მეთოდური გაერთიანება (ამხ. ნ. ტაბიძე) და გაგრის რაიონის სოფელ ხეივნის მე-2 საშუალო სკოლის მეთოდური კაბინეტი (ამხ. ნ. კოჟედუბოვა).

სერიოზულ მეთოდურ დახმარებას უწევენ სკოლებს (ქ. ქ. სოხუმისა და ცხინვალის, ცაგერის, წულუკიძის, სოხუმის რაიონის, თერჯოლის, თელავის, თბილისის კიროვის სახელობის, წყალტუბოს რაიონების მეთოდური კაბინეტები (ამხ. ამხ.: ლ. ჩიქოვანი, ნ. ყუფარაძე, კ. ნესტეროვა, მ. ხვედელიძე, ლ. ძუცოვა, ა. მარუაშვილი, თ. კიკაჩეიშვილი, ლ. კალაძე, დ. ჯანგავაძე). აღნიშნული მეთოდური კაბინეტები სწავლების აქტუალურ საკითხებზე სისტემატურად ატარებენ თეორიულ-პრაქტიკულ კონფერენციებს, თათბირ-სემინარებს, ჯგუფურ და ინდი-

ვიდუალურ კონსულტაციებს. თათბირ-სემინარები, „მეთოდური დახმარების დღეები“, და მათ მიერ განხორციელებული სხვა ღონისძიებები მიმართულია მასწავლებელთა კვალიფიკაციის, მოსწავლეთა აქტივიზაციის შემდგომი ამაღლებისათვის.

მაგრამ საზოგადოებრივი დათვალიერების შედეგებით ისიც დასტურდება, რომ რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების მეთოდური კაბინეტების მუშაობაში შეინიშნება არსებითი ხასიათის ნაკლოვანებები.

მიუხედავად იმისა, რომ მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურმა ინსტიტუტმა დროულად შეიმუშავა და რესპუბლიკის რაიონებს დაუგზავნა მეთოდური კაბინეტების, მეთოდური საბჭოების, სასკოლო, სასკოლათაშორისო, რაიონული მეთოდური გაერთიანებების წლიური სამუშაო გეგმების საორიენტაციო ნიმუშები, თბილისის ორჯონიკიძის სახელობის, ოჩამჩირის, მარნეულის, ჩოხატაურის, წალკის, ბოგდანოვკის რაიონების მეთოდური კაბინეტების სამუშაო გეგმები ძირითადი სახელმძღვანელო დებულებების უგულებელყოფის გამო არასრულყოფილია. არ არის გათვალისწინებული ღონისძიებანი, რომელთა განხორციელება საგრძნობლად შეუწყობდა ხელს მასწავლებელთა და სკოლის ხელმძღვანელ მუშაკთა დახელოვნების საქმეს, აამაღლებდა სწავლების ხარისხს.

რაიონული მეთოდური კაბინეტების ერთი ნაწილი (ოჩამჩირის, გუდაუთის, ჯავის, მარნეულის, ლანჩხუთის, ახალქალაქის, წალკის, ხობის, ზესტაფონის ბოგდანოვკის, ცხაკაიას, თბილისის ორჯონიკიძის სახელობის, გლდანისა და საქარხნო რაიონები) მუდმივ საზრუნავად არ მიიჩნევს საკურსო მუშაობისათვის მასწავლებელთა სათანადოდ მომზადებას, არ უზრუნველყოფს საკურსო ღონისძიებებში მათ დროულ ჩაბმას, სუსტად ახორციელებს მასწავლებელთა ორიენტირებას ინდივიდუალური მუშაობის საჭირო მიმართულებებით გასაშლელად, არ ხვეწს დამწყებ პედაგოგებთან მუშაობის მეთოდებს.

დათვალიერების მასალებით დასტურდება, რომ გუდაუთის, ჯავის, ლაგოდეხის, ოჩამჩირის, ჩოხატაურის მეთოდური კაბინეტები ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების შესწავლა-განზოგადების საქმეს. მეთოდური მუშაობის ეს მნიშვნელოვანი უბანი მხოლოდ ღია გაკვეთილების ჩატარებით ამოიწურება. ყოველივე ეს იმაზე მიუთითებს, რომ დასახელებულ რაიონებში სათანადო ყურადღება არ ექცევა მასწავლებელთა დაახლოვებას მუშაობის მოწინავე მეთოდებით შეიარაღებულ პედაგოგიურ პრაქტიკასთან.

საჭიროა აღნიშნულმა მეთოდურმა კაბინეტებმა გადაჭრით გააუმჯობესონ ამ მიმართულებით მუშაობა, კაბინეტის საქმიანობას საფუძვლად დაუდონ მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების გულდასმით შე-

სწავლა და ანალიზი, პედაგოგიური ექსპერიმენტის სწორი ორგანიზაცია. ამ მიზნით ფართოდ გამოიყენონ სემინარების, კონფერენციების, ღია გაკვეთილების, რაიონული და საქალაქო პედაგოგიური კითხვების, ადგილობრივი რადიო და რაიონული გაზეთის რედაქციების შესაძლებლობანი, შეარჩიონ პედაგოგიური მუშაობის მოწინავე სკოლები, რათა ცალკეულ მასწავლებელთა შემოქმედებითი მონაპოვარი მისაწვდომი გახადონ ყველა მასწავლებლისათვის.

თბილისის ორჯონიკიძის, ცხაკაიას, ლაგოდეხის, ზესტაფონის რაიონების მეთოდური კაბინეტების სუსტი ხელმძღვანელობის გამო დაბალია სასკოლო, სასკოლათაშორისო და რაიონული საგნობრივი მეთოდური გაერთიანების მუშაობის დონე; ზოგადია მათი სამუშაო გეგმები და მეთოდგაერთიანებების სხდომებზე დასამტკიცებელი საკითხები, განხილული მოხსენებები. არც თუ იშვიათად ადგილი აქვს მეთოდგაერთიანებათა სხდომების გადადებას, ჩაუტარებლობის შემთხვევებს.

აღნიშნული ნაკლოვანებები იმითაც არის გამოწვეული რომ მეთოდური კაბინეტების უკონტროლობის გამო ზოგიერთ სკოლებში მეთოდგაერთიანებების თავმჯდომარეებად ირჩევენ გამოუცდელ, საგნის სუსტად მცოდნე მასწავლებლებს, რაც ამცირებს სასკოლო მეთოდური მუშაობის მნიშვნელობას და მის საქმიანობაში ამკვიდრებს ფორმალიზმს. სათანადო ყურადღება არ ექცევა მასწავლებელთა იდეურ-თეორიული ცოდნის ამაღლებას, სწავლებისა და აღზრდის თანამედროვე მეთოდებისა და ხერხების დაუფლებას, რის გამოც გაკვეთილებზე არ ხდება პრობლემურ-განმავითარებელი საკითხების დაყენება, ნაკლები ყურადღება ექცევა მოსწავლეთა აქტივიზაციას.

დასახელებულ და სხვა რაიონებში საზოგადოებრივი დათვალიერების შედეგად გამოვლინებული სასკოლო, სასკოლათაშორისო და რაიონული მეთოდგაერთიანების მუშაობის დაბალი დონე, მასწავლებელთა თვითგანათლების საქმისადმი გულგრილი დამოკიდებულება უარყოფით გავლენას ახდენს სასწავლო-აღმზრდელობით პროცესზე. სწორედ ამის შედეგია ის, რომ მასწავლებელთა ერთი ნაწილი სუსტად ფლობს საგნის მეთოდიკას, ნაკლებეფექტურია მათ მიერ ჩატარებული გაკვეთილები, დაბალია მოსწავლეთა ცოდნის ხარისხი.

რესპუბლიკის პედაგოგიური კადრების მეთოდური დახელოვნების ინტერესები მოითხოვენ, რომ მეთოდურმა კაბინეტებმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესონ სასკოლო, სასკოლათაშორისო და რაიონული მეთოდგაერთიანების მუშაობა, განათლების სამინისტროს მითითებათა შესაბამისად წარმართონ მათი საქმიანობა და თავიანთ კონტროლს დაუქვემდებარონ მეთოდგაერთიანებების სხდომების ჩატარების საქმე, სერიოზული ყურადღება მიაქციონ მეთოდგაერთიანებათა გეგმებისა და სხდომებზე განხილულ საკითხთა აქტუალობას, მათ მეთოდურ მიმართულებასა და მეცნიერულ სიღრმეს. არსებული დებულების თანახმად შექმნან

სასკოლათაშორისო მეთოდური გაერთიანებები და უზრუნველყონ მათ მუშაობაში შესაბამისი მასწავლებლების ჩაბმა.

საზოგადოებრივმა დათვალიერებამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მეთოდური კაბინეტების მუშაობის გაუმჯობესებას, მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას, რის შედეგადაც საგრძნობლად ამაღლდა მეთოდური კაბინეტების მიერ რესპუბლიკის პედაგოგიური კადრებისადმი მეთოდური დახმარებისა და პედაგოგიური კვალიფიკაციის დონე.

მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურ ინსტიტუტს მიზანშეწონილად მიაჩნია მეთოდური კაბინეტების მორიგი რესპუბლიკური საზოგადოებრივი დათვალიერება ჩატარდეს 1985—1986 სასწავლო წელს.

**კადრების სამმართველო,**
**მასავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტი**

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1984 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილება

## ორჯონიკიძისა და გეგეჭკორის რაიონებში საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1983 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ

ორჯონიკიძის რაიონში გადამოწმდა, ხოლო გეგეჭკორის რაიონში შემოწმდა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1983 წლის 23 ივნისის № 12-2 გადაწყვეტილების „ახალგაზრდა მასწავლებელთა იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლების, პროფესიული დახელოვნებისა და მათთვის შრომისა და ცხოვრების აუცილებელი პირობების შექმნისათვის ორჯონიკიძის რაიონის სახალხო განათლების განყოფილებისა და პროფკავშირის რაიკომის მიერ ჩატარებული მუშაობის შესახებ“ შესრულების მიმდინარეობა.

როგორც მდგომარეობის ანალიზმა ცხადყო, ჯერ კიდევ შეინიშნება ნაკლოვანებები აღნიშნული გადაწყვეტილებით დასახულ ღონისძიებათა შესრულების საქმეში (ცნობა თან ერთვის).

კოლეგიამ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველომ:

1. 1. განუხრელად იხელმძღვანელონ და მუშაობა წარმართონ „ახალგაზრდა მასწავლებელთა იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლების, პროფესიული დახელოვნებისა და მათთვის შრომისა და ცხოვრების აუცილებელი პირობების შექმნისათვის ორჯონიკიძის რაიონის სახალხო განათლების განყოფილებისა და პროფკავშირის რაიკომის მიერ ჩატარებული მუშაობის შესახებ“ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1983 წლის 23 ივნისის № 12-2 გადაწყვეტილების, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისისა (1983 წ.) და აპრილის (1984 წ.) პლენუმების დადგენილებების, ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითად მიმართულებათა შესაბამისად.

1. 2. მკაცრი კონტროლი დააწესონ სოფლის სკოლის მასწავლებელთა და სკოლამდელი აღზრდის მუშაკთათვის კანონმდებლობით დაწესებული შეღავათების დაცვაზე. პროფკავშირის რაიკომებთან ერთად სისტემატურად შეისწავლონ აღნიშნული საკითხი და სათანადო ინფორმაცია მიაწოდონ ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს; მათი დახმარებით მიაღწიონ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, წარმოება-დაწესებულებების ფართო მონაწილეობას ზემოაღნიშ-

ნულ პირთათვის მუშაობისა და ცხოვრების ნორმალური პირობების შექმნის საქმეში.

2. ორჯონიკიძისა (ამხ. შ. ღონღაძე) და გეგეჭკორის (ამხ. ა. ხუროძე) რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებმა:

2. 1. იზრუნონ სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცებისათვის. მიაღწიონ იმას, რომ თითოეულ სკოლაში გამოყოფილ და მოწყობილ იქნას პიონერთა, ვ. ი. ლენინის ოთახები და სხვ.

2. 2. ყველა სკოლაში მოაწყონ კუთხეები და სტენდები მეცნიერული კომუნიზმის სკოლების მსმენელებისათვის, უზრუნველყონ ისინი სათანადო სასწავლო და მეთოდური ლიტერატურით. ახალგაზრდა მასწავლებელთა იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლების საქმეში გამოიყენონ პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის ისეთი აქტიური ფორმები, როგორიცაა რეფერატების დაცვა, კითხვა-პასუხის საღამოები, კონფერენციები და სხვ.

2. 3. მეტი ყურადღება დაუთმონ ახალგაზრდა სპეციალისტებთან მუშაობის საუკეთესო გამოცდილების შესწავლა-განზოგადებას.

2. 4. მეტი მზრუნველობა გამოიჩინონ ახალგაზრდა სპეციალისტებისათვის ნორმალური საყოფაცხოვრებო პირობების შექმნისათვის, ყოველწლიურად ჩაატარონ რეიდები დევიზით „როგორ ხარ, ახალგაზრდა მასწავლებელო", საჭირო ყურადღება დაუთმონ მათი გამაჯანსაღებელი დასვენების ორგანიზაციას, პანსიონატებსა და დასასვენებელ სახლებში საგზურების გამოყოფას, ტურისტულ ლაშქრობებში მონაწილეობას.

2. 5. განათლების განყოფილების საბჭოს სხდომებზე სისტემატურად განიხილონ საკითხები ახალგაზრდა სპეციალისტებთან ჩატარებული მუშაობის შესახებ და დასახონ საჭირო ღონისძიებები მათი გაუმჯობესების მიზნით.

3. ეთხოვოს სახალხო დეპუტატთა ორჯონიკიძის რაისაბჭოს აღმასკომს მიიღოს საჭირო ზომები სოფ. სოფ. ვარძიასა და ვახანაში მასწავლებელთა საცხოვრებელი სახლების მშენებლობის დასამთავრებლად.

4. ეთხოვოს სახალხო დეპუტატთა გეგეჭკორის რაისაბჭოს აღმასკომს მიიღოს საჭირო ზომები სოფ. დიდ ჭყონში დაგეგმილი მასწავლებელთა საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად.

5. ეთხოვოს სახალხო დეპუტატთა ორჯონიკიძისა და გეგეჭკორის რაისაბჭოების აღმასკომებს:

— დაავალონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, სავაჭრო ორგანიზაციებს, სოფლის სკოლების მასწავლებელთათვის აწარმოონ კვების პროდუქტების სახელმწიფო ფასებში მიყიდვა;

— მისცენ მათ შესაძლებლობა პირველ რიგში შეიძინონ პოლიტიკური, მეცნიერულ-ჰიგიენური და მხატვრული ლიტერატურა და გამოიწერონ პერიოდული გამოცემები.

6. ორჯონიკიძისა და გეგეჭკორის რაიონების განათლების განყოფილებებმა (ამხ. ამხ. შ. ღონღაძე, ა. ხუროძე) ინფორმაცია ჩატარებული მუშაობის შესახებ გაუკეთონ კოლეგიას 1985 წლის II კვარტალში.

7. კადრების სამმართველომ (ამხ. ა. ვაჩნაძე) დააწესოს კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე.

**კოლეგიის თავმჯდომარე,**
**მინისტრი ო. ქინქლაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ც ნ ო ბ ა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1983 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ ორჯონიკიძისა და გეგეჭკორის რაიონებში

მიმდინარე წლის აპრილ-მაისში ორჯონიკიძის რაიონში გადამოწმდა, ხოლო გეგეჭკორის რაიონში შემოწმდა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1983 წლის 23 ივნისის № 12-2 გადაწყვეტილების „ახალგაზრდა მასწავლებელთა იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლების, პროფესიული დახელოვნებისა და მათთვის შრომისა და ცხოვრების აუცილებელი პირობების შექმნისათვის ორჯონიკიძის რაიონის სახალხო განათლების განყოფილებისა და პროფკავშირის რაიკომის მიერ ჩატარებული მუშაობის შესახებ“ შესრულების მიმდინარეობა.

ხელმძღვანელობენ რა სკკპ 26-ე ყრილობისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის 26-ე ყრილობის გადაწყვეტილებებით, პარტიისა და მთავრობის მომდევნო დადგენილებებით, აგრეთვე სსრ კავშირის განათლების სამინისტროსა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიების გადაწყვეტილებებით ორჯონიკიძის რაიონის განათლების განყოფილებამ და პროფკავშირის რაიკომმა გასულ წელთან შედარებით მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს მუშაობა ახალგაზრდა მასწავლებელთა იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლების, პროფესიული დახელოვნებისა და მათთვის შრომისა და ყოფაცხოვრების აუცილებელი პირობების შექმნისათვის.

რაიონში დამკვიდრდა ახალგაზრდა მასწავლებელთა საზეიმო ვითარებაში მიღების პრაქტიკა. მიმდინარე სასწავლო წლის დასაწყისში მოეწყო მათი შეხვედრები პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ მუშაკებთან. აგვისტოს პედსაბჭოზე ახალბედა მასწავლებლებს გზა დაულოცეს შრომის ვეტერანებმა, საზეიმო ვითარებაში გადაეცათ შრომის წიგნაკები და საჭირო მეთოდური ლიტერატურა.

გარკვეული მუშაობაა ჩატარებული დამწყები და ახალგაზრდა მასწავლებლების მეთოდური დახელოვნებისათვის. ჩატარებულია 11 სარაიონო და 4 ზონალური ღია გაკვეთილი, რომელსაც ესწრებოდნენ, ან უშუალოდ ატარებდნენ ახალგაზრდა მასწავლებლები. ამავე წელს მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის მიერ რესპუბლიკის მასშტაბით განზოგადდა ფარცხნალის რვაწლიანი სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებლის ი. შ. ბუაჩიძის მუშაობის დადებითი გამოცდილება.

სათანადო მუშაობა ტარდება ახალგაზრდა მასწავლებელთა იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის, თითქმის ყველა ახალგაზრდა

ჩაბმულია მეცნიერული კომუნიზმის სკოლებში. მათთვის რაიონულ მეთოდკაბინეტში მოწყობილია კუთხე. ბევრი მათგანი გამოყენებულია პროპაგანდისტად და აგიტატორად, მონაწილეობს სკოლის, სოფლის, რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში და სხვ.

მიმდინარე სასწავლო წელს საგრძნობლად გაუმჯობესდა განათლების განყოფილებისა და პროფკავშირის რაიკომის მუშაობა სოფლის ახალგაზრდა მასწავლებელთა და სკოლამდელი დაწესებულებების აღმზრდელთა შრომისა და ცხოვრებისათვის აუცილებელი პირობების შექმნის საქმეში. ყველა დამწყები პედაგოგი დაკმაყოფილებულია ბინით, გათბობითა და განათებით. კომუნალური მომსახურებით სკოლამდელი აღზრდის მუშაკები უკვე სარგებლობენ ახალი წლის 1 იანვრიდან. სოფელ მოლითში შეკეთებულია პურის საცხობი.

გააქტიურდა სახალხო განათლების საბჭოს საქმიანობა. განიხილეს და საგანგებო მსჯელობის საგნად გახადეს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1983 წლის 23 ივნისის კოლეგიის გადაწყვეტილება „ახალგაზრდა მასწავლებელთა იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლების, პროფესიული დახელოვნებისა და მათთვის შრომისა და ცხოვრების აუცილებელი პირობების შექმნისათვის ორჯონიკიძის რაიონის სახალხო განათლების განყოფილებისა და პროფკავშირის რაიკომის მიერ ჩატარებული მუშაობის შესახებ“. სამუშაო გეგმაში ახალგაზრდა სპეციალისტებთან მუშაობას საკმაოდ დიდი ადგილი აქვს დათმობილი. სახალხო განათლების განყოფილებამ და განათლების მუშაკთა პროფკავშირის რაიკომმა შეისწავლეს და საბჭოს სხდომასა და პროფკავშირის პრეზიდიუმზე 4-ჯერ განიხილეს სოფლის სკოლების მასწავლებელთა მუშაობისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების საკითხი, დასახეს საჭირო ღონისძიებები მათი გაუმჯობესების მიზნით.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ახალგაზრდა სპეციალისტთა თავისუფალი დროისა და კულტურული დასვენების ორგანიზაციას; ეწყობა ლიტერატურულ ნაწარმოებთა განხილვა, პოეზიის საღამოები, საინტერესო ადამიანებთან შეხვედრები, ხორციელდება ახალგაზრდობის სპორტულ საქმიანობაში ჩაბმა. 5 მათგანს აქვს სპორტული თანრიგი, ხოლო 2 უკვე სპორტის ოსტატია, ეწყობა ექსკურსიები და სხვა.

მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო რაიონში, აგრეთვე, მასწავლებელთა მორალურ სტიმულირებას. ახალგაზრდა მასწავლებლების უმრავლესობა დაჯილდოებულია განათლების განყოფილებისა და პროფკავშირის რაიკომის სიგელითა და ფასიანი საჩუქრებით.

გაწეული მუშაობის შედეგად გაუმჯობესდა ახალგაზრდა სპეციალისტთა ადგილზე დამაგრების საქმე. თუ 1980-82 წლებში ამ რაიონში განაწილებული 30 ახალგაზრდა სპეციალისტიდან ადგილზე დამაგრდა 16, 1983 წელს განაწილებული 12 ახალგაზრდა სპეციალის-

ტიდან ამჟამად განაგრძობს მუშაობას და გადის სტაჟირებას 11 დამწყები მასწავლებელი. განაცხადთა შედგენისას განათლების განყოფილებამ პრაქტიკაში შემოიღო სასწავლო დაწესებულებებიდან კურსდამთავრებულთა მიზნობრივი მოთხოვნა. ამჟამად სხვადასხვა პედაგოგიურ ინსტიტუტებში განათლების განყოფილებას აღრიცხული ჰყავს 42 სტუდენტი (მათ შორის 4 ვაჟი), რომლებმაც დაამთავრეს აღნიშნული რაიონის საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები და რომლებიც უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ დაუბრუნდებიან მშობლიურ რაიონს.

ჩატარებული მუშაობის მიუხედავად ორჯონიკიძის რაიონში ახალგაზრდა მასწავლებელთა იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლების, პროფესიული დახელოვნებისა და მათთვის შრომისა და ცხოვრებისათვის აუცილებელი პირობების შექმნის საქმეში მაინც შეიმჩნევა ნაკლოვანებები.

ჯერ კიდევ არასათანადო დონეზეა ახალგაზრდა სპეციალისტების მუშაობის საუკეთესო გამოცდილების შესწავლა-განზოგადება; თანამედროვე მოთხოვნებს ვერ პასუხობს სკოლების უმრავლესობის სასწავლო-მატერიალური ბაზა. რაიონის ბევრ სკოლაში არ არის ვ. ი. ლენინის ოთახი, მოუწყობელია პიონერული ოთახები, ბიბლიოთეკებში საჭირო რაოდენობით არ არის სასწავლო-მეთოდური, აგრეთვე მხატვრული და პოლიტიკური ლიტერატურა.

ახალგაზრდა მასწავლებელთა იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის გაწეული მუშაობის მიუხედავად არ არის გამოყენებული პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის ისეთი აქტიური ფორმები და მეთოდები, როგორიცაა რეფერატების დაცვა, კითხვა-პასუხის საღამოები, კონფერენციები და სხვ. ნაკლოვანებებით ხასიათდება პირველწყაროებზე მუშაობა (მსმენელებს არა აქვთ კონსპექტები, ჩანაწერები).

ჯერ კიდევ არ სრულდება შორეულ სოფლებში მცხოვრები ახალგაზრდობის პედაგოგიურ ინსტიტუტებში კონკურსგარეშე ჩარიცხვის გეგმა. 1983 წელს რაიონისათვის გამოყოფილ 8 ადგილზე ჩარიცხულ იქნა მხოლოდ 2 ახალგაზრდა.

ვარძიისა და ვახანის საშუალო სკოლებს დღემდე არ გადაეცა ექსპლოატაციაში მასწავლებელთა სახლები 280 კვ. მეტრი ფართობით, რომელთა მშენებლობა 1983 წლის დამლევისათვის უნდა დამთავრებულიყო.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ რაიონის მიერ მიღებული ზომების მიუხედავად, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს არ აუშენებიათ მასწავლებელთა საცხოვრებელი სახლი. ნაკლები ყურადღება ექცევა აგრეთვე ახალგაზრდა სპეციალისტთათვის ინდივიდუალური სახლების მშენებლობას.

კვლავ საგრძნობი სიძნელეებია მასწავლებელთა კვების პროდუქტებით მომარაგების საქმეშიც. კოლმეურნეობები არ აწარმოებენ სახელმწიფო ფასებში მათ მიყიდვას.

გეგეჭკორის რაიონის განათლების განყოფილებას ახალგაზრდა მასწავლებელთა იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლების, პროფესიული დახელოვნებისა და მათთვის შრომისა და ყოფაცხოვრების აუცილებელი პირობების შექმნისათვის ჩატარებული აქვს სათანადო მუშაობა.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ახალგაზრდა სპეციალისტთა ადგილებზე დამაგრების საქმეს. მაგ.: 1981—1983 სასწავლო წლებში რაიონში განაწილებული 23 და ადგილზე გამოცხადებული 16 ახალგაზრდა სპეციალისტიდან დამაგრდა 16-ვე სპეციალისტი.

განათლების განყოფილებაში ახალგაზრდა სპეციალისტთა საზეიმო ვითარებაში მიღებისა და მათთვის შრომის წიგნაკების გადაცემის ტრადიცია სასწავლო წლის დასაწყისში თუმცა არ არის დამკვიდრებული, მაგრამ აღნიშნული ღონისძიება მაინც ჩატარებულა 1984 წლის თებერვლის თვეში· ამავე დღეს მოეწყო მათთან საუბრები, ორგანიზებული შეხვედრები პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირისა და კომკავშირის მუშაკებთან. დაგვიანებით, მაგრამ მაინც ვეტერანმა პედაგოგებმა გადასცეს მათ მეთოდური ლიტერატურა და შრომის წიგნაკები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისისა და მომდევნო პლენუმების მასალები განხილული და დამუშავებულია ყველა სასკოლო პირველადი პარტიული ორგანიზაციის ღია კრებებზე და ამ დადგენილებების ცხოვრებაში გატარების მიზნით შემუშავებულია სათანადო ღონისძიებები. პედაგოგიური კადრების იდეურ-პოლიტიკური, სამეცნიერო-თეორიული მომზადების დონის ამაღლების მიზნით, რაიონის პოლიტგანათლების სისტემის მეცნიერული კომუნიზმის 15 სკოლაში ჩაბმულია 209 მსმენელი, რომელთა უმრავლესობას ახალგაზრდა მასწავლებლები შეადგენენ. მათთვის ეწყობა კითხვა-პასუხის საღამოები, კონფერენციები, შეხვედრები ახალგაზრდა მასწავლებლებთან, ომისა და შრომის ვეტერანებთან. შედგენილია ახალგაზრდა მასწავლებლებთან მუშაობის გეგმა, ჩატარებულია სემინარები, ინდივიდუალური საუბრები და ჯგუფური კონსულტაციები.

ალკკ რაიკომს ჩამოყალიბებული აქვს ახალგაზრდა პედაგოგთა საბჭო, რომელშიც გაერთიანებულია 17 წევრი (თავმჯდომარე ლ. ფაილოძე). მოქმედებს 5 სექცია, შესწავლილი და ჩატარებულია სხვადასხვა სახის ღონისძიებები: ახალგაზრდა მასწავლებელთათვის შრომის, საყოფაცხოვრებო და დასვენების პირობების შექმნის საკითხები და სხვ. პედაგოგიური და საზოგადოებრივი საქმიანობის მაღალი მაჩვენებლებისათვის საქართველოს ალკკ გეგეჭკორის რაიკომს 1983 წელს კომკავშირის საკავშირო ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელზე წარდგენილი ჰყავს სანაჭყებიოს, კიწიის საშუალო და ზედა ხუნწის

რვაწლიანი სკოლების ახალგაზრდა მასწავლებლები მ. დ. გულავა, ლ. გ. ვერულაშვილი, ე. ი. ჯგერენაია, ხოლო სტაჟიორი მასწავლებელი მარინე სურმავა მიმდინარე წლის 2 თებერვალს გაგზავნილ იქნა ბულგარეთში სამოგზაუროდ.

მიმდინარე სასწავლო წელს ჩატარებულია ექსკურსიები გელათის მონასტერში, ბაგრატის ტაძარსა და ნავენახარის მღვიმეში, სადაც გამართული იქნა პოეზიის საღამოებიც.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში რაიონის მიერ სხვადასხვა ხელმძღვანელ სამუშაოზე დაწინაურებულია 13 ახალგაზრდა მასწავლებელი: მათ შორის სამი არჩეულია სასოფლო საბჭოს დეპუტატად, ხოლო დანარჩენი 10 არჩეულია პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივნად. 1982—1984 წ. წ. სკკპ წევრებად და კანდიდატებად მიღებულია 23 ახალგაზრდა მასწავლებელი.

მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა ახალგაზრდა მასწავლებელთა მორალურ და მატერიალურ სტიმულირებას. უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში განათლების განყოფილების სხვადასხვა ჯილდოთი წახალისდა 25 ახალგაზრდა მასწავლებელი.

ახალგაზრდა სპეციალისტები პროგრამის შესაბამისად, ინდივიდუალური გეგმის მიხედვით გადიან სტაჟირებას. ამ მხრივ განათლების განყოფილებისა და მეთოდკაბინეტის ინსპექტორებისა და მეთოდისტების მიერ მიმდინარე სასწავლო წელს მოსმენილი და გაანალიზებულია 34 გაკვეთილი, სპეციალური გრაფიკის მიხედვით ტარდება ჯგუფური და ინივიდუალური კონსულტაციები, თათბირები და სემინარები. სკოლებში კი ახალგაზრდა მასწავლებელთა სტაჟირებას ხელმძღვანელობენ გამოცდილი პედაგოგები.

რაიონის სკოლების სასწავლო მატერიალური ბაზა ძირითადად დამაკმაყოფილებელია, უზრუნველყოფილი არიან მეთოდური ლიტერატურით, სახელმძღვანელოებით.

განათლების განყოფილება სათანადო ყუადღებას აქცევს ახალგაზრდა მასწავლებელთა საყოფაცხოვრებო პირობების შექმნის საქმეს. განათლების საბჭოსა და პროფკავშირის რაიკომის პრეზიდიუმის გაერთიანებულ სხდომაზე 1984 წლის 28 თებერვალს განხილულია საკითხი „სერგიეთის სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე განლაგებულ სასწავლო დაწესებულებებში მომუშავე ახალგაზრდა მასწავლებელთა მუშაობისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის გატარებული ღონისძიებების შესახებ“, ხოლო ამავე წლის 16 მარტს საბჭოს სხდომაზე მოსმენილია ინფორმაცია „ახალგაზრდა მასწავლებელთა იდეურ-პოლიტიკური ცოდნის ამაღლების, პროფესიული დახელოვნებისა და მათთვის შრომისა და ცხოვრებისათვის აუცილებელი პირო-

ზების შექმნის მდგომარეობის შესახებ“ და ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით დასახულია სათანადო ღონისძიებები.

ადგილზე ახალგაზრდა მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ისინი უზრუნველყოფილნი არიან ნორმალური პედაგოგიური დატვირთვით, უფასო ბინითა და განათებით. მართალია ცხოვრობენ სასოფლო საბჭოს მიერ დაქირავებულ ბინებში, მაგრამ უზრუნველყოფილნი არიან კეთილმოწყობილი ბინით (ცალკე აქვთ გამოყოფილი ოთახები), გათბობით, განათებით და კვებით. ამას გარდა, შემოწმებულ სკოლებს აქვს სასაუზმე, სადაც მზადდება ცხელი კერძები.

აღნიშნულის მიუხედავად, გეგეჭკორის რაიონში ახალგაზრდა მასწავლებელთა იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლების, პროფესიული დახელოვნებისა და მათთვის შრომისა და ცხოვრებისათვის აუცილებელი პირობების შექმნის საქმეში ადგილი აქვს არსებითი ხასიათის ნაკლოვანებებს.

განათლების განყოფილება არ ზრუნავს მასწავლებელთა კადრების მიზნობრივად მომზადებაზე, არ ასრულებს შორეულ სოფლის რაიონებში მცხოვრები ახალგაზრდობის პედაგოგიურ ინსტიტუტებში კონკურსგარეშე ჩარიცხვის გეგმებს. არ აწარმოებს გასაგზავნ კანდიდატურებთან წინასწარ მუშაობას, არ ზრუნავს მათი საგანმანათლებლო დონის ამაღლებაზე, რის გამოც 1981—1983 წლებში გამოყოფილ 9 ადგილზე შერჩეული 16 ახალგაზრდიდან ვერც ერთი ვერ ჩაირიცხა პედაგოგიურ ინსტიტუტებში.

რაიონს არ აქვს მეცნიერული კომუნიზმის საბაზო სკოლა, მეთოდკაბინეტის ბიბლიოთეკაში მეცნიერული კომუნიზმის სკოლების მსმენელთა დასახმარებლად შერჩეული ლიტერატურა ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნებს. შემოწმებულ სკოლებში არ არის მოწყობილი კუთხეები სათანადო ლიტერატურით. მსმენელები სისტემატურად არ სწავლობენ მარქსიზმის კლასიკოსთა ნაწარმოებებს, სკკპ დოკუმენტებს, უახლეს სამეცნიერო პედაგოგიურ და პოლიტიკურ ლიტერატურას, ხოლო ახალგაზრდა სპეციალისტებთან მუშაობა, საუკეთესო გამოცდილების შესწავლა-განზოგადება შემოიფარგლება მხოლოდ ღია გაკვეთილების ჩატარებით.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რაიონში არც ერთი მასწავლებელთა საცხოვრებელი სახლი არ არის აშენებული. 1981 წელს სამინისტროს მიერ დიდ ჭყონში დაგეგმილი მასწავლებელთა სახლი დღემდე არ აშენებულა, ხოლო ჩამოსული ახალგაზრდა მასწავლებლები, ამჟამად სასოფლო საბჭოს მიერ დაქირავებულ ბინებში ცხოვრობენ. არც საინიციატივო წესით აუშენებიათ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს მასწავლებელთათვის საცხოვრებელი ბინები.

სერგიეთის საშუალო და ქვაითის რვაწლიანი სკოლების ხელმძღვანელობისა და შესაბამისი სასოფლო საბჭოს აღმასკომებისათვის დღემდე არ იყო ცნობილი მინისტრთა საბჭოს მიერ 1970 წელს კომუნალური მომსახურებისათვის დაწესებული ნორმები. ჩამოსულ მასწავლებლებს წელიწადში ერთხელ აუნაზღაურდებათ კომუნალური მომსახურებისათვის 70 მანეთი, რაც ვერ ანაზღაურებს მათ ხარჯებს.

ყურადსაღებია ის ფაქტიც, რომ რაიონში სოფლის მასწავლებელთათვის პროდუქტების სახელმწიფო ფასებში მიყიდვის პრაქტიკა არ არის დამკვიდრებული.

**კადრების სამმართველო**

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის 1984 წლის 14 ივნისის გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

### გახანგრძლივებული დღის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და ჯგუფების მე-2 რესპუბლიკური დათვალიერების შედეგების შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმმა გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს:

1. ცნობა გახანგრძლივებული დღის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და ჯგუფების მე-2 რესპუბლიკური დათვალიერების შედეგების შესახებ (თან ერთვის) დაეგზავნოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის ა/ო, ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებს. ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს, კომკავშირულ და პროფკავშირულ კომიტეტებს.

2. გახანგრძლივებული დღის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და ჯგუფების მე-2 რესპუბლიკურ დათვალიერებაში გამარჯვებულად ჩაითვალონ:

ქობულეთის რაიონის სოფელ ქვედა სამების გახანგრძლივებული დღის სკოლა — 1-ლი ადგილი;

ზუგდიდის რაიონის სოფელ კახათის გახანგრძლივებული დღის სკოლა — II ადგილი;

საგარეჯოს რაიონის მე-4 საშუალო სკოლა — III ადგილი.

3. დათვალიერების დებულების შესაბამისად მატერიალური ბაზის გასაუმჯობესებლად და ინვენტარ-მოწყობილობის შესაძენად ცენტრალიზებული წესით გამოეყოთ:

ქობულეთის რაიონის სოფელ ქვედა სამების გახანგრძლივებული დღის სკოლას — 1000 მან.;

ზუგდიდის რაიონის სოფელ კახათის გახანგრძლივებული დღის სკოლას — 700 მან.;

საგარეჯოს რაიონის მე-4 საშუალო სკოლას — 500 მან.

4. დაჯილდოვდნენ გახანგრძლივებული დღის სკოლებისა და ჯგუფების მუშაობაში მიღწეული წარმატებებისათვის საქართველოს სსრ

განათლების სამინისტროს, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის, განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის საპატიო სიგელით (დანართი 1).

5. აღინიშნოს ზუგდიდის რაიონის სოფლების ინგირისა და რუხის გახანგრძლივებული დღის სკოლების, ქ. თბილისის 124-ე, 166-ე, 169-ე, ქ. რუსთავის 1-ლი, მე-3, მე-15, ქუთაისის 1-ლი მე-2, სოხუმის მე-10, მე-15, ცხინვალის 1-ლი, მე-7, მე-12, ბათუმის მე-15, 22-ე, 28-ე, გუდაუთის 1-ლი, წულუკიძის მე-4, ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ლესიჭინის მე-2, მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების, ამბროლაურის რაიონის მე-2, გორის რაიონის სოფელ ტინისხიდის, ქარელის რაიონის მე-2, მაიაკოვსკის რაიონის მაიაკოვსკის სახელობის, ცხინვალის რაიონის სოფლების კეხვის, ქურთისა და ლენინგორის რაიონის მე-2 საშუალო სკოლების გახანგრძლივებული დღის ჯგუფების ნაყოფიერი მუშაობა.

6. აღინიშნოს ქალაქების ჭიათურისა და მარნეულის, ახმეტის, წალკის, ბოგდანოვკის, გურჯაანის, ლენტეხის, მარნეულის, მესტიისა და სიღნაღის რაიონების სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების უპასუხისმგებლო დამოკიდებულება, რაც იმაში გამოიხატება, რომ მათ რესპუბლიკურ კომისიაში არავითარი ცნობები არ გამოაგზავნეს ამ მიმართებით ადგილზე ჩატარებული მუშაობის შესახებ.

7. სახალხო განათლების ორგანოებმა, კომკავშირის და პროფკავშირის კომიტეტებმა შეუნელებელი ყურადღება დაუთმონ გახანგრძლივებული დღის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და ჯგუფების ქსელის გაფართოებას, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის და აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებას.

8. მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურმა ინსტიტუტმა (ამხ. გ. გვათუა) შეიმუშაოს ღონისძიებანი გახანგრძლივებული დღის სკოლებისა და ჯგუფების აღმზრდელთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1984 წლის აპრილის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად.

9. მომარაგების მთავარმა სამმართველომ (ამხ. კ. ძლიერიშვილი) უზრუნველყოს გახანგრძლივებული დღის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები და ჯგუფები საჭირო ინვენტარ-მოწყობილობით, თვალსაჩინოებით, სათამაშოებით და რბილი ინვენტარით.

10. კაპიტალური მშენებლობის სამმართველომ (ამხ. ბ. აფხაზავა) ახალი სასკოლო შენობების დაპროექტების დროს გაითვალისწინოს გახანგრძლივებული დღის ჯგუფებისათვის საჭირო ოთახები.

11. გაზეთ „სახალხო განათლების“ რედაქციამ (ამხ. ნ. შველიძე) გააშუქოს გახანგრძლივებული დღის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლე-

ზისა და ჯგუფების მე-2 რესპუბლიკური დათვალიერების შედეგები. ამასთან, ყურადღება გაამახვილოს ამ დარგში მოწინავე გამოცდილების სისტემატურ განზოგადებაზე.

12. სკოლების სამმართველომ (ამხ. თ. ტატიშვილი) და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის საწარმოო მუშაობისა და ხელფასის განყოფილებამ (ამხ. ა. ჟორჟოლაძე) საჭირო კონტროლი დააწესონ ამ გადაწყვეტილების შესრულებაზე.

**კოლეგიის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ განათლების მინისტრი ო. ქინქლაძე**

**საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. ლორთქიფანიძე**

**განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე დ. იოსელიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

**დანართი 1**

ა) ქობულეთის რაიონის სოფელ ქვედა სამების, ზუგდიდის რაიონის სოფელ კახათის გახანგრძლივებული დღის, საგარეჯოს რაიონის მე-4 საშუალო სკოლების დირექტორები: ეთერ ახმედის ასული ნაკაიძე, ტიხონ ანდრონიკეს ძე ქორთუა, მარატ ზაქროს ძე პიტიურიშვილი;

ბ) აღმზრდელები: ვარდო რეჯების ასული კობახიძე, შუქიფერ ყედიმის ასული ინაიშვილი, დალი ქესკილის ასული ბერიძე, ეთერ სალამარის ასული ჯიბლაძე, ნანული მურადის ასული მართალიშვილი, ნელი უსუფის ასული ბერიძე, გულო ილიას ასული გოგიტიძე (ქობულეთის რაიონი), თამარ შალვას ასული კედია, ლამარა მიხეილის ასული ხუნჯუა, თინა მიხეილის ასული ნაყოფია, ნორა პროკოფის ასული გუგუჩია, შუშანიკა მამანტის ასული ყურუა, დაფინო ნიკოლოზის ასული როგავა, თეონა ნოდარის ასული კაკულია (ზუგდიდის რაიონი), ნაირა ბიძინას ასული გურგენიშვილი, მარინე სოლომონის ასული მეზვრიშვილი, მერი დადაშის ასული ასლამაზიშვილი (საგარეჯოს რაიონი);

გ) პროფკომის თავმჯდომარეები: შუქიფერ ყედიმის ასული ინაიშვილი (ქობულეთის რაიონი), ალექსი სიმონის ძე კუთხაშვილი (საგარეჯოს რაიონი), მთვარისა მიხეილის ასული წახნაკია (ზუგდიდის რაიონი);

დ) მეფი ორგანიზაციების ხელმძღვანელები: გიორგი ქამილის ძე ბაჯელიძე — ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბნის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ჯოტო იოსების ძე გუგუჩია — ზუგდიდის რაიონის სოფელ კახათის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, გიორგი ალექსის ძე ერბოწონაშვილი — საგარეჯოს რაიონის ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის დირექტორი და რეო ვასილის ძე ბუზარიაშვილი — საგარეჯოს რაიონის სოფელ ქვემო სამგორის წყალთა სასისტემო სამმართველოს უფროსი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ც ნ ო ბ ა

## გახანგრძლივებული დღის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და ჯგუფების მე-2 რესპუბლიკური დათვალიერების შედეგების შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამდივნოსა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის გადაწყვეტილების თანახმად, 1983—1984 სასწავლო წელს ჩატარდა გახანგრძლივებული დღის სკოლებისა და ჯგუფების მე-2 რესპუბლიკური დათვალიერება.

დებულების შესაბამისად დათვალიერება ჩატარდა ორ ეტაპად: I — ადგილობრივი სარაიონო კომისიების მიერ, ხოლო II რესპუბლიკური კომისიის მიერ აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების სამინისტროების, სამხრეთ ოსეთის ა/ო და რესპუბლიკის რაიონების განათლების განყოფილებათა კომისიების მიერ წარმოდგენილი მასალების თანახმად, რომელთაგან ზოგიერთი გადამოწმდა სამინისტროს სკოლების სამმართველოსთან არსებული სპეცჯგუფის მიერ.

დათვალიერებამ გვიჩვენა, რომ უკანასკნელ წლებში სახალხო განათლების ორგანოებმა პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების დახმარებით მნიშვნელოვანი ღონისძიებები განახორციელეს სახალხო განათლების დარგში სკკპ 26-ე ყრილობის გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გასატარებლად.

ამასთან, დათვალიერებამ ხელი შეუწყო გახანგრძლივებული დღის სკოლებისა და ჯგუფების მატერიალური ბაზის განმტკიცებას და სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის სრულყოფას.

1-ლი რესპუბლიკური დათვალიერების შემდეგ შესამჩნევად გაფართოვდა გახანგრძლივებული დღის სკოლებისა და ჯგუფების ქსელი და მათში აღსაზრდელთა კონტინგენტი. ამჟამად რესპუბლიკაში ფუნქციონირებს გახანგრძლივებული დღის 17 სკოლა, იგი 4 ერთეულით გაიზარდა, ხოლო ჯგუფების რაოდენობა კი 333 ერთეულით. აღსაზრდელთა რაოდენობა სკოლებსა და ჯგუფებში ამჟამად შეადგენს 126, 598-ს. გახანგრძლივებული დღის ჯგუფების ქსელი საგრძნობლად გაზარდეს მახარაძის, ზუგდიდის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს, თიანეთის, ლენტეხის, ტყიბულის, ბოლნისისა და ამბროლაურის რაიონებმა, სადაც 0-VIII კლასების მოსწავლეთა გახანგრძლივებული დღის ჯგუფებში ჩარიცხვის პროცენტი საკავშირო მაჩვენებლებს აღემატება. ზუგდიდის რაიონში წელს გაიხსნა გახანგრძლივებული დღის 2 სკოლა, ასეთივე სკოლები გაიხსნა გეგეჭკორსა და რუსთავში.

გახანგრძლივებული დღის სკოლებსა და ჯგუფებში შესამჩნევად გაუმჯობესდა აღმზრდელობითი მუშაობა. კერძოდ, დღის მეორე ნახევარში ადრე არსებული საგაკვეთილო სისტემა შეიცვალა ბავშვთა შემოქმედებითი საქმიანობით — საწრეო, საკლუბო და სექციური მუშაობით. ამ საქმეში გარკვეული როლი ითამაშა განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს სპეცჯგუფმა, რომელმაც დიდი მუშაობა გასწია აღნიშნული ჯგუფების მეთოდური ლიტერატურით უზრუნველსაყოფად. კერძოდ, გამოიცა მეთოდური რეკომენდაციები: „გახანგრძლივებული დღის ჯგუფში აღმზრდელობითი მუშაობის დაგეგმვის სტრუქტურა და შინაარსი“, „შინასასკოლო კონტროლის ზოგიერთი საკითხები გახანგრძლივებული დღის სკოლაში“, „საინსტრუქციო-მეთოდური მასალები სასკოლო გახანგრძლივებული დღის საკითხებზე“. აღმზრდელობითი მუშაობა კარგად ტარდება ქალაქების თბილისის, ზუგდიდის, ტყიბულის ზონის, ცხაკაიას, ზუგდიდის, ზესტაფონის, ბორჯომის, მაიაკოვსკის, ხაშურის, ყვარლის, ხობის, წითელწყაროს, საგარეჯოს, ქ. თბილისის (124-ე, 166-ე, 169-ე) რაიონების რიგ გახანგრძლივებული დღის სკოლებსა და ჯგუფებში.

გარკვეული მუშაობაა ჩატარებული გახანგრძლივებული დღის სკოლებისა და ჯგუფების როგორც მატერიალური ბაზის განმტკიცების, ისე კვების ობიექტების მშენებლობის საქმეში, განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ზუგდიდის რაიონის შეფი ორგანიზაციების ნაყოფიერი მუშაობა. გარდა იმისა, რაც სკოლების მშენებლობის საქმეში გააკეთეს სოფლების რუხის, კახათის და ინგირის კოლმეურნეობებმა, შეფების ხარჯებით დასასვენებელი ოთახები მოეწყო სოფლების ოქტომბრისა და ჭითაწყაროს საშუალო სკოლებში. 1-ლი სექტემბრისათვის ასეთი ოთახები მოეწყობა რაიონის 10 სკოლაში.

სოფელ რუხის საშუალო სკოლას კოლმეურნეობამ მიუშენა სასადილო 150 დასაჯდომი ადგილით, რაზედაც დახარჯა 53000 მანეთი, სოფელ კახათის კოლმეურნეობამ ხის პანელით მოაპირკეთა სასადილო, სოფელ ახალი აბასთუმნის კოლმეურნეობა ამავე სოფლის სკოლის სასადილოს მიუშენებს 150 დასაჯდომ ადგილს (მუშაობა დაწყებულია). სოფელ ზედა ეწერის მეურნეობა ამავე სოფლის სკოლას უშენებს სასადილოს, სადაც 1-ლი სექტემბრისათვის გაიხსნება 4 გახანგრძლივებული დღის ჯგუფი.

უკანასკნელ წლებში შესამჩნევი ძვრები მოხდა მოსწავლეთა საზოგადოებრივი კვების გაუმჯობესების საქმეში: ჯერ ერთი, პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების მხარდაჭერითა და დახმარებით შესამჩნევად გაუმჯობესდა კვების პროდუქტებით სასკოლო კვების ობიექტების მომარაგება, მეორე, და რაც მთავარია, ბევრმა შეფმა ორგანიზაციამ ჯგუფის აღსაზრდელთა უმრავლესობა უფასო კვებით უზრუნველყო. ამისათვის კვლავ ზუგდიდის რაიონის მაგალითს მივმარ-

თოთ: აქ გახანგრძლივებული დღის სკოლებსა და ჯგუფებში ჩარიცხულ მოსწავლეთა 55% 1655 მოსწავლე, შეფების ხარჯზე, უფასო კვებაზეა გადაყვანილი, ახალი სასწავლო წლიდან კი გათვალისწინებულია ასეთ კვებაზე ამ ტიპის ჯგუფების მოსწავლეთა 95%-ის გადაყვანა.

უკანასკნელ წლებში ზუგდიდელებს მიბაძეს ტყიბულის ზონის, ხობის, ქობულეთის, მახარაძის, ლანჩხუთის, გეგეჭკორისა და სხვა რაიონების შეფებმა. ამასთან, შეფების დახმარება იგრძნობა საგარეჯოს, მაიაკოვსკის, ზესტაფონის, ჩხოროწყუსა და სხვა რაიონებში.

მოსახლეობის მოთხოვნილების შესაბამისად ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა ორგანოების მითითებათა საფუძველზე საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ და სახალხო განათლების ადგილობრივმა ორგანოებმა მნიშვნელოვანი ღონისძიებები განახორციელეს გახანგრძლივებული დღის სკოლებსა და ჯგუფებში დღის რეჟიმის მოწესრიგებისათვის, რაც იმაში გამოიხატა, რომ სკოლებისა და ჯგუფების მუშაობის დღის რეჟიმი შეესაბამება მოსახლეობის სამუშაო დღის რეჟიმს, დღეისათვის რესპუბლიკის სკოლებში გახანგრძლივებული რეჟიმით მუშაობს 317 ჯგუფი 9183 მოსწავლით, ამ მიმართულებით მუშაობა კვლავ გრძელდება.

დღევანდელი მოთხოვნების შესაბამისად წარმართავს მუშაობას აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ქობულეთის რაიონის სოფელ ქვედა სამების გახანგრძლივებული დღის სკოლის პედაგოგიური კოლექტივი (ამხ. ე. ნაკაიძე). ამ სკოლაში ყველა პირობაა შექმნილი ბავშვთა სწავლა-აღზრდისა და დასვენებისათვის, აქ მარტო რეჟიმით გათვალისწინებულ საკითხებს როდი ექცევა ყურადღება. გაკვეთილებიდან თავისუფალი დრო გამოყენებულია ბავშვთა დამოუკიდებელი მუშაობის, მათი ინტერესების მიხედვით შემოქმედებითი საქმიანობის (საწრეო, საკლუბო, სექციური და სხვა) განვითარებისათვის, რასაც განაპირობებს აღმზრდელთა, კლასის ხელმძღვანელთა და მასწავლებელთა ერთობლივი, შეთანხმებული მუშაობა და სკოლის დირექციის მხრივ ამ საქმეზე კომპეტენტური ხელმძღვანელობა.

კარგად არის მოწყობილი დღის ძილი და ცხელი კერძებით უფასო ორჯერადი კვება 217 აღსაზრდელისათვის, რომელსაც უზრუნველყოფს შეფი — სოფელ ხუცუბნის კოლმეურნეობა (ამხ. გ. ბაჯელიძე). ამ სკოლაში ბავშვთა კვებისათვის გამოყენებულია სასწავლო მიწის ნაკვეთებიდან მიღებული პროდუქტები, დანერგილია სანიმუშო სამედიცინო მომსახურება და სანიტარიული წესრიგი.

როგორც მრავალჯერ აღინიშნა და მიმდინარე დათვალიერებამ გვიჩვენა, შესამჩნევ წარმატებებს მიაღწიეს ზუგდიდის რაიონის სოფელ კახათის გახანგრძლივებული დღის სკოლის პედაგოგიურმა კოლექტივებმა და შეფმა ორგანიზაციამ (სოფელ კახათის კოლმეურნეობა) მოს-

წავლე ახალგაზრდობის საყოფაცხოვრებო პირობების ორგანიზაციის და სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის სრულყოფის საქმეში (ამხ. ამხ. ტ. ქორთუა, ჯ. გუგუჩია). უკანასკნელ წლებში კოლმეურნეობამ სკოლებისათვის დახარჯა 545 ათასი მანეთი (გახანგრძლივებული დღის ყველა ბავშვი უფასოდ 4-ჯერ იკვებება).

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა აღსაზრდელთა თვითშემოქმედებას, წრეობრივ, სექციურ, სტუდიების მუშაობას. სკოლაში მომუშავე სხვადასხვა ორგანიზაციებიდან მოწვეულ სპეციალისტებს გასამრჯელოს უხდის კოლმეურნეობა, სკოლა უზრუნველყოფილია 200 ადგილიანი კვების ბლოკით, სამაცივრო და ტექნოლოგიური დანადგარებით, საჭირო ინვენტარით; აქვე გახსნილია სამუსიკო შვიდწლედი, აქტიურად მოქმედებს მეოჯახეობის წრე, ბავშვებზე ასეთი ზრუნვა კი კოლმეურნე მშობლების შრომის ნაყოფიერებაზე დადებითად მოქმედებს, რამაც ავტორიტეტი მოუპოვა გახანგრძლივებული დღის სკოლას.

უკანასკნელ წლებში რაიონის სახალხო განათლების განყოფილების (ამხ. ნ. ჭანტურია) და შეფი ორგანიზაციების (ადგილობრივი მრეწველობის კომბინატი და ქვემო სამგორის წყალთა სასისტემო სამმართველოს (ამხ. ამხ. გ. ერბოწონაშვილი, რ. ბუზარიაშვილი) დახმარებით თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწია საგარეჯოს რაიონის მე-4 საშუალო სკოლის კოლექტივმა გახანგრძლივებული დღის ჯგუფების ნაყოფიერ მუშაობაში: განმტკიცდა მატერიალური ბაზა, ჯგუფებისათვის გამოიყო და კეთილმოეწყო სათამაშო და საძინებელი ოთახები (ამ მიმართებით 1984—1985 სასწავლო წლისათვის დამატებით მოეწყობა 4 ოთახი (გაკეთებულია ღია სპორტული მოედანი), თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე მიმდინარეობს აღმზრდელობითი მუშაობა, მოწესრიგებულია კვების საქმე.

აღსანიშნავია ზუგდიდის რაიონის სოფლების ინგირისა და რუხის გახანგრძლივებული დღის სკოლების, მაიაკოვსკის რაიონის ვ. მაიაკოვსკის სახელობის, ასპინძის რაიონის სოფელ დამალის, ქარელის რაიონის მე-2, გორის რაიონის სოფელ ტინისხიდის, ბათუმის მე-15, 22-ე, 28-ე, მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების, ამბროლაურის რაიონის მე-2, ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ლესიჭინის მე-2, წულუკიძის რაიონის მე-4, ცხინვალის რაიონის სოფლების კეხვის, ქურთის, გუდაუთის რაიონის 1-ლი, ლენინგორის რაიონის მე-2, ქალაქების თბილისის — 124-ე, 166-ე, 168-ე, ქუთაისის 1-ლი, მე-2, ცხინვალის 1-ლი, მე-7, მე-12 საშუალო სკოლების გახანგრძლივებული დღის ჯგუფების ნაყოფიერი მუშაობა.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების გახანგრძლივებული დღის სკოლებისა და ჯგუფების მუშაობას ახასიათებს სერიოზული ნაკლოვანებები: ნელი ტემპით ვითარდება გახანგრძლივებული დღის სკოლებისა და ჯგუფების ქსელი, რის შედეგა-

დაც ამ სახის ჯგუფებში O-VIII კლასების მოსწავლეთა ჩაბმის მხრივ რესპუბლიკა კავშირში უკანასკნელ ადგილზეა (17,4%).

მიუხედავად დიდი მოთხოვნილებისა, გახანგრძლივებული დღის სკოლები დღემდე ვერ გაიხსნა ქ. თბილისის ლენინის, კალინინის, კიროვის, ოქტომბრის, საბურთალოს რაიონებში, ქალაქებში: ქუთაისში, ზუგდიდში, თელავსა და გორში.

ქ. ქუთაისის ლენინის რაიონის 33-ე საშუალო სკოლაში O-VIII კლასებში სწავლობს 756 მოსწავლე, მათგან IV-VIII კლასების 404 მოსწავლის მშობლები მუშაობენ აბრეშუმის საწარმოო გაერთიანებაში, მოტობლოკების და ლითონის ქარხნებში, მათი ბავშვები კი არ არიან ჩაბმული გახანგრძლივებული დღის ჯგუფებში. მოსახლეობის მოთხოვნილება საჭიროს ხდის აქაც და ავტოქარხნის მიკრორაიონშიც გაიხსნას გახანგრძლივებული დღის სკოლები.

ძალზე მცირე რაოდენობით არის გახანგრძლივებული დღის ჯგუფები გახსნილი ქედის (2), ახალქალაქის (2), ბოგდანოვკის (5), გორის (8), ქარელის (7), ხულოს (10) და ადიგენის (11) რაიონებში, დღემდე არც ერთი ასეთი ჯგუფი არ გახსნილა ყაზბეგის რაიონში.

კვლავ არადამაკმაყოფილებელია გახანგრძლივებული დღის სკოლებისა და ჯგუფების მატერიალური ბაზა, რესპუბლიკის თითქმის ყველა რაიონის სკოლების დიდ ნაწილში, ასევე ქალაქების თბილისის, ბათუმის, სოხუმის, ცხინვალის, ქუთაისის ზუგდიდის, თელავის, გორის საშუალო და რვაწლიან სკოლებში. ამის გამო არ ეწყობა დღის ძილი, არ არის სათამაშო-გასართობი ოთახები, ეს კი უარყოფითად მოქმედებს აღმზრდელობითი მუშაობის ხარისხზე, რადგანაც აღსაზრდელებთან მუშაობა საგაკვეთილო სისტემით მიმდინარეობს, რაც იწვევს ბავშვთა დაავადების შემთხვევების ზრდას.

მიუხედავად ზემდგომი პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოების მიერ გატარებული ღონისძიებებისა, რიგ ქალაქებსა და რაიონებში კვლავ სრულიად არასაკმარისია შეფი ორგანიზაციების დახმარება გახანგრძლივებული დღის სკოლებისა და ჯგუფებისადმი მატერიალური ბაზის განმტკიცების საქმეში.

შესამჩნევი ნაკლოვანებები ახლავს აღმზრდელობით მუშაობას გახანგრძლივებული დღის ჯგუფებში, როგორც ეს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში „ახალგაზრდობის ზოგადი საშუალო განათლების შემდგომი სრულყოფისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მუშაობის პირობების გაუმჯობესების შესახებ“ არის ნათქვამი, უზრუნველყოფილი უნდა იქნას ამ ტიპის სკოლებსა და ჯგუფებში ბავშვთა სისტემატური მეცადინეობა (მათი ინტერესების გათვალისწინებით) ტექნიკურ და მხატვრულ შემოქმედებაში, სასოფლო-სამეურნეო ცდების დაყენებაში, სპორტსა და ტურიზმში, მხარეთმცოდნეობის წრეებსა და სხვა სახის მეცადინეობებში.

სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოები ნაკლებად ან საერთოდ არ ზრუნავენ იმაზე, რომ ჯგუფებში სამუშაოდ მოწვეულ იქნან შემოქმედი სპეციალისტები, აღმზრდელთა კადრები, თანმიმდევრულად არ ტარდება არსებული კადრების კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებანი.

შეუნელებელ ყურადღებას მოითხოვს აღსაზრდელთა საზოგადოებრივი კვების შემდგომი გაუმჯობესება, ღარიბია ასორტიმენტი, ერთფეროვანია კერძები; ხშირად აღსაზრდელებს ერთჯერადი ცხელი კერძებით კვებაც კი არ ეძლევათ, ისინი ან მხოლოდ ბუფეტისათვის განკუთვნილი პროდუქტებით კმაყოფილდებიან, ან კიდევ ოჯახში მიდიან სადილად და ისევ სკოლაში ბრუნდებიან (ასპინძის, ყვარლის მაიაკოვსკის, წალენჯიხის, ცაგერის, ადიგენის, მარნეულის, გარდაბნის, წითელწყაროს, ორჯონიკიძის, ბოლნისის, საჩხერის, აბაშის, თეთრი წყაროს რაიონები).

განსაკუთრებით შეიმჩნევა ხორცით, კარტოფილით, კომბოსტოთი წყვეტილი, ხოლო რძით, რძის პროდუქტებით, ბოსტნეულით, თევზით, ახალი ხილით არადამაკმაყოფილებელი მომარაგება; უხარისხოა საბაზო სასადილოებიდან მიღებული ნახევარფაბრიკატები. ამის მიზეზად საბაზო სასადილოებისა და სასკოლო კვების კომბინატების ხელმძღვანელები ასახელებენ დაბალი კონდიციის ხორცით მომარაგებას, საბოლოო ჯამში კი ბავშვებს არ ეძლევათ ყუათიანი, მაღალკალორიული საკვები. დათვალიერებამ ისიც გვიჩვენა, რომ ხშირად კვების პროდუქტები ადგილზე სპეცმანქანით კი არ მიაქვთ ადგილზე, არამედ მნეს ან თვით აღმზრდელს შემოაქვს რაიონის ცენტრიდან ტაქსით ან სხვა გამვლელი მანქანით, ისიც საკუთარი ხარჯებითა და ყოველგვარი სანიტარიული ნორმების დარღვევით.

ნაკლოვანებებია გახანგრძლივებული დღის სკოლებისა და ჯგუფების საჭირო ინვენტარ-მოწყობილობით, ტექნიკური დანადგარებითა და სათამაშოებით მომარაგების საქმეში. ბევრ სკოლაში ტელევიზორიც არ აქვთ გახანგრძლივებული დღის ჯგუფებისათვის. რესპუბლიკის რაიონების უმრავლეს სკოლას არ გააჩნია გამდინარე ცხელი და ცივი წყალი. არის შემთხვევები, როცა სკოლებში საერთოდ არაა წყალი და მას შორი მანძილიდან ეზიდებიან, ბევრგან ძალზე დაბალ დონეზეა სამედიცინო მომსახურება და სანიტარიული მდგომარეობა.

კვლავ არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს აღმზრდელთა კადრების შერჩევის, დანიშვნისა და კვალიფიკაციის ამაღლების საქმე. მათი უმრავლესობა ასაკითაც და ცოდნითაც არ შეესაბამება ახალი ადამიანის ფორმირების თანამედროვე მოთხოვნებს. დღემდე ვერ დაინერგა გახანგრძლივებულ ჯგუფებში სპეციალისტების მოწვევისა და მათი დამაგრების მეტად საჭირო პრაქტიკა.

გახანგრძლივებული დღის სკოლებისა და ჯგუფების მუშაობაში ხელშესახები ნაკლოვანების არსებობა, უპირველეს ყოვლისა, რიგი რაიონების სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების უყურადღებობის და არაკვალიფიციური ხელმძღვანელობის შედეგია, მათი გარკვეული ნაწილი თვითონ ვერ ერკვევა ამ პრობლემების არსში, კვალიფიციურად ვერ აკონტროლებს აღმზრდელთა მუშაობას და, ბუნებრივია, საჭირო დახმარებას ვერ უწევს მათ, ხშირად ზერელედ იხილავს საკითხს, ვერ ხსნის ჩამორჩენის მიზეზებს და მიღებული დადგენილების შეუსრულებლობაზე პასუხსაც არავის სთხოვს.

ამ მეტად მნიშვნელოვანი საკითხისადმი უყურადღებობის გამოვლინებაა ის ფაქტიც, რომ დათვალიერების შედეგები რესპუბლიკური კომისიისათვის საერთოდ არ გამოუგზავნიათ ქ. ჭიათურის, მარნეულის, ახმეტის, ბოგდანოვკის, გურჯაანის, ლენტეხის, მესტიის, სიღნაღისა და წალკის რაიონების ადგილობრივ კომისიებს, ხოლო დიდი დაგვიანებით წარმოადგინეს მასალები სამხრეთ ოსეთის ა/ო, ქ. ქ. თბილისმა, რუსთავმა, ქუთაისმა, ფოთმა, ახალციხის, ვანის, აგრეთვე თერჯოლისა და თეთრი წყაროს რაიონებმა.

**სკოლების სამმართველო**

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1984 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილება

### საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1983 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილების „რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სოციალისტური დისციპლინის შემდგომი განმტკიცებისათვის ბრძოლის დამატებითი ღონისძიებების თაობაზე“ შესრულების მიმდინარეობის შესახებ

კოლეგია აღნიშნავს, რომ უკანასკნელ წლებში რესპუბლიკის განათლების სამინისტროსა და სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების მიერ ჩატარებულმა მუშაობამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი სახელმწიფოებრივი, შრომითი და საშემსრულებლო დისციპლინის განმტკიცებას, მასწავლებელთა და სკოლის ხელმძღვანელთა პირადი და კოლექტიური პასუხისმგებლობის გაზრდას, პროფესიულ დახელოვნებას, სასკოლო რეჟიმის მტკიცედ დაცვას რასაც შედეგად მოჰყვა მოსწავლეთა შეგნებული დისციპლინის განმტკიცება და არასაპატიო მიზეზით გაცდენილი გაკვეთილების მკვეთრი შემცირება.

ამასთან, რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებსა და სკოლა-ინტერნატებში ჩატარებულმა საინსპექტორო შემოწმებებმა ცხადყო, რომ სკოლებისა და სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველოს ცნობაში მინიშნებული სკოლების, სკოლა-ინტერნატების და სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელებმა ვერ დაძლიეს ფორმალიზმი მასწავლებელთა და მოსწავლეთა შრომის შედეგების შეფასების საქმეში; ვერ შექმნეს მაღალი ურთიერთმომთხოვნელობის ატმოსფერო რათა ყოველი მოსწავლე განუხრელად იცავდეს ჩვენს საზოგადოებაში მიღებულ ზნეობრივ ნორმებს, სკოლის ხელმძღვანელები ნაკლებ მომთხოვნელობას იჩენენ მოსწავლეთა მიერ არასაპატიო მიზეზით გაკვეთილების გაცდენის, გაცდენილი გაკვეთილების აღურიცხაობის, საპატიოდ ჩათვლილი საათების დამადასტურებელი საბუთების უქონლობის, სახალხო განათლების ზემდგომი ოფიციალური ორგანოს ნებართვის გარეშე მოსწავლეთა მიერ გაკვეთილების გაცდენის შემთხვევების აღკვეთის საქმეში.

რიგი სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელები სათანადო ყურადღებას არ უთმობენ სასწავლო სამუშაოებით მოსწავლეთა გადატვირთვას, გაკვეთილების ცხრილის შედგენის მეცნიერულ და მეთოდურ მხარეებს.

აღსანიშნავია, რომ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სოციალისტური დისციპლინის შემდგომი განმტკიცებისათვის ბრძოლის დამა-

ტებითი ღონისძიებების შესახებ პრინციპული მსჯელობა გაიმართა ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს სახალხო განათლების საბჭოს სხდომაზე, მიღებულ გადაწყვეტილებაში სწორი და კვალიფიციური შეფასება აქვს მიცემული სასკოლო მუშაობაში ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებებს, დასახულია ღონისძიებები მათ გამოსასწორებლად.

კოლეგიამ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველოს ცნობა „საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1983 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილების „რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სოციალისტური დისციპლინის შემდგომი განმტკიცებისათვის ბრძოლის დამატებითი ღონისძიებების თაობაზე შესრულების მიმდინარეობის შესახებ" დაეგზავნოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებს, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს, რომლებმაც:

1. 1. გააძლიერონ მუშაობა სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის (1984 წ.) პლენუმის გადაწყვეტილებების, პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს სიტყვაში ჩამოყალიბებული დებულებებისა და დასკვნების მოსწავლეებამდე, მასწავლებლებამდე და მშობლებამდე დაყვანის, პროპაგანდის, შესწავლისა და მათი პრაქტიკულად განხორციელებისათვის;

1. 2. სკოლების სამმართველოს ცნობის საფუძველზე შეისწავლონ და გააანალიზონ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სოციალისტური დისციპლინის შემდგომი განმტკიცებისათვის ბრძოლის დამატებითი ღონისძიებების შედეგები, განიხილონ კოლეგიებისა და სახალხო განათლების საბჭოების სხდომებზე, დასახონ და განახორციელონ საჭირო ღონისძიებები გამოვლინებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად;

1. 3. აამაღლონ სასკოლო პედაგოგიური კოლექტივების პასუხისმგებლობა სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მდგომარეობაზე, პერიოდულად შეამოწმონ საშინაო დავალებებით მოსწავლეთა დატვირთვა. არ დაუშვან ერთი და იგივე მოსწავლის რამდენიმე საგნობრივ წრეში ჩაბმა. გაკვეთილების ცხრილის შედგენისას უზრუნველყონ სასწავლო დატვირთვის თანაბარი განაწილება კვირის ყველა სამუშაო დღის მიხედვით. მიიღონ გადამჭრელი ზომები მოსწავლეთა მაღალი შეგნებული დისციპლინის სულისკვეთებით აღზრდის საქმეში სკოლის ხელმძღვანელებისა და მასწავლებელთა მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. მკაცრად დაიცვან საწესდებო მოთხოვნები

მოსწავლეთა გაცდენების შეფასებაში, არ დაუშვან კლასგარეშე ღონისძიებათა შესრულებისათვის გაკვეთილის გაცდენის არც ერთი შემთხვევა, დაამყარონ სრული წესრიგი სასკოლო დოკუმენტაციის წარმოებისა და შენახვის საქმეში, გაზარდონ მშობელთა პასუხისმგებლობა შვილის აღზრდის საქმეში, მსჯელობის საგნად გახადონ და მკაცრი ადმინისტრაციული ზომები მიიღონ სკოლის იმ მუშაკთა მიმართ რომლებიც არღვევენ შრომის დისციპლინასა და პედაგოგიური ეთიკის ნორმებს.

2. აღინიშნოს ქ. თბილისის საქარხნო, ქ. ცხინვალის, ქედის, მესტიის, შუახევის, გორის, სიღნაღის, ლანჩხუთის, ადიგენის, ჩხოროწყუს, მახარაძისა და მარნეულის (ამხ. ამხ. გ. კბილაშვილი, რ. თადტაევი, მ. ზაქარაძე, ა. ჩხვიმიანი, რ. ქათამაძე, ა. ჩხეიძე, რ. ბეჟაშვილი, ბ. კუტალაშვილი, გ. ზაზაშვილი, ღ. გორდულაძე, მ. ხავთასი, ბ. კალაევი) რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეების არასაკმარისი მუშაობა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოსწავლეთა შეგნებული დისციპლინის განმტკიცების საქმეში სათანადო წესრიგის დამყარებისათვის.

3. მიღებულ იქნას ცნობად, რომ ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველომ განიხილა დაქვემდებარებულ სკოლებში სოციალისტური დისციპლინის შემდგომი განმტკიცებისათვის ბრძოლის დამატებითი ღონისძიებების შედეგები და მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება.

4. აღნიშნული გადაწყვეტილება და ცნობა „საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1983 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილების „რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სოციალისტური დისციპლინის შემდგომი განმტკიცებისათვის ბრძოლის დამატებითი ღონისძიებების თაობაზე შესრულების მიმდინარეობის შესახებ" გამოქვეყნდეს გაზეთ „სახალხო განათლებაში" (ამხ. ნ. შველიძე) და დაიბეჭდოს განათლების სამინისტროს ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებულში.

6. კონტროლი ამ გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს სკოლების სამმართველოს (ამხ. თ. ტატიშვილი).

**კოლეგიის თავმჯდომარე,**
**მინისტრი ო. ქინქლაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცნობა

**საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1983 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილების „რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სოციალისტური დისციპლინის შემდგომი განმტკიცებისათვის ბრძოლის დამატებითი ღონისძიებების თაობაზე" შესრულების მიმდინარეობის შესახებ**

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველომ და სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველომ მიმდინარე წლის აპრილში შერჩევით შეამოწმეს რესპუბლიკის ზოგ რაიონსა და ქალაქში ზემოთ აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულების მიმდინარეობა. შემოწმებით დადასტურდა, რომ სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და სახალხო განათლების მუშაკთა უმრავლესობა მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით მოეკიდა განათლების სამინისტროს მოთხოვნებს სოციალისტური დისციპლინის შემდგომი განმტკიცებისათვის ბრძოლის დამატებითი ღონისძიებების, პედაგოგთა და სკოლის ხელმძღვანელთა პირადი და კოლექტიური პასუხისმგებლობის გაზრდის, პროფესიული დახელოვნების, სასკოლო ცხოვრების რეჟიმის მტკიცედ დაცვის რეალიზაციის საქმეს. სრულყოფილ იქნა და დაიხვეწა სკოლის პედაგოგიური კოლექტივებისადმი ხელმძღვანელობისა და კონტროლის სტილი, ფორმები და მეთოდები, გატარდა საჭირო ღონისძიებები სკოლების მუშაობაში ჯერ კიდევ არსებული ნეგატიური მოვლენების დასაძლევად, რასაც შედეგად მოჰყვა მუშაობის მკვეთრი გარდაქმნა და შესამჩნევი პოზიტიური ძვრები.

რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა მიერ გაცდენილი გაკვეთილების რაოდენობა 1982—1983 სასწავლო წლის 1-ელ სემესტრთან შედარებით მიმდინარე სასწავლო წლის 1-ელ სემესტრში შემცირდა მილიონზე მეტი აკადემიური საათით, ხოლო არასაპატიო მიზეზით გაცდენილი გაკვეთილების რაოდენობა —ნახევარ მილიონამდე. ამ მხრივ განსაკუთრებით კარგი შედეგები აქვთ აფხაზეთისა და აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის, ქ. თბილისის, გურჯაანის, ცხაკაიას და სხვა ქალაქებისა და რაიონების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს.

მიმდინარე სასწავლო წლის 1-ლი სემესტრის მონაცემების მიხედვით რესპუბლიკაში ერთ მოსწავლეზე საშუალოდ მოდის 9,1 აკადემიური საათის გაცდენა. რესპუბლიკურ მაჩვენებელზე უკეთესი შედეგები აქვთ სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის (5,9), ჭიათურის ზონის (5,7), ქ. ზუგდიდის (4,5), წყალტუბოს ზონის (5), ოჩამჩირის, შუახევის, ბოლნისის, გეგეჭკორის, ზუგდიდის, ყვარლის, მარნეულის, საგარეჯოს,

ხობის და სხვა რაიონებსა და ქალაქებს, ხოლო ერთ მოსწავლეზე არასაპატიო მიზეზით გაცდენილი გაკვეთილების რესპუბლიკურ მაჩვენებელზე (0,9) უკეთესი შედეგები აქვთ ქ. თბილისის (0,4), ქ. ქუთაისის (0,8), ქ. ფოთის (0,2), ტყიბულის ზონის (0,3), აბაშის (0,3), ამბროლაურის (0,1), ზესტაფონის (0,2), ლანჩხუთის (0,4), საგარეჯოს (0,3), სამტრედიის (0,2), სიღნაღის (0,4), ხობის (0,3), ცაგერის (0,1), ჩხოროწყუს (0,4) და სხვა ქალაქებსა და რაიონებს.

მიღწეული წარმატებები განაპირობა სკოლებისა და სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების მიერ აღნიშნული გადაწყვეტილების თანმიდევრულმა განხორციელებამ. პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციები, მოსწავლეთა სასკოლო კომიტეტები, მშობელთა კომიტეტები, პარტიული ორგანიზაციები, პედაგოგიური საბჭოები დროულად რეაგირებენ მოსწავლეთა მიერ დისციპლინის დარღვევებზე. რიგ სკოლებში მინიმუმამდე დავიდა მოსწავლეთა მიერ არასაპატიო მიზეზით გაცდენილი გაკვეთილების რაოდენობა. ქ. თბილისის საშუალო სკოლების პედაგოგიური კოლექტივებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების უმრავლესობას გარკვეული გამოცდილება დაუგროვდათ მოსწავლეთა შეგნებული დისციპლინის სულისკვეთებით აღზრდის საქმეში. მოსწავლეები ბეჯითად სწავლობენ, აქტიურად მონაწილეობენ შრომასა და საზოგადოებრივ საქმიანობაში. მტკიცედ იცავენ სოციალისტური ყოფის ნორმებს. ყოველივე ამას კი იმით მიაღწიეს, რომ მათ მკაცრად გაატარეს ცხოვრებაში აღნიშნული გადაწყვეტილება. 53-ე საშუალო სკოლაში გაკვეთილების არასაპატიო მიზეზით გაცდენისათვის პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებით ყოფაქცევაში ნიშანი დააკლდა აღნიშნული სკოლის მე-8, მე-10 კლასების 28 მოსწავლეს, 31-ე სკოლის — 20, 47-ე სკოლის — 4, 102-ე სკოლის — 8, მე-16 სკოლის — 2, 101-ე სკოლის — 1, ადიგენის რაიონის სოფელ ვარხნის საშუალო სკოლის — 1 მოსწავლეს და სხვა.

ამასთან, რესპუბლიკის რიგ სასკოლო პედაგოგიურ კოლექტივებსა და სახალხო განათლების განყოფილებებში არ არის შექმნილი მაღალი ურთიერთმომთხოვნელობის ატმოსფერო, რომ ყოველი მოსწავლე განუხრელად იცავდეს ჩვენს საზოგადოებაში მიღებულ ზნეობრივ ნორმებს. სკოლის ხელმძღვანელები ნაკლებ მომთხოვნელობას იჩენენ მოსწავლეთა მიერ ქცევის წესების უხეში დარღვევის აღსაკვეთად, დაბალ დონეზე დგას სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესისადმი ხელმძღვანელობა და კონტროლი, არ ტარდება ქმედითი ღონისძიებები არასაპატიო მიზეზით გამცდენ მოსწავლეთა მიმართ.

გასული სასწავლო წლის 1-ელ სემესტრთან შედარებით მიმდინარე სასწავლო წლის 1-ელ სემესტრში ერთ მოსწავლეზე გადაყვანით გაიზარდა გაცდენები: ქედის რაიონის (ამხ. გ. ბაქრაძე) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში 5,4 აკადემიური საათი, მესტიის (ამხ. ა. ჩხვი-

მიანი) — 2,5, შუახევის (ამხ. რ. ქათამაძე) — 2, გორის (ამხ. ა. ჩხეიძე) — 1,7, სიღნაღის (ამხ. რ. ბეჟაშვილი) — 1,6, ლანჩხუთის (ამხ. ბ. კუტალაშვილი) — 1,6, აგრეთვე ქ. თბილისის საქარხნო, ქ ცხინვალის, ადიგენის, ჩხოროწყუს, მახარაძის, მარნეულის (ამხ. ამხ. გ. კბილაშვილი, რ. თადტაევი გ. ზაზაშვილი, ღ. გორდულაძე, მ. ხავთასი, ბ. კალაევი) რაიონების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში.

მიმდინარე სასწავლო წლის 1-ლი სემესტრის მონაცემების მიხედვით კვლავ დიდი რაოდენობითაა გაცდენები აფხაზეთისა და აჭარის ასსრ, თბილისის, რუსთავის, გორის, მახარაძის, წითელწყაროს ქალაქებისა და რაიონების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, აგრეთვე 1-ელ, მე-2, მე-3 რესპუბლიკურ ექსპერიმენტულ სკოლებსა და თბილისის კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკურ სკოლა-ინტერნატებში. არასაპატიო მიზეზით გაცდენები ერთ მოსწავლეზე გადაყვანით რესპუბლიკურ მაჩვენებელზე — 0,9 მეტი რაოდენობითაა აფხაზეთისა (1,8) და აჭარის ასსრ (1,4), სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის (1,7) ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებში, აგრეთვე 1-ელ (2,1), მე-2 (2,4) ექსპერიმენტულ სკოლებში და კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკურ სკოლა-ინტერნატში (1,9).

შესწავლილი სკოლების პედაგოგიურ კოლექტივებში ჯერ კიდევ არ შეიმჩნევა განათლების განყოფილებათა ორგანიზატორული როლი პარტიული, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის. დაწესებული არ არის მასწავლებელთა და კლასის ხელმძღვანელთა პერსონალური პასუხისმგებლობა, არ არის შექმნილი ურთიერთმომთხოვნელობის ატმოსფერო.

ჯერ კიდევ ადგილი აქვს მოსწავლეთა მიერ არასაპატიო მიზეზით გაკვეთილების გაცდენის, გაცდენილი გაკვეთილების აღურიცხაობისა და საპატიოდ ჩათვლილი საათების დამადასტურებელი საბუთების უქონლობის შემთხვევებს. ქ. თბილისის მე-16 საშუალო სკოლაში (ამხ. ო. ჯიქია) მიმდინარე სასწავლო წლის 1-ელ სემესტრში არასაპატიო მიზეზით გაცდენილია 548 აკადემიური საათი, თუ ამას დავუმატებთ საპატიოდ ჩათვლილი უსაბუთო საათების რაოდენობას ეს რიცხვი საგრძნობლად გაიზრდება. საპატიოდ ჩათვლილი გაცდენილი გაკვეთილების დამადასტურებელი საბუთები არ აღმოაჩნდათ მე-9 კლასის მოსწვალეებს ზ. მაჩხაიძეს — 6, ნ. ხორავას — 12, მ. ჯიშკარიანს — 18, მე-8 კლასის მოსწავლე მ. შიმშილაშვილს — 30, 101-ე საშუალო სკოლის (ამხ. რ. სურგულაძე) მე-9 კლასის მოსწავლეს თ. მაყაშვილს — 12, ს. ჯოგლიძეს — 18, მე-10 კლასის მოსწავლეებს მ. ესტატიშვილს — 30, მ. ჟორდანიას—6; მოსწავლე წურწუმიას თვითნებურად გაუცდენია გაკვეთილები 4 და 5 ოქტომბერს, 6 ოქტომბერს მშობელს განცხადებით მიუმართავს დირექტორისათვის გაცდენილი დღეების საპატიოდ ჩათვლის თაობაზე, დირექტორს განცხადება დაუ-

კმაყოფილებია, თუმცა მოსწავლის გაცდენები საკლასო ჟურნალში აღრიცხული არ არის, იგივე მოსწავლე დირექტორის ნებართვით განთავისუფლებულია 28 ნოემბრიდან 2 დეკემბრამდე და 7-დან 19 დეკემბრამდე, 8 დეკემბრის გაცდენა ჟურნალში აღრიცხული არ არის. ხშირია შემთხვევა, როცა მოსწავლის მიერ წარმოდგენილ ცნობაში აღნიშნული დღეები არ ემთხვევა საკლასო ჟურნალის ჩანაწერებს. მოსწავლე წურწუმიას სკოლაში წარმოდგენილი აქვს 156 აკადემიური საათის გაცდენის ცნობა, საკლასო ჟურნალში კი აღრიცხულია 138 საათის გაცდენა.

ქ. თბილისის 24-ე საშუალო სკოლის (ამხ. ნ. დევდარიანი) მოსწავლე დ. ქაჯაიაზე მე-4 პოლიკლინიკის მიერ გაცემულია ცნობა, რომ ის დაავადებული იყო „ჩუთყვავილით“ და მკურნალობდა 13-დან 29 დეკემბრამდე, საკლასო ჟურნალში გაცდენები აღრიცხულია 19 დეკემბრიდან, საპატიოდ ჩათვლილი გაცდენილი გაკვეთილების დამადასტურებელი საბუთები არ აღმოჩნდა მე-9 კლასის მოსწავლე მ. ოდიშვილზე — 18, გაბისონიაზე — 12, დ. ლობჟანიძეზე — 18, დ. ცხვედიაშვილზე — 18.

53-ე საშუალო სკოლის (ამხ. ლ. მარგველაშვილი) მე-10 კლასის მოსწავლე ნ. ლასარეიშვილზე 22 სექტემბრიდან 28 ნოემბრამდე ჯანმრთელობის დაცვის მე-4 მთავარი სამმართველოს მიერ გაცემულია ავადმყოფობის ცნობა, სინამდვილეში კი ამ პერიოდის განმავლობაში მოსწავლეს გაცდენილი აქვს 9 სამუშაო დღე. მე-10 ბ კლასის მოსწავლეთა მიერ 1-ლი სემესტრის განმავლობაში გაცდენილია 962 აკადემიური საათი, აქედან არასაპატიოდაა ჩათვლილი 32 საათი, თუმცა გაცდენილ საათებზე სათანადო საბუთები არ აღმოაჩნდა ნ. ზურაშვილზე — 98, მ. დგებუაძეზე — 6, მ. თევზაძეზე — 36, ნ. ქართველიშვილზე — 24 (დაკარგულია მე-10 დ კლასის მოსწავლეთა მიერ გაცდენილი გაკვეთილების საბუთები); მე-9 კლასის მოსწავლეებიდან ნ. ვაჩეიშვილზე — 22, დ. ლეშკაშვილზე — 22, თ. გედევანიშვილზე — 12, დ. გვენცაძეზე — 6, მ. გეგეჭკორზე — 12, მ. ელიოზაშვილზე — 24, ჟ. კობახიძეზე — 12, შ. უგრეხელიძეზე — 6, მე-8 კლასის მოსწავლეებიდან: ლ. ჭიქაბერიძეზე — 13, გ. ჭიჭინავაზე — 30, ნ მესხზე — 48, მ. მგელაძეზე — 100, მ. არახამიაზე — 12, ს. ორაბელიძეზე — 12, ვ. სანებლიძეზე — 74, დ. გაჩეჩილაძეზე — 6; 165-ე საშუალო სკოლის (ამხ. ა. შერეზადაშვილი) მე-9 კლასის მოსწავლეების გ. ჯაფარიძის, ნ. ბახოიანის, ი. სისაურის მიერ არასაპატიო მიზეზით გაცდენილი ექვს-ექვსი საათი საპატიოდაა ჩათვლილი. 170-ე საშუალო სკოლის (ამხ. ო. თვალაბეიშვილი) ექთანი მე-10 კლასის მოსწავლეებს, ათავისუფლებს მე-5, მე-6 გაკვეთილებიდან, ხოლო სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში დირექტორის მოადგილის ლ. გამსახურდიას მიერ მე-10 კლასის მოსწავლე ნ. ბოხუა გაკვეთილებიდან 6-ჯერაა

განთავისუფლებული. სკოლაში არაეფექტურ ღონისძიებებს ატარებენ არასაპატიო მიზეზით გამცდენ მოსწავლეთა მიმართ. ამის შედეგად მე-9 კლასის 2 მოსწავლეს 1-ლი სემესტრის განმავლობაში გაცდენილი აქვს 27 და 30 საათი, 3 მოსწავლეს 13-13, ხოლო 2 მოსწავლეს — 7 და 8 საათი, მე-10 კლასის 1 მოსწავლეს — 24 საათი. აღსანიშნავია, რომ ყველა გაცდენა დაჯამებულია არასაპატიო მიზეზით გაცდენებისათვის განკუთვნილ სვეტში, მაგრამ ეს ფაქტი არავის გაუხდია მსჯელობის საგნად.

ანალოგიური მდგომარეობაა სხვა სკოლებში. 46-ე საშუალო სკოლის (ამხ. მ. კობაიძე) მე-10 კლასის 5 მოსწავლეს 1-ლი სემესტრის განმავლობაში არასაპატიო მიზეზით გაცდენილი აქვს 32 აკადემიური საათი, არის შემთხვევები ერთი და იმავე მოსწავლის მიერ 40-50 გაკვეთილის გაცდენისა. 26-ე საშუალო სკოლის (ამხ. კ. სიმონგულოვი) მე-8 კლასის 3 მოსწავლეს 1-ელ სემესტრში არასაპატიო მიზეზით გაცდენილი აქვს 12-12 გაკვეთილზე მეტი, 32-ე საშუალო სკოლის (ამხ. ჯ. ჭყონია) მოსწავლე რაშოევს გაცდენილი აქვს 168 აკადემიური საათი, ხოლო 3 მოსწავლეს 18-18, სერიოზული დარღვევებია 104-ე საშუალო სკოლაში (ამხ. გ. ბაღდასარიანი), სადაც კატასტროფულად იზრდება არასაპატიო მიზეზით გაცდენილი გაკვეთილების რაოდენობა.

შესწავლილ სკოლებში არის შემთხვევები, როცა მოსწავლის მიერ სკოლაში წარდგენილი ავადმყოფობის ცნობა არ არის დადასტურებული ჯანმრთელობის დაცვის ოფიციალური ორგანოს მიერ.

ადგილი აქვს სახალხო განათლების ზემდგომი ოფიციალური ორგანოს ნებართვის გარეშე მოსწავლეთა მიერ გაკვეთილების გაცდენის შემთხვევებს სპორტულ, მუსიკალურ, ქორეოგრაფიულ და სხვა წრეებში მონაწილეობის გამო. 53-ე სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე გ. კერესელიძეს (სპორტსმენია) სათანადო ნებართვის გარეშე გაცდენილი აქვს 49 აკადემიური საათი, რ. ხაზალიას (სპორტსმენია) —48, ლ. ამირანაშვილს (ქ. თბილისის პიონერთა სასახლის სიმღერის გუნდის წევრია) — 52, გ. ძნელაძეს (მონაწილეობს კინოფილმის გადაღებაში) — 72.

სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების ინიციატივით, ხშირად მათი გვერდის ავლითაც კი, დაგეგმილი ღონისძიებები ემთხვევა სასწავლო პროცესს, რაც იწვევს გაკვეთილებიდან მოსწავლეთა მოწყვეტას, ხოლო გაცდენილი დროის ანაზღაურება ხდება პროგრამული მასალის „შემჭიდროებისა" და საშინაო დავალებებით მოსწავლეთა გადატვირთვის გზით.

24-ე საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე ლ. ბარდაველიძეს მიმდინარე სასწავლო წლის 1-ელ სემესტრში სსრკ ისტორიაში, უახლეს ისტორიასა და საზოგადოებათმცოდნეობაში და 114-ე საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე ნ. ზირაქიშვილს რუსულ ენასა და ლიტერატურაში, შრომასა და ფიზკულტურაში გაცდენილი აქვთ სასწავ-

ლო გეგმით გათვალისწინებული საათების ერთ მესამედზე მეტი და მაინც ეს მოსწავლეები საგნებში შეფასებულნი არიან მაღალ ნიშნებზე **სათანადო სპეციალური კომისიის გარეშე.**

სკოლებისა და სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელები სათანადო ყურადღებას არ უთმობენ სასწავლო სამუშაოებით მოსწავეთა გადატვირთვისა და საშინაო დავალების დოზირების არსებულ მდგომარეობას, არ ღებულობენ ქმედით ზომებს ამ საქმეში არსებულ დარღვევათა გამოსწორებისათვის. ამდენად, მოსწავლეთა დიდი ნაწილი გადატვირთულია სასწავლო მუშაობით, დიდ დროს ახმარს საშინაო დავალებათა შესრულებას, ვერ თავსდება დადგენილი ნორმის ფარგლებში. ბევრი მასწავლებელი თვითნებურად ზრდის სასწავლო დატვირთვას იმ მასალის ხარჯზე, რომელიც არ არის გათვალისწინებული ოფიციალური სასწავლო პროგრამით. სკოლის ხელმძღვანელები ვერ ახორციელებენ საჭირო კონტროლს მასწავლებელთა მიერ ამ მიმართებით ჩატარებულ მუშაობაზე, სათანადო ყურადღებას არ უთმობენ გაკვეთილების ცხრილის შედგენის მეცნიერულ და მეთოდურ მოთხოვნებს. მოსწავლეთა გადატვირთვას იწვევს სკოლებში პროფორიენტაციული მუშაობის არასათანადო სიმაღლეზე დაყენება, რის გამოც ერთი და იგივე მოსწავლე ჩაბმულია სხვადასხვა საგნობრივ წრეებში, ყველა სახის ოლიმპიადებსა და სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციებში.

სკოლებში არ არის შექმნილი გავლილი მასალის გამეორების ერთიანი სისტემა, ამ მიმართებით არც მეთოდური სამსახურები იძლევიან საჭირო მითითებებსა და რეკომენდაციებს.

მკაცრი კონტროლი არ არის დაწესებული სახელმძღვანელოების მოვლა-პატრონობაზე, დღიურების დადგენილი წესით წარმოებაზე, არ არის შედგენილი მოსწავლეთა დღის რეჟიმი, რიგ სკოლებში გაუმართლებლადაა დაწესებული გაკვეთილებს შორის 5-წუთიანი შესვენებები, მოსწავლის „არადამაკმაყოფილებელი" შეფასების შემთხვევა არ ხდება პედაგოგიური საბჭოს მსჯელობის საგანი.

ქ. თბილისის 24-ე საშუალო სკოლის მე-9 კლასის ზოგიერთი მოსწავლე სამ-ოთხ საგნობრივ წრეშია გაერთიანებული. საზოგადოებათმცოდნეობის მასწავლებელი მ. ჩიკვაიძე მოსწავლეებისაგან მოითხოვს კონსპექტების შედგენას, მე-16 საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლეებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ საშინაო დავალების მომზადებისათვის დღეში საშუალოდ 6 საათი და 30 წუთი სჭირდებათ, ხოლო მაღალი აკადემიური წარმატების მქონე მოსწავლეებს საშუალოდ 4 საათი და 40 წუთი და სხვა. ანალოგიური მდგომარეობაა სხვა სკოლებშიც. აღნიშნული იმითაცაა განპირობებული, რომ უგულებელყოფილია გაკვეთილების ცხრილის შედგენის პრინციპები, რის გამოც ზოგიერთი სასწავლო დღე გადატვირთულია. 24-ე საშუალო სკოლის მე-6 ბ კლას-

ში ოთხშაბათის ცხრილში შეტანილია: გეოგრაფია, ალგებრა, ქართული ენა, ხატვა, ფიზკულტურა, პარასკევს: გეოგრაფია, ინგლისური ენა, ქართული ენა, ბოტანიკა, გეომეტრია, რუსული ენა მე-7 დ კლასში სამშაბათს — გეომეტრია, ქართული ენა, ინგლისური ენა, რუსული ენა, გეოგრაფია, ქიმია. პარასკევს: მშობლიური ენა, ხაზვა, ფიზკულტურა, ალგებრა, შრომა, შრომა. ადიგენის რაიონის სოფელ ვარხნის საშუალო სკოლის მე-9 კლასში ქიმია მიჯრითაა შეტანილი — სამშაბათს, ოთხშაბათსა და ხუთშაბათს. ანალოგიური დარღვევებითაა შედგენილი ზოგიერთი სხვა საშუალო სკოლის გაკვეთილების ცხრილი. 53-ე საშუალო სკოლის მე-7 ბ კლასში გაწყვილებულია ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილები, მე-10 ა კლასში — ისტორიის, თბილისის 1-ლი ექსპერიმენტული სკოლის მე-10 კლასებში — ფიზიკის.

შესწავლილი სკოლების პედაგოგიური კოლექტივების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის არასწორი ორგანიზაციის გამო მოსწავლეთა ერთი ნაწილის დისციპლინის დონე ჯერ კიდევ დაბალია. მოსწავლეები არ იცნობენ „მოსწავლეთა ქცევის წესებს". ამდენად, ხშირია მათ მიერ „მოსწავლეთა ქცევის წესებით" გათვალისწინებული საკითხების შეუსრულებლობის შემთხვევები, ცალკეული მოსწავლეები ცუდად სწავლობენ, არღვევენ დისციპლინას, უხეშობენ მასწავლებლებთან, არასაპატიო მიზეზით აცდენენ გაკვეთილებს და სხვა. მე-16 საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე დ. იარაჯულმა მასწავლებელ ვ. სანიკიძეს მოპარა 75 მანეთი, ხოლო იმავე კლასის მოსწავლე ჯ. უზუნალოვმა მოიპარა სპორტული ფორმა, 101-ე საშუალო სკოლის მოსწავლე გ. სურამელაშვილმა სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა ფიზიკის მასწავლებელს, მე-7 კლასის მოსწავლე გ. ლომთაძემ 22 ოქტომბერს მშობლების დაუკითხავად ოჯახიდან 800 მანეთი გაიტანა.

შესწავლილ სკოლებში ადგილი აქვს სხვადასხვა მიზეზით (გარდა ავადმყოფობისა) მასწავლებელთა მიერ გაკვეთილების გაცდენებს, ასეთ შემთხვევაშიც კი სკოლის ხელმძღვანელები არ აფორმებენ ბრძანებებს. ამდენად, გაურკვეველია გაცდენილი დღეები საპატიო იყო თუ არასაპატიო, მასწავლებელს ისინი შვებულებაში ჩაეთვალა, თუ დაევალა გაცდენილი გაკვეთილების ანაზღაურება, იმსახურებდა თუ არა გაცდენის გამო ადმინისტრაციულ სასჯელს და სხვა.

ჩატარებულმა შემოწმებებმა ცხადყვეს, რომ რიგ შემთხვევებში, მოსწავლეთა უდისციპლინობა გამოწვეულია მასწავლებელთა ერთი ნაწილის შრომითი განაწესებისა და პედაგოგიური ეთიკის ნორმების დარღვევით, სასწავლო პროცესის სუსტი ორგანიზაციით, სკოლის ადმინისტრაციისა და კლასის ხელმძღვანელთა უმოქმედობით, ყალბი ცნობებისა თუ სასკოლო დოკუმენტაციის არასწორი წარმოებით, მოსწავლეთა უდისციპლინობის ფაქტების დამალვით.

140-ე საშუალო სკოლის (ამხ. ვ. რუხაძე) მე-10 კლასში 4 თებერვალს რუსული ენის გაკვეთილს 22 მოსწავლიდან არ ესწრებოდა 16,

26 იანვარს ფიზკულტურის გაკვეთილებიდან გაიპარა 7 მოსწავლე, 30 იანვარს ქართული ენის გაკვეთილზე დააგვიანა 11 მოსწავლემ, ფიზკულტურის მასწავლებელი ა. ქამუშაძე გაკვეთილებზე უფორმოდ გამოცხადებულ მოსწავლეს საკლასო ჟურნალში „არ“-ებს უწერს. 114-ე საშუალო სკოლაში (ამხ. ი. შენგელია) ადგილი აქვს ქიმიის გაკვეთილებიდან მოსწავლეთა გაპარვას, აგრეთვე ქიმიისა და ბიოლოგიის მასწავლებლების მიერ სკოლის დირექტორის ნებართვის გარეშე მოსწავლეთა გაკვეთილებიდან განთავისუფლებას. კლასის ხელმძღვანელები კვირის ბოლოს არ აჯამებენ მოსწავლეთა მიერ გაცდენილ საათებს, ადგილი აქვს მოსწავლეთა მიერ გაცდენილი გაკვეთილების საპატიოდ ჩათვლას იმ შემთხვევაშიც, როდესაც სკოლაში სათანადო დამადასტურებელი საბუთები არ ინახება. ანალოგიური მდგომარეობაა 164-ე საშუალო სკოლაშიც. 83-ე, 106-ე, 109-ე, 114-ე საშუალო სკოლების მასწავლებლები საკლასო ჟურნალებში არ აღნიშნავენ მოსწავლეთა გაცდენებს. 58-ე, მე-60, 62-ე, 102-ე, 114-ე, 154-ე, 164-ე საშუალო სკოლებში მოსწავლეთა ავადმყოფობის ცნობები გაცემულია ექთნების მიერ, ადგილი აქვს ცნობებში თარიღების გადასწორებას.

106-ე და 164-ე საშუალო სკოლების (ამხ. ამხ. ზ. კანანოვა, თ. ანდღულაძე) მასწავლებლები საკლასო ჟურნალებში მოსწავლეთა გაცდენებსა და ნიშნებს ფანქრით აღნიშნავენ, რასაც შემდეგ შლიან და სასურველ ნიშნებს წერენ, საკლასო ჟურნალებში არ შეაქვთ საკონტროლო წერის ნიშნები. 46-ე და 58-ე საშუალო სკოლების მასწავლებლები არ იცავენ ნიშნების სიხშირეს, 46-ე საშუალო სკოლის (ამხ. მ. კობაიძე) რუსული ენისა და ლიტერატურის, გეოგრაფიის, ბიოლოგიის მასწავლებლებს მე-2 სემესტრში შემოწმების დღემდე არ ყავდათ შეფასებული მოსწავლეები, თბილისის 1-ლი ექსპერიმენტული საშუალო სკოლის (ამხ. ნ. ტარიელაშვილი) მე-10 კლასების ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკის, ფიზიკის, საზოგადოებათმცოდნეობის, უცხოური ენების, დაწყებითი სამხედრო მომზადების მასწავლებელთა უმრავლესობას საკლასო ჟურნალებში (ზოგ მათგანს თვეობითაც კი) არ ჰქონდათ შეტანილი მიმდინარე შეფასების ნიშნები და დამუშავებული მასალები.

თიანეთის რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატში (ამხ. ვ. გელიაშვილი) გაკვეთილებზე, ხშირად, არ ხდება მოსწავლეთა აღრიცხვა (ამხ. ამხ. ნ. წიწაკიშვილი, ზ. პატურიშვილი). მე-9 კლასის საკლასო ჟურნალს აკლია ბოლო ფურცლები, რის გამოც 5 მაისიდან გაცდენები აღარ აღრიცხულა.

თბილისის ყრუ ბავშვთა სკოლა-ინტერნატში (ამხ. ლ. სარჩიმელია) მიმდინარე წელს არასაპატიოდ გაცდენილია 496 გაკვეთილი. არის შემთხვევები, როდესაც ირღვევა კოლეგიის გადაწყვეტილების მე-3 მუხლი. კერძოდ, დირექტორის ნებართვით მე-6 კლასის მოსწავლე ძნე-

ლაძეს საპატიოდ ჩაეთვალა 11 დღის გაცდენა, ხოლო ჯანელიძეს — 5 დღის გაცდენა.

მე-7 კლასში (ამხ. ნ. მესხი) გაცდენილია თითო გაკვეთილი (31 შემთხვევა), მაგრამ არც ერთი არასაპატიო გაცდენა გაცდენების სვეტში არ არის შეჯამებული.

დიდია არასაპატიო მიზეზით გაცდენები ქ. ბათუმის მე-2 ფიზიკა-მათემატიკურ სკოლა-ინტერნატში (ამხ. ი. დიასამიძე). მეექვსეკლასელ ქ. ჩეჩელაშვილს არასაპატიოდ გაცდენილი აქვს 191 გაკვეთილი, მერვეკლასელ გ. ბეჟანიძეს 113 გაკვეთილი, მეცხრეკლასელ ვ. კეკელიძეს 91 გაკვეთილი. სულ სკოლა-ინტერნატის მოსწავლეების მიერ არასაპატიოდ გაცდენილია 882 აკადემიური საათი.

გორის რაიონის სოფელ ატენის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატში (ამხ. ა. საგანელიძე) მოსწავლეთა მიერ მიმდინარე სასწავლო წელს არასაპატიო მიზეზით გაცდენილია 2306 გაკვეთილი, არადამაკმაყოფილებელია გატარებული ღონისძიებები.

ნაკლოვანებებია თბილისის უსინათლო ბავშვთა (ამხ. თ. ადამაძე), სუსტადმხედველ ბავშვთა (ამხ. ნ. კახიძე), სმენადაქვეითებულ ბავშვთა (ამხ. ნ. დუმბაძე) სპეციალური სკოლა-ინტერნატების მუშაობაში.

პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე განხილული საკითხები მოკლებულია ღრმა ანალიზს, მიღებული დადგენილებები სქემატურია, მასწავლებლები სუსტად ერკვევიან ზემდგომი ორგანოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა და ბრძანებათა განხილვის წესში. საბჭოს სხდომებზე საკითხების განხილვა ხდება წინასწარი მიზანდასახულობის გარეშე, არ იგრძნობა საკითხის პრინციპული ანალიზი. კრიტიკა, ძირითადად, გაიგივებულია არადამაკმაყოფილებელი მაჩვენებლების ჩამოთვლაში, არ ხდება მასწავლებლების მუშაობის ნაკლოვანებებისა და ხარვეზების გამოვლენა, ხშირია შემთხვევები, როცა, ისეთი საკვანძო საკითხები, რომლებიც სერიოზულ მიდგომას მოითხოვს, ძალზე იშვიათად, ნაუცბადევად, უკრიტიკოდ, შეუმოწმებლად და ზერელედ იხილება, ხოლო ზოგჯერ განხილვისა და რეაგირების გარეშეც რჩება.

სასკოლო ინსპექტორთა ერთი ნაწილი ძალზე სუსტად ერკვევა მასზე მიმაგრებული სკოლებისა და სკოლისგარეშე დაწესებულებების ყოველდღიურ საქმიანობაში, ღრმად არ სწავლობს და ანალიზს არ უკეთებს აღმზრდელობითი მუშაობის მდგომარეობას.

არსებული ნაკლოვანებები წარმოადგენს სკოლის პედაგოგიური კოლექტივის მართვის საქმეში არასაკმარისი ხელმძღვანელობის შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეგს. სკოლებში საკმაო ყურადღება არ ექცევა შინასასკოლო ხელმძღვანელობისა და კონტროლის სრულყოფას, სკოლის ხელმძღვანელები ვერ იჩენენ პრინციპულ მომთხოვნელობას სახელმწიფოებრივი, საშემსრულებლო და შრომითი დისციპლინის განმტკიცების საქმეში. გადამჭრელ ზომებს არ ღებულობენ იმათ მიმართ, ვინც უხეშად არღვევს განათლების სამინისტროს კოლეგიის გადაწყვეტილებებს.

სკოლების სამმართველო

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1984 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილება

### მოსწავლეთა მე-17 საკავშირო სპარტაკიადისათვის საქართველოს მოსწავლეთა ნაკრები გუნდების მზადების მიმდინარეობის შესახებ

კოლეგია აღნიშნავს, რომ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 18 აპრილის № 254 დადგენილების შესაბამისად მოსწავლეთა მე-17 საკავშირო სპარტაკიადისათვის რესპუბლიკის ნაკრები გუნდების წარმატებით მოსამზადებლად გატარდა მთელი რიგი მნიშვნელოვანი ღონისძიებები.

ამჟამად ნაკრები გუნდების კანდიდატია 891 მოსწავლე სპორტსმენი, აქედან 338 ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებების სპორტული სკოლის აღსაზრდელია. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ წინა სპარტაკიადის მონაწილეთა შემადგენლობისაგან განსხვავებით შესამჩნევად გაიზარდა ნაკრებ გუნდებში რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მოსწავლე სპორტსმენთა წარმომადგენლობა.

მე-17 საკავშირო სპარტაკიადისათვის რესპუბლიკის მოსწავლეთა ნაკრები გუნდების მზადებას ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული ოპერატიული შტაბი (შტაბის უფროსი—მინისტრის მოადგილე (ამხ. მ. დ. დარჩია), რომელიც სისტემატურ კონტროლს უწევს ნაკრები გუნდების მზადებას. დღეისათვის ჩატარებულ შტაბის 36 სხდომაზე ორ-სამჯერ იქნა განხილული ნაკრები გუნდების მზადების მიმდინარეობა სპორტის 26 სახეობაში. ამასთანავე, ჩატარდა მოსწავლეთა მე-17 საკვაშირო სპარტაკიადისათვის მზადების საორგანიზაციო კომიტეტის (თავმჯდომარე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ო. ე. ჩერქეზია) სხდომები. როგორც შტაბის, ასევე საორგანიზაციო კომიტეტის სხდომებზე გაანალიზდა სპორტის ცალკეული სახეობების მიხედვით გუნდების მზადებასთან დაკავშირებული ყველა საკითხი. მიღებულ იქნა ზომები მუშაობაში არსებული ხარვეზების დროული გამოსწორებისათვის.

ნაკრები გუნდებისათვის დამტკიცებულია მზადების საერთო სამუშაო გეგმა, წლიური გეგმა, გეგმა-გრაფიკი და სპორტსმენთა ოსტატობის დონის ამაღლების ინდივიდუალური გეგმა. ნაკრებ გუნდებთან მუშაობის ორგანიზებულად წარმართვისა და მაღალ სპორტულ დონეზე მათი მომზადებისათვის პასუხისმგებლობის გაზრდის მიზნით სპორტის ცალკეულ სახეობებში გუნდებზე მიმაგრებულნი არიან კომორგები, გუნდის უფროსები, სპორტული საზოგადოებები და სპორტული სკოლები. დაწესებულია სისტემატური კონტროლი გუნდების საწვრთნელ მუშაობაზე.

1983 წლის 1 სექემბრიდან ერთობლივი წვრთნისათვის რესპუბლიკის ქალაქებიდან და რაიონებიდან ქ. თბილისში სპორტული პროფილის სკოლა-ინტერნატში გადმოყვანილ იქნენ ნაკრები გუნდების კანდიდატები სპორტის სხვადასხვა სახეობაში. სპორტული ტანმოვარჯიშეებისა და მოცურავეებისათვის, მათი საწვრთნო პროცესის ჩატარების სპეციფიკიდან გამომდინარე, ლენინური კომკავშირის სახელობის საწყლოსნო კომპლექსისა და რესპუბლიკის სპორტკომიტეტის ტანვარჯიშულ ბაზაზე, სწავლისა და ვარჯიშის შეხამების მიზნით, გაიხსნა სპეცკლასები.

ქ. თბილისში გადმოყვანილი მოსწავლეებისათვის შექმნილია ვარჯიშისა და სწავლის ნორმალური პირობები, ზოგადსაგანმანათლებლო საგნებში მათზე მიმაგრებულნი არიან მასწავლებლები, რომლებიც მათ დამატებით მეცადინეობებსა და კონსულტაციებს უტარებენ.

ნაკრები გუნდების კანდიდატები, რომლებიც სხვადასხვა მიზეზის გამო (აფხაზურ ენაზე სწავლა, მშობელთა უარი, მწვრთნელთა საბჭოს გადაწყვეტილება) ერთობლივი წვრთნისათვის თბილისში არ იმყოფებიან, ადგილებზე ვარჯიშობენ თავიანთ მწვრთნელებთან. მათთვის მეთოდური და პრაქტიკული დახმარების გასაწევად ადგილებზე პერიოდულად ჩადიან ნაკრები გუნდების მწვრთნელები და გუნდის მზადებაზე გამოყოფილი სხვა პასუხისმგებელი პირები.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ნაკრები გუნდების კანდიდატების საკავშირო პირველობებში გამოსვლას.

ამ შეჯიბრებებმა თვალნათლივ დაგვანახა ჩვენი მოსწავლე სპორტსმენების შესაძლებლობები, რომელთა გათვალისწინებით გუნდების მზადების ძირითადი ეტაპის გეგმა-გრაფიკში შეტანილ იქნა შესწორებები.

მუშაობის ერთგვარი გაუმჯობესების მიუხედავად ჯერ კიდევ არ არის დაძლეული ჩამორჩენა მძლეოსნობაში, ცურვაში, ხელბურთში, კალათბურთსა და ფრენბურთში.

ჩვენი რესპუბლიკისა და მოკავშირე რესპუბლიკების მოსწავლე სპორტსმენთა სპორტული და მორალურ-ნებელობითი მომზადების დონის გათვალისწინებით განისაზღვრა საკავშირო სპარტაკიადაზე რესპუბლიკის მოსწავლეთა ნაკრები გუნდების მიერ დასაკავებელი ადგილები.

კოლეგიამ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. მიღებულ იქნას ცნობად ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამმართველოს მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია მოსწავლეთა მე-17 საკავშირო სპარტაკიადისათვის სპორტის ცალკეული სახეობების მიხედვით რესპუბლიკის მოსწავლეთა ნაკრები გუნდების მზადების მიმდინარეობის შესახებ.

2. მოსწავლეთა მე-17 საკავშირო სპარტაკიადისათვის საქართველოს მოსწავლეთა ნაკრები გუნდების მზადების მიმდინარეობა ამ ეტაპზე ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად. ამასთანავე, აღინიშნოს ხელბურთში, კალათბურთში (გოგონები), ცურვაში, ჩოგბურთსა და მძლეოსნობაში რესპუბლიკის ნაკრები გუნდების კანდიდატთა მზადებაში არსებული ნაკლოვანებები.

3. დაწყებითი სამხედრო მომზადების, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სასწავლო-მეთოდურმა რესპუბლიკურმა ცენტრმა (ამხ. მ. მნათობიშვილი):

3. 1. მკაცრი კონტროლი დააწესოს დამტკიცებული გეგმა-გრაფიკის მიხედვით გუნდების სასწავლო-საწვრთნელი პროცესის განუხრელ შესრულებაზე;

3. 2. სისტემატურად განიხილოს საბჭოს სხდომებზე სპორტის ცალკეული სახეების მიხედვით ნაკრები გუნდების საკავშირო სპარტაკიადისათვის მზადების მიმდინარეობა და მიიღოს გადამჭრელი ზომები მუშაობაში არსებული ნაკლოვანებების დროული გამოსწორებისათვის;

3. 3. მიიღოს სათანადო ზომები რესპუბლიკის მოსწავლეთა ნაკრები გუნდების სასწავლო-საწვრთნელი შეკრებებისა და შეჯიბრებების ჩატარებისას მოსწავლე სპორტსმენთა სამედიცინო მომსახურებით, ბინით, ავტოტრანსპორტით, სავარჯიშო სპორტული ფორმითა და ინვენტარით დროულ უზრუნველყოფაზე, კვების ნორმების და დღეთა რაოდენობის მკაცრ დაცვაზე;

3. 4. დროულად იზრუნოს მოსწავლე სპორტსმენთა საშეჯიბრო და სააღლუმო ფორმის შესაძენად;

3. 5. გააძლიეროს ნაკრები გუნდების კანდიდატებთან პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა. ყველა სასწავლო-საწვრთნელი შეკრების ჩატარებისას გუნდები უზრუნველყოს კონკრეტულად გააზრებული პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის ისეთი გეგმით, სადაც გათვალისწინებული იქნება მოსწავლე სპორტსმენთა მორალურ-ეთიკური საკითხები, ლექცია-მოხსენებები, საუბრები, შეხვედრები გამოჩენილ სპორტსმენებთან, წარმოება-დაწესებულებათა მოწინავეებთან და ნოვატორებთან, პარტიულ, კომკავშირულ და პროფკავშირულ მუშაკებთან;

3. 6. პრინციპული შეფასება მისცეს მოსწავლე სპორტსმენთა და მწვრთნელ-მასწავლებელთა ყოველგვარ უდისციპლინო მოქმედებას და ანტისაზოგადოებრივ გამოვლენას, მიიღოს მათ მიმართ მკაცრი ადმინისტრაციული ზომები.

4. დაევალოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამმართველოს (ამხ. დ. კვინიკაძე):

4. 1. საქართველოს პროფსაბჭოსთან, საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტთან, რესპუბლიკის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტთან მჭიდრო საქმიან კავშირში გააძლიეროს კონტროლი მოსწავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეთა ნაკრები გუნდების სასწავლო-საწვრთნელ პროცესზე, მოსწავლე სპორტსმენთა შორის პოლიტიკურ-აღმზრდელობით მუშაობაზე, მორალურ-ნებელობითი თვისებების გამომუშავებაზე, ნაკრები გუნდების მოსწავლეთა მე-17 საკავშირო სპარტაკიადისათვის მზადების დასკვნითი ეტაპის გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებული მოთხოვნების მკაცრ დაცვაზე.

5. დაისვას საკითხი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის წინაშე, რათა მოსწავლეთა ნაკრებ გუნდებს დროულად გამოეყოს სავარჯიშო და საშეჯიბრო სპორტული ფორმა და ინვენტარი, მაქსიმალურად დაეხმაროს მათ სავარჯიშო სპორტული ბაზებით უზრუნველყოფაში.

ამასთანავე, საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტისა და ფიზკულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ბაზაზე შექმნილი სამეცნიერო კომპლექსური ჯგუფების მეშვეობით ყურადღება გააძლიეროს გუნდებისა თუ ცალკეული მოსწავლე სპორტსმენების სასწავლო-საწვრთნელი პროცესის მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციებით წარმართვაზე იმ ვარაუდით, რომ სპორტის ცალკეული სახეობების მიხედვით გუნდებმა უმაღლეს სპორტულ ფორმას სპარტაკიადის ფინალური შეჯიბრებების პერიოდში მიაღწიონ.

6. დაისვას საკითხი საქართველოს „დოსააფის“ ცენტრალური კომიტეტისა და ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებების წინაშე, რომ შემდგომშიც მკაცრი კონტროლი დაწესდეს „დოსააფისა“ და სპორტსაზოგადოებებში შემავალი მოსწავლე სპორტსმენების როგორც სპორტული ბაზებით უზრუნველყოფაზე, ასევე მათი სასწავლო-საწვრთნელი პროცესის მოწყობასა და გეგმაზომიერად წარმართვაზე.

7. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს მინისტრის მოადგილეს ამხანაგ მ. დარჩიას.

**კოლეგიის თავმჯდომარე,**
**მინისტრი ო. ქინქლაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი 1

**მოსწავლეთა მე-17 საკავშირო სპარტაკიადისათვის მზადების ოპერატიული შტაბის შემადგენლობა:**

1. მ. დარჩია — საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე (შტაბის უფროსი)
2. ვ. შუბლაძე — საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე (შტაბის უფროსის მოადგილე)
3. ჯ. მარგველიძე — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი (შტაბის უფროსის მოადგილე)
4. თ. ჩხაიძე — საქართველოს დოსააფის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე (შტაბის უფროსის მოადგილე)
5. ვ. ქურდიანი — საქართველოს პროფსაბჭოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის განყოფილების გამგე (შტაბის უფროსის მოადგილე)
6. დ. კვინიკაძე — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამმართველოს უფროსი
7. ლ. ჩიქვანაია — ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს უფროსი
8. თ. ჩიქოვანი — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის თავდაცვით-მასობრივი და სპორტული მუშაობის განყოფილების გამგე
9. ი. ნათიძე — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამმართველოს უფროსის მოადგილე
10. მ. მნათობიშვილი — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის რესპუბლიკური სასწავლო-მეთოდური ცენტრის დირექტორი
11. გ. ცქიტიშვილი — რესპუბლიკური სპორტკომიტეტის მთავარი სპორტული სამმართველოს უფროსი
12. მ. ტუღუში — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის რესპუბლიკური სასწავლო-მეთოდური ცენტრის დირექტორის მოადგილე
13. ა. მაჭარაშვილი — ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს უფროსის მოადგილე
14. თ. გაჩეჩილაძე — ჟურნალ „მართვეს“ რედაქტორი
15. კ. არობელიძე — რესპუბლიკური სამკურნალო-ფიზკულტურული დისპანსერის მთავარი ექიმი
16. ა. ლამბაშიძე — ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განყოფილების უფროსი
17. ნ. ვლადიმერაშვილი — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის რესპუბლიკური სასწავლო-მეთოდური ცენტრის მეთოდისტი (შტაბის მდივანი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1984 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილება

## რესპუბლიკის საბავშვო სახლებისა და ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატების მუშაობის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 17 თებერვლის დავალებისა და საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის 1983 წლის 26 ოქტომბრის დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსთან ერთად „კომკავშირული პროჟექტორის" რესპუბლიკური შტაბის, რესპუბლიკური სანეპიდსადგურისა და პედიატრიის კვლევითი ინსტიტუტის წარმომადგენლების მონაწილეობით შეამოწმა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემის რიგი საბავშვო სახლებისა და ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატების მუშაობა.

როგორც შემოწმებამ გვიჩვენა, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების მიერ, პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების აქტიური მხარდაჭერით ხორციელდება მნიშვნელოვანი ღონისძიებები საბავშვო სახლებისა და ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, აღსაზრდელთა კვების, კულტურული, სამედიცინო მომსახურებისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით.

ამ მიმართებით დიდი როლი შეასრულა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1983 წლის 1დეკემბრის № 18-1 გადაწყვეტილებამ, რომლის შედეგად მოკლე პერიოდში რესპუბლიკის ინტერნატული ტიპის სასწავლო დაწესებულებებში შესრულდა დიდი მოცულობის სამუშაოები. მნიშვნელოვნად გაიზარდა საბავშვო სახლებისა და სკოლა-ინტერნატების ხელმძღვანელების პერსონალური პასუხისმგებლობა, მეტი ყურადღება მიექცა აღსაზრდელთა სწავლებისა და ყოფის ორგანიზაციის გაუმჯობესებას ოჯახურ გარემოსთან მიახლოებული პირობების შექმნის მიზნით.

მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფის მიზნით მიმდინარე წლის პირველ კვარტალში საბავშვო სახლებისა და ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატებს გამოეყოთ 208,0 მანეთის რბილი და მაგარი ინვენტარი, მახინჯაურის, თელავისა და ასპინძის საბავშვო სახლებს მიეცათ ახალი ავტომანქანები; მიმდინარე წლის მესამე და მეოთხე კვარტალების მიხედვით დაგეგმილია მთლიანად გადაწყდეს საბავშვო სახლების ტრანსპორტით უზრუნველყოფის საკითხი.

გარდაბნის რაიაღმასკომმა მარტყოფის სკოლა-ინტერნატს მაგარი ინვენტარის შესაძენად გამოუყო 41 ათასი მანეთი; აუცილებელი ინვენტარით შეივსო ცხინვალის რაიონის ქურთის, კოჯრის № 1, № 2, სურამის, ასპინძის, ბათუმის, ყაზბეგის საბავშვო სახლები და თელავის ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატები. მარტო მიმდინარე წლის პირველ კვარტალში საბავშვო სახლებსა და სკოლა-ინტერნატებს გაეგზავნა 15 ტელევიზორი, 12 სამაცივრო დანადგარი და სხვა ტექნიკა.

დიდი მოცულობის სარემონტო სამუშაოების ჩატარება არის გათვალისწინებული საბავშვო სახლებსა და სკოლა-ინტერნატებში მიმდინარე წლის ზაფხულში. წინასწარი მონაცემებით ამ მიზნით დაიხარჯება 340.000 მანეთი, ახალ, კეთილმოწყობილ შენობაში გადავა ასპინძის საბავშვო სახლი.

განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენენ საბავშვო სახლების მიმართ აჭარის ასსრ პარტიული და საბჭოთა ორგანოები. მიმდინარე წელს საქართველოს კპ აჭარის საოლქო კომიტეტის ბიურომ სპეციალურად იმსჯელა ავტონომიური რესპუბლიკის საბავშვო სახლებისა და სკოლა-ინტერნატების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ და დასახა სათანადო ღონისძიებები.

რესპუბლიკაში საბავშვო სახლების მატერიალური ბაზის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით მომავალი წლიდან ქ. თბილისში ინდივიდუალური პროექტით დაიწყება საბავშვო სახლის მშენებლობა 250 აღსაზრდელზე. ნავარაუდევია ახალი საბავშვო სახლის მშენებლობა ლენინგორში.

განუწყვეტელ მზრუნველობას გრძნობენ საბავშვო სახლები და სკოლა-ინტერნატები მეთოდური ზედამხედველობის მხრივ. აღსანიშნავია ამ მიზნით უკანასკნელ პერიოდში გამოცემული მეთოდური რეკომენდაციები სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის, დღის მეორე ნახევრის ორგანიზაციის, აღსაზრდელთა კვების, სამედიცინო და კულტურული მომსახურების გაუმჯობესების უზრუნველყოფის შესახებ.

ამასთან, კოლეგია აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის საბავშვო სახლებისა და ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატების დღევანდელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ჯერ კიდევ ვერ პასუხობს თანამედროვეობის გაზრდილ მოთხოვნებს, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს აღსაზრდელთა მომსახურებისა და აღზრდის მიზნით დასახული ღონისძიებების სრულ განხორციელებას. მიუხედავად ერთგვარი გაუმჯობესებისა, ლენინგორის, კოჯრის № 1 და № 4, საშტრედიის რაიონის ეწერის, მახინჯაურის საბავშვო სახლებისა და თეთრი წყაროს ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატების მატერიალური ბაზა, მათი ხანდაზმულობისა და ხანგრძლივი ექსპლოატაციის გამო, იმდენად ამორტიზებულია, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეუძლებელი ხდება აღსაზრდელებისათვის ნორმალური საყოფაცხოვრებო გარემოს შექმნა

ხარვეზებია საბავშვო სახლებისა და სკოლა-ინტერნატების კვების პროდუქტებით უზრუნველყოფის მხრივ. არის შემთხვევები, როდესაც საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსა და „ცეკავშირის“ შესაბამისი სამსახურები დიდი დანაკლისითა და შესაბამისი ასორტიმენტის დარღვევით აწვდიან საბავშვო სახლებს კვების პროდუქტებს.

აღსაზრდელთა კვების ორგანიზაციის საქმეში არსებული ნაკლოვანებები ნაწილობრივ მიზეზია იმისა, რომ დღემდე ვერ გადაწყდა საკითხი რესპუბლიკის ინტერნატულ დაწესებულებებში კვების ორგანიზაციის საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს და „ცეკავშირის“ დაქვემდებარებაში გადაცემის შესახებ.

აღნიშნულთან დაკავშირებით საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ არაერთხელ მიმართა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, მაგრამ საკითხი საბოლოოდ დღემდე გადაწყვეტილი არ არის.

არ სრულდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 8 ივნისის № 404 და 1981 წლის 21 ოქტომბრის № 896 დადგენილებებით „რესპუბლიკის სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფის, აღსაზრდელთა კვების, საყოფაცხოვრებო პირობებისა და კულტურულ-სამედიცინო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ გათვალისწინებული ზოგიერთი მოთხოვნა საბავშვო სახლებისა და ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატების აღსაზრდელთა სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების შესახებ. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე ვერ უზრუნველყო ამ ტიპის სასწავლო დაწესებულებების სამედიცინო კადრებით სრულად დაკომპლექტება (თეთრი წყაროს, მარტყოფის სკოლა-ინტერნატები) და დასაქმებული სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება.

ხარვეზებია საბავშვო სახლებისა და სკოლა-ინტერნატების ინვენტარითა და მანქანა-დანადგარებით მომარაგების მხრივ; საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსთვის ამ მიზნით გამოყოფილი ფონდები ზოგიერთი დასახელების ინვენტარზე იმდენად მცირეა, რომ შეუძლებელი ხდება ინტერნატულ დაწესებულებათა მოთხოვნების სრული დაკმაყოფილება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1981 წლის № 896 დადგენილების მე-10 მუხლის შესაბამისად საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტსა და საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს ევალებოდათ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემის საბავშვო სახლებისა და სკოლა-ინტერნატების მოთხოვნილებების სრუ-

ლი დაკმაყოფილების მიზნით გამოეყოთ სათანადო ინვენტარი და მოწყობილობები № 1 დანართის შესაბამისად. მაგრამ ეს დავალება ზოგიერთ პოზიციაში წლების მანძილზე სანახევროდაც არ სრულდება.

ნელი ტემპით მიმდინარეობს რესპუბლიკაში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის № 404 და 1981 წლის № 896 დადგენილებებით გათვალისწინებული საბავშვო სახლების მშენებლობა-რეკონსტრუქციის სამუშაოები. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დღემდე არ გამოუყო ამ მიზნით გათვალისწინებული 1,8 მილიონი მანეთი. არადამაკმაყოფილებელია ამ მხრივ შეფი ორგანიზაციების როლი და ეკონომიური დახმარების დღემდე არსებული ფორმები და მოცულობები.

კოლეგიამ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველომ:

1. 1. საბავშვო სახლებისა და სკოლა-ინტერნატების მუშაობაში განუხრელად იხელმძღვანელონ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებით, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის შესაბამისი გადაწყვეტილებებით;

სისტემატურად იზრუნონ და პერიოდულად განიხილონ კოლეგიებსა და საბჭოს სხდომებზე ცალკეული საკითხები საბავშვო სახლებისა და სკოლა-ინტერნატების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების, აღსაზრდელთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების, კვების ორგანიზაციის, სანიტარიულ-ჰიგიენური, კულტურული და სამედიცინო მომსახურებისა და სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის სრულყოფის მიზნით;

1. 2. არსებითად განამტკიცონ ამ ტიპის სასწავლო დაწესებულებებში სამეურნეო-ფინანსური, სახელმწიფოებრივი, შრომითი და საშემსრულებლო დისციპლინა; გაუწიონ მათ სისტემატური დახმარება და კონტროლი;

1. 3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1981 წლის № 896 დადგენილების შესაბამისად დააყენონ საკითხი ადგილობრივ სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების წინაშე საშეფო ორგანიზაციის მუშაობის მკვეთრად გაუმჯობესების შესახებ; აუცილებლობის შემთხვევაში მიაღწიონ მათ გადახალისებას და მიამაგრონ საბავშვო სახლებს და სკოლა-ინტერნატებს ისეთი წარმოება-დაწესებულებები, რომლებიც რეალურ დახმარებას გაუწევენ მათ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებაში;

1. 4. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სარემონტო-აღდგენითი სამუშაოებისათვის ბიუჯეტით გამოყოფილი თანხების სრულ ათვისებას. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მინიშნებული დადგენილების შესაბამისად ადგილობრივი სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების დახმარებით შეურჩიონ მათ მოიჯარადრე სამშენებლო ორგანიზაციები, მკაცრი კონტროლი დააწესონ ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებაზე;

1. 5. დააკომპლექტონ საბავშვო სახლები და სკოლა-ინტერნატები მაღალკვალიფიციური პედაგოგიური კადრებითა და მომსახურე პერსონალით, თანმიმდევრულად იზრუნონ მათი კვალიფიკაციის შემდგომი ამაღლებისათვის.

2. საბავშვო სახლებისა და ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატების დირექტორებმა:

2. 1. არსებითად სრულყონ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა, აამაღლონ პედაგოგ-აღმზრდელთა პერსონალური პასუხისმგებლობა; მოაწესრიგონ სამეურნეო-საფინანსო საქმიანობა, გამუდმებით იზრუნონ აღსაზრდელთა საყოფაცხოვრებო და სამედიცინო-კულტურული მომსახურების დონის ასამაღლებლად; მტკიცედ დაიცვან სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები;

2. 2. შემოქმედებითად მიუდგნენ მოსწავლეთა შრომით აღზრდას; სწორად განსაზღვრონ შრომითი სწავლების პროფილები, მიუსადაგონ ისინი რეგიონში არსებულ მსხვილ საწარმოთა პროფილებს; შრომითი სწავლება მჭიდროდ დაუკავშირონ მწარმოებლურ შრომას, გამოუმუშაონ აღსაზრდელებს შრომისადმი სიყვარული, ფართოდ ჩააბან ისინი საზოგადოებისათვის საჭირო მწარმოებლურ შრომით საქმიანობაში;

2. 3. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების საქმეს, ადგილობრივი საბჭოთა, სამეურნეო, შეფი ორგანიზაციებისა და საკუთარი ძალებით შეუქმნან აღსაზრდელებს სათანადო საყოფაცხოვრებო პირობები.

3. მომარაგების მთავარმა სამმართველომ (ამხ. კ. ძლიერიშვილი):

3. 1. სახალხო განათლების ადგილობრივ ორგანოებთან ერთად განიხილოს თითოეული საბავშვო სახლისა და ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი სრულყოფის საკითხი და დადგენილი ნორმების შესაბამისად მიაწოდოს მათ სათანადო რბილი და მაგარი ინვენტარი.

4. კაპიტალური მშენებლობის განყოფილებამ (ამხ. ბ. აფხაზავა):

4. 1. გააძლიეროს დახმარება და კონტროლი ინტერნატული ტიპის სასწავლო დაწესებულებებში კაპიტალური რემონტის მიმდინარეობაზე. არ დაუშვას დაუმთავრებელი და დეფექტებით შესრულებული სამუშაოების მიღება;

4. 2. გააძლიეროს კონტროლი ცხინვალის რაიონის ქურთის საბავშვო სახლის მშენებლობის მიმდინარეობაზე მისი 1985 წელს ექსპლოატაციაში შესვლისათვის;

4. 3. მე-12 ხუთწლედის კაპიტალური დაბანდების ლიმიტების მიხედვით წარმოადგინოს რესპუბლიკაში საბავშვო სახლებისა და სკოლა-ინტერნატების მშენებლობის გეგმის პროექტი მინიშნებული ხუთწლედისათვის.

5. სახელმძღვანელოების სამმართველომ (ამხ. ნ. ღლონტი) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს საბავშვო სახლებისა და ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატების სასკოლო სახელმძღვანელოებით, მეთოდური და მხატვრული ლიტერატურით უზრუნველყოფის საქმეს; იზრუნოს ინტერნატული ტიპის სასწავლო დაწესებულებების ბიბლიოთეკათა წიგნადი ფონდების შევსებაზე, სრულყოს ინტერნატული ტიპის სასწავლო დაწესებულებებში სასკოლო სახელმძღვანელოების საბიბლიოთეკო ფონდების შევსება-დაცვის ორგანიზაცია.

6. კადრების სამმართველომ (ამხ. ა. ვაჩნაძე) უზრუნველყოს საბავშვო სახლები და სკოლა-ინტერნატები კვალიფიციური კადრებით, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს საბავშვო სახლებში და ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატებში მომუშავე პედაგოგიური კადრების მიზნობრივი გადამზადების საქმეს.

7. სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველომ (ამხ. პ. თუთბერიძე):

7. 1. გააძლიეროს ხელმძღვანელობა და კონტროლი ინტერნატული ტიპის სასწავლო დაწესებულებების მუშაობაზე, უზრუნველყოს მათ მუშაობაში ჯერ კიდევ არსებული ნაკლოვანებების ლიკვიდაცია, იზრუნოს აღსაზრდელთა საყოფაცხოვრებო პირობების, კვების, სანიტარიულ-ჰიგიენური, კულტურული, სამედიცინო მომსახურების, სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის გაუმჯობესებისა და საშემსრულებლო დისციპლინის განმტკიცებისათვის;

7. 2. მიაღწიოს ინტერნატული დაწესებულებების ხელმძღვანელობისა და სახალხო განათლების ადგილობრივი განყოფილებების მიერ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის გადაწყვეტილებებისა და სადირექტივო მითითებების განუხრელ შესრულებას. შეურიგებელი ბრძოლა გამოუცხადოს ამ მიმართებით გამოვლინებულ ყოველგვარ გადახრას, აქციოს იგი პრინციპული მსჯელობის საგნად;

7. 3. განამტკიცოს საბავშვო სახლებისა და ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატების მატერია-

ლურ-ტექნიკური ბაზა; განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს შრომითი სწავლების სასწავლო-მატერიალური ბაზის შემდგომ სრულყოფას, ფართოდ დანერგოს ინტერნატულ დაწესებულებებში მწარმოებლური შრომა, იზრუნოს არსებული დამხმარე მეურნეობის შემდგომი გაძლიერება-სრულყოფისათვის, განაზოგადოს ამ მხრივ მოწინავე სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების გამოცდილება.

8. ეთხოვოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს:

8. 1. კიდევ ერთხელ განიხილოს საკითხი რესპუბლიკის ინტერნატულ დაწესებულებებში კვების ორგანიზაციის საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს და „ცეკავშირის" დაქვემდებარებაში გადაცემის შესახებ;

8. 2. დაავალოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 8 ივნისის № 404 დადგენილების შესაბამისად (მ. 11) გამოუყოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1,8 მილიონი მანეთი ლენინგორში, სამტრედიის რაიონის სოფელ ეწერსა და გარდაბნის რაიონის დაბა კოჯორში საბავშვო სახლების მშენებლობისათვის;

8. 3. დაავალოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს და საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1981 წლის № 896 დადგენილების შესაბამი- (მ. 10) გამოუყოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ინვენტარი და მოწყობილობა აღნიშნული დადგენილების № 1 დანართის შესაბამისად;

8. 4. დაავალდებულოს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო ზემოთ აღნიშნული დადგენილების შესაბამისად განსაკუთრებული მზრუნველობა გამოიჩინოს საბავშვო სახლებისა და ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატების სამედიცინო კადრებით დაკომპლექტებისა და მათი კვალიფიკაციის შემდგომი ამაღლების საქმისადმი. უზრუნველყოს სამკურნალო კაბინეტ-ლაბორატორიები თანამედროვე სამედიცინო ტექნიკითა და მედიკამენტებით. მეთოდური მზრუნველობა არ მოაკლოს ამ ტიპის სასწავლო დაწესებულებებში მომუშავე სამედიცინო პერსონალს.

9. გაზეთმა „სახალხო განათლებამ" (ამხ. ნ. შველიძე) და ჟურნალმა „სკოლა და ცხოვრებამ" (ამხ. რ. ძერია) პერიოდულად გამოაქვეყნონ მასალები საბავშვო სახლებისა და ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატების მუშაობისა და მოწინავე პედაგოგ-აღმზრდელთა საქმიანობის შესახებ.

10. აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე პერსონალური პასუხისმგებლობა დაეკისროს საბავშვო სახლებისა და სკოლა-ინტერნატების დირექტორებს, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნისტრებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებს, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს უფროსს, ხოლო კონტროლი მის შესრულებაზე დაევალოს საქართველოს სსრ განათლების მინისტრის პირველ მოადგილეს ამხ. მ. კობახიძეს.

კოლეგიის თავმჯდომარე,
მინისტრი Ო. ᲥᲘᲜᲥᲚᲐᲫᲔ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## შინაარსი

გადაწყვეტილება — სსრ კავშირის განათლების სამინისტროს კოლეგიის 1984 წლის 16 მარტის № 12/1 გადაწყვეტილების შესასრულებლად საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ღონისძიებათა შესახებ . . . . 3

გადაწყვეტილება — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემის მიერ სახალხო განათლების განვითარების 1983 წლის გეგმების შესრულების, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შედეგებისა და 1984 წლის ამოცანების შესახებ . . . . . . . . . . . . . 18

გადაწყვეტილება — ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან და სკოლა-ინტერნატებთან ორგანიზებულ ექსპერიმენტულ პროფტექნიკურ ჯგუფებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მიმდინარეობის შესახებ . . . . 26

Решение — об итогах социалистического соревнования за образцовую постановку бухгалтерского учета централизованных бухгалтерий при городских (районных в городах) отделах народного образования республики и бухгалтерий при учреждениях системы Министерства просвещения за 1983 года . . . . . . . . . . . . 38

გადაწყვეტილება — რესპუბლიკის რაიონების (ქალაქების) მეთოდური კაბინეტების საზოგადოებრივი დათვალიერების ჩატარების შედეგების შესახებ . 40

გადაწყვეტილება — ორჯონიკიძისა და გეგეჭკორის რაიონებში საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1983 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ . . . . . 51

გადაწყვეტილება — გახანგრძლივებული დღის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და ჯგუფების მე-2 რესპუბლიკური დათვალიერების შედეგების შესახებ . . . . . . . . . . . . 61

გადაწყვეტილება — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1983 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილების „რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სოციალისტური დისციპლინის შემდგომი განმტკიცებისათვის ბრძოლის დამატებითი ღონისძიებების თაობაზე“ შესრულების მიმდინარეობის შესახებ . . . . . . . . . . . 72

გადაწყვეტილება — მოსწავლეთა მე-17 საკავშირო სპარტაკიადისათვის საქართველოს მოსწავლეთა ნაკრები გუნდების მზადების მიმდინარეობის შესახებ 85

გადაწყვეტილება — რესპუბლიკის საბავშვო სახლებისა და ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატების მუშაობის შესახებ . . . . . . . . . . . . 90

რედაქტორი ე. ქურციკიძე
ტექრედაქტორი ა. ბაკურაძე
კორექტორი ლ. ლოლაძე

გადაეცა ასაწყობად 27/VIII-84 წ.; ხელმოწერილია დასაბეჭდად 3/1-85 წ.;
ანაწყობის ზომა $6^1/_4 \times 9$; ქაღალდის ზომა $60 \times 84$; ნაბეჭდი თაბახი 6,25
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 6.

შეკვ. № 617 უე 15785 ტირაჟი 6000

ფასი

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სტამბა, ნუცუბიძის ქ. № 7
Типография Министерства просвещения ГССР, ул. Нуцубидзе № 7